

საჯარო მმართველობის ტრანსფორმაცია
სამხრეთ კავკასიაში:
გამოცდილება და პერსპექტივები

**Ivane Javakhishvili Staatliche
Universität Tbilisi**

**Transformation der öffentlichen Verwaltung
im Südkaukasus:
Bilanz und Perspektiven**

Materialien der Konferenz
vom 16.-17.09. 2013 in Tbilisi

Wissenschaftliche Redaktion:

Prof. Dr. Dr. h.c. Karl-Peter Sommermann
Prof. Dr. Giorgi Khubua

Studien und Materialien des Instituts
für Verwaltungswissenschaften der TSU

BAND 2

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**საჯარო მმართველობის ტრანსფორმაცია
სამხრეთ კავკასიაში:
გამოცდილება და პერსპექტივები**

კონფერენციის მასალები
2013 წლის 16-17 სექტემბერი, თბილისი

სამეცნიერო რედაქტორები:

პროფ. კარლ-პეტერ ზომერმანი
პროფ. გიორგი ხუბუა

თსუ ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტის
გამოცემები

ტომი 2



**უნივერსიტეტის
გამომცემლობა**

წინამდებარე წიგნი წარმოადგენს 2013 წელს თბილისში ჩატარებული საერთაშორისო კონფერენციის „საჯარო მმართველობის ტრანსფორმაცია სამხრეთ კავკასიაში: გამოცდილება და პერსპექტივები“ მასალების კრებულს. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს ექსპერტებმა როგორც სამხრეთ კავკასიის ქვეყნებიდან, ასევე გერმანიიდან.

კონფერენცია კონცეპტუალურად მომზადდა და ჩატარდა თსუ ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტისა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) ერთობლივი ძალისხმევით.

ავტორთა მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს თსუ ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტის ან გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების პოზიციას.



ადმინისტრაციულ
მეცნიერებათა ინსტიტუტი
Institute of
Administrative Sciences

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2015

ISBN 978-9941-13-383-1 (ყველა ტომის)

ISBN 978-9941-13-446-3 (ტომი 2)

სარჩევნი

წინათქმა	9
პროფ. კარლ პეტერ ზომერმანი, პროფ. გიორგი ხუბუა	
მისასალმებელი სიტყვა	
გვიდო მიუნთელი	13
<i>გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საელჩო საქართველოში</i>	
პროფ. გიორგი ხუბუა	20
<i>თსუ / მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტი</i>	
სახელმწიფო მართვის მოდერნიზაცია: გამოცდილება და პერსპექტივები	
პროფ. პაატა ტურავა	30
<i>თსუ / პოლიციის აკადემია, თბილისი</i>	
საჯარო სამსახურის რეფორმის ძირითადი ასპექტები	
ირაკლი კობახიძე	40
<i>UNDP / თსუ, თბილისი</i>	
საჯარო სამართლის გამჭვირვალობა და სახელმწიფო საქმიანობის კონტროლის მექანიზმები	
პროფ. ქრისტიან კოსი	51
<i>შპაიერის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტი, გერმანია</i>	
საჯარო სამსახურის სამართლებრივ-სახელმწიფოებრივი საფუძვლები	

პროფ. კარლ პეტერ ზომერმანი	200
<i>შპაიერის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტი, გერმანია</i>	
ნაციონალური ადმინისტრაციული კულტურების ევროპეიზაცია	
ინფორმაციები პრაქტიკოსებისგან	
პროფ. ტერეზა ხეჩოიანი	233
<i>სომხეთის რესპუბლიკის სახელმწიფო მართვის აკადემია, ერევანი</i>	
საჯარო მოსამსახურეების გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება სომხეთის რესპუბლიკაში	
სანდრა ბუდი	255
<i>ჰამბურგის განათლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრი, გერმანია</i>	
საჯარო სამსახურის პროფესიონალიზაცია და პრაქტიკული მოსაზრებები ჰამბურგიდან	
დანართი: მოკლე ინფორმაცია ავტორებზე	273

INHALTSVERZEICHNIS

Vorwort	11
Prof. Dr. Dr. h.c. Sommermann, Prof. Dr. Khubua	
Grußwort	
Dr. Guido Müntel	17
<i>Botschaft der Bundesrepublik Deutschland in Tbilisi</i>	
Prof. Dr. Giorgi Khubua	20
<i>Staatliche Universität Tbilisi / Technische Universität München</i>	
Öffentliche Verwaltung zwischen Reform und Kontinuität	
Prof. Dr. Pataa Turava	30
<i>Staatliche Ivane Javakhishvili Universität Tbilisi / Polizeiakademie Georgiens</i>	
Grundaspekte der Reform des Öffentlichen Dienstes in Georgien	
Dr. Irakli Kobachidze	40
<i>UNDP / Staatliche Ivane Javakhishvili Universität Tbilisi</i>	
Transparenz der öffentlichen Verwaltung und Kontrollmechanismen des Staatshandelns	
Prof. Dr. Christian Koch	134
<i>Deutsche Universität für Verwaltungswissenschaften Speyer</i>	
Rechtsstaatliche Grundlagen des Öffentlichen Dienstes	

Prof. Dr. Dr. h.c. Karl-Peter Sommermann	218
<i>Deutsche Universität für Verwaltungswissenschaften Speyer</i>	
Die Europäisierung der nationalen Verwaltungskulturen	
Berichte aus der Praxis	
Prof. Tereza Khechoyan	233
<i>Akademie für Staatsverwaltung der Republik Armenien, Yerevan</i>	
Fort- und Weiterbildung im öffentlichen Dienst Armeniens	
Sandra Budy	265
<i>Zentrum für Aus- und Fortbildung der Freien und Hansestadt Hamburg</i>	
Professionalisierung des öffentlichen Dienstes – ein Praxisbericht aus Hamburg	
Anhang: Zu den Autoren	273

წინათქმა

წინამდებარე კრებულში გაერთიანებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტის ეგიდით 2013 წლის 16-17 სექტემბერს ჩატარებულ საერთაშორისო კონფერენციაზე წარმოდგენილი მოხსენებები. კონფერენციის მიზანი იყო სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში სახელმწიფო მართვის რეფორმირების პროცესში დაგროვილი გამოცდილების ანალიზი და შეფასება. კონფერენციის მთავარი საკითხი იყო საჯარო მმართველობის როლი დემოკრატიისა და სამართლებრივი სახელმწიფოს ეფექტური განვითარების პროცესში.

რეგიონული კონფერენცია ფოკუსირებული იყო როგორც სახელმწიფო მართვის რეფორმირების პროცესში დაგროვილ გამოცდილებაზე, ისე სამომავლო პერსპექტივებზე. სამეცნიერო დისკუსიის ცენტრში იდგა ისეთი საკითხები, როგორიცაა სახელმწიფო მართვის პარტიულ-პოლიტიკური ნეიტრალურობა, სახელმწიფო თვითნებობისაგან დაცვის გარანტიები, კადრების სტაბილურობა, მოსამსახურის დაცვის სამართლებრივი გარანტიები, კარიერის დაგეგმვის საკითხები, მოხელეთა მომზადება და გადამზადება.

კონფერენციამ გამოავლინა ის საერთო პრობლემები და გამოწვევები, რომლის წინაშეც დგას რეგიონის სამივე ქვეყანა. კავკასიის ქვეყნებში უკვე განხორციელებული და დაგეგმილი რეფორმების პროცესში განსაკუთრებული როლი ეკისრება იურიდიულ მეცნიერებას. მხოლოდ მეცნიერებასა და პრაქტიკას შორის დიალოგის გააქტიურება, საზოგადოებასა და სახელმწიფო სტრუქტურებს შორის ინტენსიური კომუნიკაცია შეიძლება იყოს ის ფუნდამენტი, რომელსაც შეიძლება დაეფუძნოს სახელმწიფო მართვის წარმატებული მოდელი.

დიდი მადლობა გვინდა გადავუხადოთ მონაწილეებს საინტერესო მოხსენებებისა და დისკუსიებში აქტიური მონაწილეობისთვის. კონფერენციის ჩატარება შესაძლებელი გახდა გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) ხელშეწყობით, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით ქალბატონ ეთერ ჩაჩანიძეს და ბატონ ფოლკერ შტამპეს. ასევე უღრმეს მადლობას ვუძღვნით ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომლებს, ღია შატბერაშვილს და თამარ ბერიშვილს კონფერენციის ორგანიზაციული მხარდაჭერისა და წინამდებარე კრებულის რედაქტირებისათვის.

პროფ. კარლ-პეტერ ზომერმანი

*შპაიერის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტი
(გერმანია)*

პროფ. გია ხუბუა

*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ
მეცნიერებათა ინსტიტუტი*

VORWORT

Der vorliegende Band fasst die Ergebnisse einer internationalen Konferenz zusammen, die am 16. und 17. September 2013 unter dem Dach des Georgischen Instituts für Verwaltungswissenschaften an der Staatlichen Ivane Javakhishvili Universität Tbilisi veranstaltet wurde. Ziel der regionalen Konferenz war es, die bisherigen Erfahrungen mit der Reform der öffentlichen Verwaltung in Georgien, Armenien und Adserbaidtschan zu analysieren und zu bewerten und Entwicklungstendenzen sichtbar zu machen. Im Mittelpunkt der Betrachtung stand die Frage, welche Rolle die öffentliche Verwaltung für die effektive Entwicklung von Demokratie und Rechtsstaatlichkeit spielt. Erörtert wurden Fragen der Rechtssicherheit und der parteipolitischen Neutralität der Staatsverwaltung ebenso wie Instrumente des Schutzes vor staatlicher Willkür, der Sicherung des Status der Staatsbediensteten, der nachhaltigen Personalentwicklung und der Karriereplanung, sowie der Aus- und Fortbildungen der öffentlichen Bediensteten.

Die Konferenz brachte übereinstimmende Problemlagen der drei kaukasischen Länder ans Licht. Es bestand Einigkeit, dass der Verwaltungswissenschaft bei der Umsetzung und weiteren Planung der Reformen für das Gelingen wesentliche Bedeutung zukommt, dass es sich bei den Reformen aber auch um ein gesamtgesellschaftliches Projekt handelt. Die Verstärkung des Dialogs zwischen Wissenschaft und Praxis, die Intensivierung der Kommunikation zwischen der Gesellschaft und staatlichen Einrichtungen können ein Fundament schaffen, auf dem ein erfolgreiches Modell der Staatsverwaltung aufbauen kann.

Die Herausgeber danken allen Teilnehmern für ihre anregenden Vorträge und Diskussionsbeiträge. Ermöglicht wurde die Veranstaltung durch die

finanzielle Unterstützung der Deutschen Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit, deren Mitarbeitern, insbesondere Frau Eter Chachanidze und Herrn Dr. Volker Stampe, auch für inhaltliche Impulse gedankt sei. Schließlich sei den wissenschaftlichen Mitarbeiterinnen am Institut, Frau Lia Shatberashvili und Frau Tamar Berishivili sehr herzlich für die engagierte logistische und fachliche Unterstützung, auch bei der Redaktion des vorliegenden Tagungsbandes gedankt.

Prof. Karl-Peter Sommermann

Deutsche Universität für Verwaltungswissenschaften Speyer

Prof. Giorgi Khubua

Institut für Verwaltungswissenschaften an der TSU

დოქტორი გვიდო მიუნთელი

*საქართველოში გერმანიის საელჩოს
ეკონომიკური ურთიერთობების ხელმძღვანელი*

მისასალმებელი სიტყვა კონფერენციისადმი „საჯარო მმართველობის ტრანსფორმაცია სამხრეთ კავკასიაში: გამოცდილება და პერსპექტივები“

– ძალაშია ნათქვამი სიტყვა! –

პატივცემულო ქალბატონებო და ბატონებო,
პატივცემულო ბატონო ხუბუა,

მადლობას მოგახსენებთ თქვენ და ღონისძიების ორგანიზატორებს ჩემი მონვევისთვის რამდენადაც იგი მასში მონაწილეობის საშუალებას მაძლევს, არა როგორც ამ თემის ექსპერტს, არამედ როგორც გერმანიის საელჩოს და საჯარო მმართველობის ნარმომადგენელს – უფრო სწორად კი ამ სფეროში გარკვეულწილად ჩართულ ადამიანს.

ამასთანავე ბუნებრივია, რომ საელჩოს შეხედულება ამ ღონისძიებაზე განსხვავებულია, რამდენადაც იგი ნაწილია სულ უფრო განვითარებადი გერმანულ-ქართული თანამშრომლობისა: ერთი მხრივ, უმაღლესი სწავლების სფეროში, რომლის ნათელი მაგალითი თბილისის უნივერსიტეტსა და შპაიერის მმართველობის უმაღლეს სკოლას შორის მრავალწლიანი კოოპერაცია, მეორე მხრივ კი სამართლებრივი თანამშრომლობის სფეროში, სადაც არცერთ განვითარების დახმარების საერთაშორისო ორგანიზაციას ისე არ მოუხვეჭია სახელი საქართველოში, როგორც გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებას (IZ).

ორივე ეს მიმართულება: უმაღლესი სწავლება და სამართალი აგერ უკვე დაახლოებით 20 წელია რაც ქართულ-გერმანული ბილატერალური ურთიერთობების განუყოფელ ნაწილს და შეიძლება ითქვას, ამ ურთიერთობების საყრდენ სვეტებს წარმოადგენს.

იგივეს თქმა შეიძლება სომხეთისა და აზერბაიჯანის შემთხვევაშიც, სადაც უმაღლეს სკოლებს შორის კოოპერაცია და სამართლებრივი თანამშრომლობა ასევე გერმანიასთან ორმხრივი ურთიერთობების ცენტრალურ შემადგენელ ნაწილს შეადგენს.

ქალბატონებო და ბატონებო,

ცხადია, კონფერენციის დასახელება (საჯარო მმართველობის ტრანსფორმაცია) არც მაინცდამაინც ახალი თემაა ჩვენი ქვეყნების სამართლებრივი თანამშრომლობის ისტორიაში. უდავოა, რომ ამ სამმა ქვეყანამ გასულ წლებში არსებითი ნაბიჯები გადადგა მმართველობის რეფორმირების მიმართულებით, თუმცა შეიძლება ისიც ითქვას, რომ მას, სხვა თემებისგან განსხვავებით, მაინც შედარებით ნაკლები ყურადღება ეთმობოდა.

ის რომ საერთაშორისო თანამშრომლობამ დაგვიანებით მოიცვა მმართველობის საკითხები, ეს ისეთი ფენომენია, რომელსაც ჩვენ სხვა გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებშიც ვაკვირდებოდით.

მაგალითად, პოსტკომუნისტურ ევროპაში საერთაშორისო მხარდაჭერის ფოკუსში, უპირველეს ყოვლისა, ექცეოდა და ამჟამადაც მოქცეულია ქმედითი დემოკრატიისა და ეკონომიკის აღმოცენება, ანუ კონსტიტუციური რეფორმა, პოლიტიკური პარტიების განვითარება, სამოქალაქო საზოგადოებისა და თავისუფალი პრესის ჩამოყალიბება და ამასთანავე კერძო საკუთრების, ეკონომიური შეჯიბრებითობისა და ქმედითი ბაზრების შექმნა. და მხოლოდ გარკვეული დაგვიანებით ეთმობა ყურადღება საჯარო მმართველობის რეფორმებს. მიზეზებზე მე მხოლოდ შემიძლია ვიმარჩიელო, ხოლო თქვენ, როგორც ექსპერტებს შეგიძლიათ უკეთ იმსჯელოთ:

- იქნებ იმიტომ, რომ როდესაც ქვეყანა ყოვლისმომცველი ცვლილებების წინაშე დგას, პირველი პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმები გარკვეულ მმართველობას საჭიროებს. ამდენად, არ შეიძლება მოისპოს არსებული, თუმცა ცუდად ფუნქციონირებადი მმართველობა. 1990-იან წლებში ჩატარებულ ტრანსფორმაციის კვლევებში ეს გამოწვევა, როგორც „*rebuilding the ship at sea*“ იქნა მოაზრებული.
- იქნებ იმიტომ რომ, მმართველობებმა თავად უნდა მოახდინონ საკუთარი თავის რეფორმირება, ჭიანჭურდება ეს გარდაქმნები, რამდენადაც არავის სურს ნებაყოფილობით შეცვლა გაკვალული სტრუქტურებისა და პროცესებისა, რომლებთანაც წლების თუ ათწლეულების განმავლობაში იყვნენ ადამიანები ნაზიარები.
- ანდა, იქნებ იმიტომ, რომ რეფორმების მიმღები მხარის ფოკუსი და გაგება, იმის შესახებ თუ რას საჭიროებს კარგი მმართველობა და როგორ გამოიყურება იგი, თუ რა მიზნით უნდა მოხდეს მმართველობის გარდაქმნა, ხშირად განსხვავდება რეფორმების შემომთავაზებელი მხარის თვალსაზრისისგან.

ქალბატონებო და ბატონებო,

მე არ მსურს დამაგვირგვინებელი განაჩენის გამოტანა, ისე როგორც ეს მაქვს ვებერმა 100 წლის წინ თავის სახელგანთქმულ ნაწარმოებში „პოლიტიკა როგორც მოწოდება და პროფესია“ გააკეთა. იქ იგი აღწერს „დილექტანტების მმართველობას“, რომელიც არჩევნების შედეგების მიხედვით პირველიდან ბოლო საფეხურამდე მთლიანად იცვლება.

ამას იგი უპირისპიერებს შრომის გამანაწილებელ სპეციალიზებული მოხელეობის იდეალს, რომელიც ევროპაში უკვე დაახლოებით 500 წლის განმავლობაში ვითარდება.

მე ხაზს ვუსვამ: „უკვე დაახლოებით 500 წლის განმავლობაში ვითარდება“, რამეთუ არც თანამედროვე ევროპული მმართველობა არის კრიტიკისგან თავისუფალი, იგი მუდმივად ვითარდება და მომავალშიც მოუწევს განვითარება.

ახლა კი მე, როგორც საჯარო მმართველობის წარმომადგენელი და მონაწილე, ვარიდებ თავს ამ დისკუსიებში მონაწილეობას, და მხოლოდ თქვენ, მმართველობის საკითხთა მკვლევარებს და ექსპერტებს გითმობთ ასპარეზს. მე გისურვებთ საინტერესო ღონისძიებას და, აგრეთვე, ჩვენ ყველას კვლავაც ნაყოფიერ თანამშრომლობას.

Dr. Guido Müntel

*Leiter der Wirtschaftsabteilung
der Deutschen Botschaft in Tbilisi*

**Grußwort zur Konferenz „Transformation der Öffentlichen
Verwaltung im Südkaukasus: Bilanz und Perspektiven“
16.-17.9.2013**

– Es gilt das gesprochene Wort! –

Sehr geehrte Damen und Herren,
sehr geehrter Herr Professor Khubua,

ich danke Ihnen und den Organisatoren dieser Veranstaltung für diese Einladung. Denn sie bietet mir die Gelegenheit zur Teilnahme.

Nicht, weil ich dem Thema als Experte beiwohnen darf, sondern – als Vertreter der Deutschen Botschaft und der öffentlichen Verwaltung – eher als eine Art Betroffener.

Nein, die Perspektive der Botschaft auf diese Veranstaltung ist natürlich eine andere: Denn diese Veranstaltung ist Teil einer sich immer weiter vertiefenden Zusammenarbeit zwischen Deutschland und Georgien:

Zum einem im Hochschulbereich. – Hierin ist die Kooperation zwischen der Universität Tiflis und der Verwaltungshochschule Speyer seit Jahren ein leuchtendes Beispiel.

Und zum anderen im Bereich der Rechtszusammenarbeit. – Und dafür steht hier in Georgien der Name GIZ, wie wohl keine andere Entwicklungshilfeorganisation.

Beide diese Bereiche, Hochschulen und Recht, begleiten schon seit etwa 20 Jahren die bilateralen Beziehungen zwischen Deutschland und Georgien – und sind damit wohl ihre ältesten Säulen, und damit auch Stützen.

Ähnliches gilt sicher auch in Armenien und Aserbaidschan, wo Hochschulkooperation und Rechtszusammenarbeit ebenso zentrale Bestandteile der Beziehungen mit DEU sind.

Meine Damen und Herren,

sicher ist der Titel der Konferenz („Transformation der öffentlichen Verwaltung“) kein ganz neues Thema in der Rechtszusammenarbeit unserer Länder. Aber vielleicht ein bislang noch weniger berücksichtigtes Thema – auch wenn alle drei Länder natürlich in den vergangenen Jahren schon ganz wesentliche Schritte zur Reform ihrer Verwaltungen unternommen haben. Daran besteht kein Zweifel! Dass aber internationale Zusammenarbeit dennoch erst relativ spät auf den Bereich der Verwaltung blickt – das ist ein Phänomen, wie man es auch in anderen Transformationsländern gesehen hat: Der Fokus der internationalen Unterstützung, z.B. im post-kommunistischen Europa, lag und liegt oft zu allererst auf der Herstellung funktionierender Demokratien und Ökonomien: Also auf Verfassungsreform, Parteienentwicklung, Aufbau einer Zivilgesellschaft und einer freien Presse

Und auf die Schaffung von Privateigentum, von freiem Wettbewerb und funktionierenden Märkten. Erst mit einer gewissen zeitlichen Verzögerung richtet sich das Augenmerk auf die Reformen der öffentlichen Verwaltung.

Über die Gründe kann ich nur mutmaßen, das können Sie als Experten sicher besser beurteilen:

- Vielleicht, weil es auch zur Umsetzung der ersten politischen und ökonomischen Reformen einer Verwaltung bedarf. Man sich also nicht einer bestehenden, wenn auch vielleicht schlecht funktionierenden Verwaltung berauben darf, wenn so umwälzende Veränderungen anstehen. In der Transformationsforschung der 1990er Jahre wurde diese Herausforderung als „*rebuilding the ship at sea*“ genannt.
- Vielleicht, weil es auch die Verwaltungen sind, die sich *selbst* reformieren müssten – und wer möchte schon freiwillig eingefahrene Strukturen und Prozesse ändern, mit denen er oder sie über Jahre und Jahrzehnte vertraut war.

- Und vielleicht, weil auch der Fokus und das Verständnis auf der Empfängerseite, was eine gute Verwaltung benötigt, wie sie auszusehen hat, mit welchem Ziel eine Verwaltung also reformiert werden soll, häufig anders war und ist als auf der Geberseite.

Meine Damen und Herren,

Ich möchte kein abschließendes Urteil abgeben wie Max Weber vor knapp 100 Jahren in seiner berühmten Schrift „Politik als Beruf“: Dort beschreibt er eine „Dilettantenverwaltung“, welche je nach Ausgang von Wahlen von der Spitze bis in die untersten Ebenen ausgetauscht wird. Dem stellt er gegenüber das Ideal des arbeitsteiligen Fachbeamtentums, wie es sich in Europa seit etwa 500 Jahren entwickelt. Und ich betone: „seit etwa 500 Jahren entwickelt“! Denn auch die Verwaltung der heutigen europäischen Moderne ist nicht ohne Kritik, entwickelt sich weiter, und muss sich weiter entwickeln! Stichworte in dieser Diskussion, auch in Deutschland, sind: starre Hierarchien, enge Dienstwege, kameralistische Haushaltsführung, und zu geringer Austausch an Personal und Ideen mit der Privatwirtschaft

Als Vertreter der öffentlichen Verwaltung, als Betroffener, ziehe mich aber nun aus dieser Diskussion zurück und überlasse das Feld ganz allein Ihnen, den Verwaltungswissenschaftlern und Experten!
Ich wünsche eine interessante Veranstaltung, und Ihnen aber auch uns allen weiterhin eine gute Zusammenarbeit!

პროფ. გიორგი ხუბუა

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და
მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი*

სახელმწიფო მართვის მოდერნიზაცია: გამოცდილება და პერსპექტივები

ოსტკომუნისტური ქვეყნების ტრანსფორმაციის პროცესის 25-წლიანი ისტორია საკმარის მასალას იძლევა მეცნიერული რეფლექსიისა და პოლიტიკური პრაქტიკის ანალიზისათვის. სახელმწიფო მართვის სფეროში განხორციელებული ცვლილებების და წარსულის გამოცდილების გათვალისწინების გარეშე რთულია დღეს არსებული სიტუაციის სათანადო შეფასება. სამწუხაროდ, ბევრ საკითხზე ვერ ვისაუბრებთ როგორც უკვე გარდასულ პრობლემაზე. ტრანსფორმაციის საწყისი ეტაპისათვის დამახასიათებელი ცალკეული პრობლემები დღემდე ინარჩუნებს აქტუალობას ან არსებობას განაგრძობს რამდენადმე მოდიფიცირებული ფორმით.

1. ტრანსფორმაციის სირთულეები

აღმოსავლეთ ევროპაში განხორციელებულ სისტემურ ცვლილებებს, შეიძლება ითქვას, რომ ანალოგი არ ჰქონია. ტოტალიტარიზმიდან დემოკრატიულ მმართველობაზე ბევრი ქვეყანა გადავიდა, მაგრამ ამ ქვეყნებში განხორციელებული ცვლილება ერთდროულად არ შეხებია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარეს. განსხვავებული სიტუაცია შეიქმნა აღმოსავლეთ ევროპაში, სადაც გარდაქმნის პროცესმა ერთდროულად მოიცვა სოციალური რეალობის თითქმის ყველა სეგმენტი.

შემთხვევითი არ არის, რომ აღმოსავლეთ ევროპაში დემოკრატიული გარდაქმნების პერსპექტივები საკმაოდ სკეპტიკურად

იყო შეფასებული მეცნიერებაშიც. მეცნიერთა ნაწილი ასაბუთებდა, რომ შეუძლებელია ერთდროულად განხორციელდეს ყველა საზოგადოებრივი სექტორის სისტემური ცვლილება. „ერთდროულობის დილემის“ (ელსტერი) თეორია შეუძლებლად მიჩნევდა სამი სხვადასხვა პროცესის ერთდროულად განხორციელებას: პოლიტიკურ ტრანსფორმაციას (გადასვლა დიქტატურიდან დემოკრატიაზე), ეკონომიკურ ტრანსფორმაციას (გადასვლა საბაზრო სტრუქტურებზე) და სახელმწიფოს ტრანსფორმაციას (სახელმწიფოს ქმედითი, თანამედროვე სტრუქტურების ჩამოყალიბება). მით უფრო, რომ თითოეულ ამ მიმართულებას (ეროვნული სახელმწიფოს ჩამოყალიბება, დემოკრატიზაცია და ეკონომიკური მოდერნიზაცია) ახასიათებს მიდრეკილება ავტონომიისა და დამოუკიდებლობისაკენ.

ტრანსფორმაციის პროცესში მყოფ სახელმწიფოებს ნაკლებად ჰქონდათ მოდერნისტული კონცეფციებისა და რეფორმატორული მიდგომების განვითარების შესაძლებლობაც. შედარებით ახალგაზრდა იყო სახელმწიფო სტრუქტურები. ეკონომიკა, არსებითად, იყო სახელმწიფოს, ხოლო ეკონომიკის სფეროში დასაქმებული ხალხი – სახელმწიფო ბიუროკრატის გაგრძელება. არ არსებობდა სხვა საზოგადოებრივი სექტორებიდან წარმატებული მოდელების გადმოღების შესაძლებლობაც. ასეთი წარმატებული მოდელები ნაკლებად იყო ეკონომიკის, ფინანსურ და სხვა სექტორში. შესაბამისად, რთული იყო მათი მოძიება და იმპლემენტაცია სახელმწიფო სისტემაში.

სახელმწიფო ინსტიტუტების ეროზიის პროცესს მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ეთნო-ნაციონალურმა და პოლიტიკურმა კონფლიქტებმა, სამოქალაქო ომმა და შინა-სახელმწიფო დაპირისპირებებმა. სახელისუფლებო ვაკუუმმა უარყოფითად იმოქმედა რეფორმების პროცესზე და, გარკვეულწილად, წაახალისა ცალკეულ ტერიტორიებზე „ნეო-ფეოდალური“ სტრუქტურების ჩამოყალიბებაც.

2. რას ვაშენებდით: სახელმწიფოს თუ პოლიტიკურ რეჟიმს?

განვლილი წლების გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ უმთავრესი ძალისხმევა მიმართული იყო პოლიტიკური რეჟიმის, და არა სახელმწიფოს თანამედროვე სტრუქტურების ჩამოყალიბებისაკენ. სახელმწიფო მართვის წმინდა ტექნოკრატიული ასპექტები რამდენადმე ჩრდილში იყო მოქცეული. ამ გარემოებით შეიძლება აიხსნას ბევრ პოსტკომუნისტურ ქვეყანაში არსებული ქრონიკული არასტაბილურობაც. საზოგადოებაში სტაბილური მდგომარეობის უმთავრესი წინაპირობა სწორედ ქმედითი სახელმწიფო სტრუქტურების არსებობაა. პოლიტიკური რეჟიმი გაცილებით უფრო ადვილად ექვემდებარება ცვლილებებს და ვერ უზრუნველყოფს მდგრად, პროგნოზირებად განვითარებას.

რეფორმის პროცესში წინა პლანზე იყო წამოწეული რეჟიმის ცვლილებასთან დაკავშირებული ისეთი თემები, როგორიცაა არჩევნები, პოლიტიკური პლურალიზმი, პარტიები და სხვ. პოლიტიკური დისკუსიებისათვის განმსაზღვრელი იყო დემოკრატიზაცია და დემოკრატიული გარდაქმნების თემა, მაგრამ აღნიშნული პრობლემატიკა განიხილებოდა სახელმწიფო მართვის საკითხებისაგან იზოლირებულად. პოლიტიკური ტრანსფორმაციის პროცესი დაყვანილი იქნა მხოლოდ დემოკრატიზაციის ასპექტამდე. ერთმანეთისაგან ხელოვნურად გაიმიჯნა დემოკრატიული რეჟიმისა და სახელმწიფოს პრობლემატიკა. სათანადოდ არ იქნა გათვალისწინებული ის გარემოება, რომ დემოკრატიული გარდაქმნების განხორციელება შეუძლებელია სახელმწიფო სტრუქტურების ეფექტური რეორგანიზაციის გარეშე.

აღსანიშნავია ის განსხვავებული დინამიკა, რომელიც დამახასიათებელია, ერთი მხრივ, პოლიტიკური რეფორმებისათვის და, მეორე მხრივ, სახელმწიფო სტრუქტურების რეორგანიზაციისათვის. გარდაქმნები გაცილებით დინამიკურად წარიმართა პოლიტიკის სფეროში, მათ შორის დემოკრატიზაციის რამდენიმე „ტალღის“ ფორმით. შედარებით უფრო ნაკლები დინამიზმით წარიმართა სახელმწიფო სტრუქტურების მოდერნიზაციის პროცესი. ძველმა ბი-

უროკრატიულმა სისტემამ მოახერხა დემოკრატიზაციის პროცესთან ადაპტაცია, რის შედეგადაც მივიღეთ ჰიბრიდული რეჟიმები.

არა მარტო ტრანსფორმაციის პრაქტიკა, არამედ სამეცნიერო კვლევებიც, ძირითადად, ფოკუსირებული იყო პოლიტიკურ თემებზე. ასეთი მიდგომა, გარკვეულწილად, აიხსნება იმ გარემოებით, რომ ტრანსფორმაციის როგორც პოლიტიკური პროექტის კონცეპტუალური დებულებები, ძირითადად, ჩამოყალიბებული და განვითარებული იყო პოლიტიკოსების მიერ. სისტემური ცვლილებების კონცეფცია არ იყო ინტელექტუალურად სათანადოდ „მომზადებული“ და დამუშავებული. მეცნიერების ერთგვარი დეზორიენტაცია შეიძლება აიხსნას სისტემური ცვლილებების მოულოდნელი ხასიათითაც – შედარებით მოკლე დროში რთული აღმოჩნდა სიღრმისეული სამეცნიერო ანალიზის გაკეთება.

გარკვეულწილად ნეგატიური გავლენა იქონია პოსტ-კომუნისტურ ქვეყნებში დამკვიდრებულმა ანტი-ეტატიტურმა განწყობამაც. ტოტალიტარული სახელმწიფოს წარსული უსიამოვნო მოგონებებს აღძრავდა საზოგადოების დიდ ნაწილში. სახელმწიფო ასოცირდებოდა მხოლოდ რეპრესიულ ინსტიტუტთან, რომლის „დაძლევა“ დემოკრატიის განვითარების ერთგვარ წინაპირობადაც კი იყო აღქმული. სახელმწიფო სექტორის „მოცულობაში“ შემცირება ავტომატურად იყო გაიგივებული მეტ თავისუფლებასა და ინდივიდუალურ ავტონომიასთან.

3. „პრივატიზებული სახელმწიფო“?

სახელმწიფო სტრუქტურების ფორმირების პროცესზე ნეგატიური გავლენა იქონია პრივატიზაციის არასწორმა პრაქტიკამ. მნიშვნელოვანი ეკონომიკური და ფინანსური ძალაუფლების კონცენტრაცია მოხდა ყოფილი პარტიული ნომენკლატურის ხელში. გარკვეული თვალსაზრისით, განხორციელდა სახელმწიფო ინსტიტუტების „პრივატიზაცია“. ფართოდ იყო გავრცელებული სახელმწიფო ინსტიტუტების პარტიკულარული, პარტიულ-პოლიტიკური ინტერესებისათვის გამოყენების პრაქტიკა.

გადაჭარბებულად იქნა შეფასებული თავისუფალი საბაზრო ურთიერთობების როლი მართვის თანამედროვე სტრუქტურების ჩამოყალიბების თვალსაზრისით. გავრცელებული შეხედულების მიხედვით, საბაზრო ურთიერთობები თითქოს ავტომატურად ჩამოაყალიბებდა სახელმწიფო მართვის დემოკრატიულ, ეფექტურ და თანამედროვე სტრუქტურებს. დემოკრატია და საბაზრო ურთიერთობებს შორის ასეთი ცალმხრივი კავშირი აუბრალოებს თანამედროვე სახელმწიფოს არსს. ასეთმა მიდგომამ უარყოფითად იმოქმედა სახელმწიფო სტრუქტურების რეფორმირების პროცესზე. სახელმწიფო ვერ იქნება „უკეთესი“ ბანკირი ან მენარმე. ამავე დროს, არის მთელი რიგი სფეროები, სადაც კერძო ინტერესი ავტომატურად ვერ უზრუნველყოფს მომსახურებას და სადაც სახელმწიფოს „ბუნებრივი“ მონოპოლია აქვს.

რამდენადმე გაფეტიშებული იყო სამართლებრივი წესების როლი დემოკრატიული გარდაქმნების პროცესში. ტრანსფორმაციის პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ მხოლოდ ნორმატიული მოთხოვნები და სამართლებრივი წესი ვერ ჩამოაყალიბებს დემოკრატიულ ინსტიტუტებს. არანაკლებ მნიშვნელოვანია, თუ როგორ ხდება ამ წესების დაცვა და რამდენად არის ის რეალიზებული პრაქტიკაში. ნორმატიულ სინამდვილესა და პოლიტიკურ პრაქტიკას შორის არსებული შეუსაბამობა, რომელსაც ემატება წესების დაცვის მიმართ ზედაპირული დამოკიდებულების ტრადიცია, ყოველთვის აღრმავებს სამართლებრივ ნიჰილიზმს და ხელს უშლის სამართლისადმი პატივისმცემლურ დამოკიდებულებას.

4. სახელმწიფოსაგან გაუცხოება და სოციალური სოლიდარობის დეფიციტი

სახელმწიფო ვერ გახდა თვითიდენტიფიკაციის ერთ-ერთი ფორმა საზოგადოების დიდი ნაწილისათვის. ჯერ კიდევ ძლიერია სახელმწიფო ინსტიტუტებისაგან გაუცხოების სინდრომი. ამ პროცესს ხელს უწყობს სოციალური სოლიდარობის დეფიციტიც. კოლექტივისტურ სანყისებზე ორგანიზებული სოციალისტური საზოგადოება ჩაანაცვლა „ატომიზირებულმა“ საზოგადოებამ,

სადაც დომინირებს ეგოცენტრისტული მისწრაფებები და სადაც სოციალური სოლიდარობის განცდა და სოციალური პასუხისმგებლობის კატეგორიები მეორე პლანზე გადადის.

რა აყალობებს საზოგადოების ერთიანობას? რა ტიპის ეროვნულ სახელმწიფოს ვაშენებთ? შეუძლია თუ არა დემოკრატიას ან სამართლებრივი სახელმწიფოს კონცეფციას შეასრულოს ეროვნული ერთიანობის იდეის ფუნქცია? ეს თემები დღემდე პასუხგაუცემელია და ამ საკითხებზე აქტიური საზოგადოებრივი დისკურსიც არ მიმდინარეობს.

5. სტრატეგიული მიზნის მნიშვნელობა

სახელმწიფო მართვის რეფორმის პროცესში მნიშვნელოვანია მკაფიოდ განისაზღვროს უმთავრესი სტრატეგიული მიზნები და არ „ჩაიკარგოს“ წვრილმან დეტალებში. წინააღმდეგ შემთხვევაში, განსაკუთრებით გაიზრდება მოდერნიზაციის პროცესის „დამბლის“ რისკი.

სახელმწიფო მართვა ორიენტირებული უნდა იყოს პრობლემათა გადაწყვეტის სტრატეგიულ ხედვებზე და არა ამ პრობლემების წმინდა ბიუროკრატიულ რეგულირებაზე. ცვლილებები არ უნდა იყოს ფოკუსირებული შედარებით ნაკლები ან ლოკალური მნიშვნელობის თემებზე. სტრატეგიული ხედვის დეფინიციის პირობებში პოლიტიკაც „ახლომხედველური“ გახდება და მოკლებული იქნება გრძელვადიანი პროგნოზის შესაძლებლობებს.

სტრატეგიული მიზნის ფორმირების პარალელურად უნდა წახალისდეს ფართო საზოგადოებრივი დისკურსი როგორც ამ მიზნების, ისე მათი განხორციელების ფორმების შესახებ. ასეთი დისკურსი იმთავითვე გამორიცხავს სახელმწიფო მართვის დოგმატიზაციას და უზრუნველყოფს ფართო საზოგადოებრივ კონსენსუსს. იგი, ასევე, მნიშვნელოვანია საზოგადოებაში სოციალური სოლიდარობის დონის ამაღლებისათვის. ეფექტურად მოქმედი სახელმწიფო სისტემა უზრუნველყოფს საზოგადოებრივ კონსენსუსს რეფორმებთან მიმართებაში და ფართო წრეების მობილიზაციას ამ პროცესში. მხოლოდ ასეთი სისტემა უზრუნველყოფს ცვლილე-

ბათა მხარდაჭერას და გამორიცხავს რეფორმების ბლოკირებას, მათ შორის, ბიუროკრატიის მხრიდანაც.

6. საჯარო და კერძო ინტერესების დიფერენციაცია

საჯარო და კერძო სფეროს გამიჯვნა მართვის თანამედროვე სტრუქტურების უმთავრესი წინაპირობაა. შეიძლება ეს დებულება საკმაოდ ბანალურად ჟღერდეს, მაგრამ მისი პრაქტიკული განხორციელების გარეშე შეუძლებელია გამოვრიცხოთ პოლიტიკასა და სახელმწიფო მართვაზე პერსონალური (პირადი) ურთიერთობების გავლენა.

დიფერენციაცია არ ნიშნავს ერთმანეთისაგან ხელოვნურად გამიჯვნას. ამავე დროს, ამ სფეროების ავტონომიურობის სთანადო ხარისხის უზრუნველყოფის გარეშე შეუძლებელია თანამედროვე ტიპის სახელმწიფო სტრუქტურების ფორმირება.

პოლიტიკის, ეკონომიკისა და მართვის სფეროების ერთმანეთისაგან გამიჯვნა აყალიბებს სისტემის მოდერნიზაციის ცენტრალურ ელემენტს. ამ სფეროების მკაფიო დიფერენციაციის გარეშე განხორციელებული ნებისმიერი ცვლილება მხოლოდ ფასადური ხასიათის იქნება, როდესაც შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ გარეგანი ანტიურაჟი, მაგრამ (ძველი) სისტემის არსი უცვლელი დარჩება.

7. სახელმწიფო, როგორც თვითნებობისაგან დაცვის გარანტია

სახელმწიფოს მართვაში უნდა გამოირიცხოს გადაწყვეტილება ბათა თვითნებურად მიღების პრაქტიკა, რომელიც ეფუძნება არა ნორმებს და წესებს, არამედ გადაწყვეტილების მიმღები პირის ინდივიდუალურ შეხედულებებს, პირად სიმპათიებსა თუ ანტიპათიებს. აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ჩვენი უახლოესი ნარსულის სამწუხარო გამოცდილება, როდესაც პოლიტიკური ლიდერის ფეტიშიზაციამ და კლიენტელიზმმა, საბოლოო ჯამში, ჩამოაყალიბა სახელმწიფოს თვითნებობის პატრიმონიული ხასიათი. როდესაც ფორმალურ და არაფორმალურ წესებს შორის ზღვარი პირობითია, ბიუროკრატიულ აპარატს ყოველთვის აქვს

ფორმალური წესებისათვის თავის არიდებისა და მანიპულაციის, ასევე სახელმწიფო ინსტიტუტის პირადი მიზნებისათვის გამოყენების შესაძლებლობა.

მხოლოდ მოდერნიზაციას შეუძლია დაძლიოს პატრიმონი-ალური სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი მართვის პერსონი-ფიცირებული სტილი და კანონიერი მოლოდინების დეფიციტი – როდესაც არავინ არ არის დაზღვეული უცნაური სიურპრიზებისაგან. სახელმწიფო სისტემის რეფორმა ფოკუსირებული უნდა იყოს ინსტიტუტებზე და არა პოლიტიკური პროცესის მონაწილეებზე.

ეფექტური და ფუნქციონირებადი ადმინისტრაციული სტრუქტურების არსებობა, პირველ რიგში, გულისხმობს მათ ანგარიშვალდებულებას ხალხის წინაშე. მხოლოდ ასეთი ანგარიშვალდებულების პირობებში შეიძლება მოიხსნას ხელისუფლებისადმი მხარდაჭერის პრობლემა და მიღწეულ იქნეს მოდერნიზაციის სხვა მიზანი – ინსტიტუციონალური სტაბილურობა.

8. სახელმწიფო მართვის „ეკონომიურობა“

მხოლოდ ბრძანებებზე, კონტროლზე, მოვალეობათა რუტინულ შესრულებასა და შიშველ ადმინისტრირებაზე ორიენტირებული სისტემა სახელმწიფო მართვის გუშინდელი დღეა. თანამედროვე მართვა ფოკუსირებულია ისეთ მნიშვნელოვან მიზნებზე, როგორცაა განეული მომსახურების ხარისხი, პრობლემის გადაჭრა, მომხმარებელზე ორიენტაცია, რესურსების მომჭირნე ხარჯვა, განეული ხარჯის ეფექტურობა, შეჯიბრებითობა და კონკურენცია.

სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის ფუნქციების გამიჯვნა უნდა დაეფუძნოს სუბსიდიარობის პრინციპს. სახელმწიფომ უნდა გააკეთოს მხოლოდ ის, რაც არ შეუძლია კერძო პირს ან დანესებულებას. ამ პრინციპის საფუძველზე შესაძლებელია, რომ სახელმწიფო ფუნქციები განხორციელდეს ეკონომიურად, მაქსიმალურად ნაკლები დანახარჯებით.

თანამედროვე სახელმწიფო მმართველობა ორიენტირებულია მენეჯმენტსა და ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფაზე და

მისი შინაარსი უკვე არ ამოიწურება მხოლოდ წესების დაცვითა და მართვის პროგნოზირებადი ხასიათით. საჯარო მართვის წმინდა ფორმალურ-პროცედურული ასპექტები უკვე განიხილება როგორც ერთგვარი წინაღობაც კი სახელმწიფო ფუნქციათა ეფექტური განხორციელების პროცესში. საჯარო მართვის თანამედროვე მოდელი, ამავე დროს, არის ნაკლებად ცენტრალისტური. დეცენტრალიზებულმა მენეჯმენტმა თანდათან ჩაანაცვლა მართვის ზეცენტრალიზებული, იერარქიული სტრუქტურები.

მართვის სხვადასხვა სექტორებს შორის არსებულმა კონკურენციამ უნდა უზრუნველყოს ფინანსური და სხვა სახსრების მომჭირნე და ეფექტური ხარჯვა. სახელმწიფო აპარატის ეფექტურობა მის მიერ წარმოებული ბიუროკრატიული პროდუქციით კი არ განისაზღვრება, არამედ მომხმარებლისათვის განეული სერვისით.

სახელმწიფო მართვაში უნდა გამოირიცხოს პასუხისმგებლობის ანონიმურობა – ვინც იღებს გადაწყვეტილებას, მან ასევე უნდა აიღოს პასუხისმგებლობა ამ გადაწყვეტილების განხორციელებისათვის. მხოლოდ ასეთი მიდგომის შემთხვევაშია შესაძლებელი მივიღოთ ისეთი საჯარო სექტორი, რომელიც ორიენტირებული იქნება შედეგზე და, ამავდროულად, ინიციატივასაც წაახალისებს. მხოლოდ ერთი ცენტრიდან მომდინარე ბრძანებების მოლოდინის რეჟიმში მყოფი სისტემა ვერასოდეს გახდება ეფექტური.

მართვის თანამედროვე სტილი ვერ დაინერგება მხოლოდ სისტემებისა და მეთოდების ცოდნით. მთავარი პრობლემაა არა ცოდნის დეფიციტი, არამედ ამ ცოდნის ტრანსფერი.

9. პროფესიული ზრდის მოტივაცია

თანამედროვე, დინამიკურ საზოგადოებაში ცოდნაც მალე „ძველდება“. სახელმწიფო მოხელეს უნდა ჰქონდეს არა მარტო ცოდნის განახლების შესაძლებლობა, არამედ შემდგომი პროფესიული ზრდის მოტივაციაც.

პროფესიული ზრდის სურვილი ყოველთვის ნაკლებია იქ, სადაც უმთავრესი ღირებულებაა ვასალური ერთგულება, ნდობა,

თმენა და კონფლიქტებისაგან „გაქცევა“. პასუხისმგებლობა და ინიციატივა შეუძლებელია განვითარდეს ისეთ სისტემაში, სადაც გადაწყვეტილებათა მიღების უფლებამოსილება მთლიანად კონცენტრირებულია ხელმძღვანელის ხელში. ეფექტური ვერასოდეს იქნება მართვის ისეთი სისტემა, სადაც დომინირებს პასიური და „თავდაცვითი“ ქცევა.

კარიერის დაგეგმვა, ასევე, მნიშვნელოვანი მოტივაციაა შემდგომი პროფესიული ზრდის თვალსაზრისით. ქრონიკული დამბლისათვისაა განწირული სისტემა, სადაც კარიერული წინსვლის განმსაზღვრელი კრიტერიუმი იქნება ლოიალურობა და მორჩილება. ასეთი სისტემა ვერაფერს „შექმნის“ ის განწირულია სტაგნაციისათვის. ასეთმა სისტემამ შეიძლება გარკვეული პერიოდისათვის უზრუნველყოს წესრიგი, შეინარჩუნოს არსებული „სტატუს ქვო“, მაგრამ ის ვერ უზრუნველყოფს განვითარებას.

პროფ. პაატა ტურავა

თსუ იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

საჯარო სამსახურის რეფორმის ძირითადი ასპექტები

შესავალი

სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბების გზაზე მნიშვნელოვანია საჯარო სამსახურის რეფორმის განხორციელება. პოლიტიკური ზეგავლენისგან დამოუკიდებელი საჯარო სამსახურის რეფორმა არის გამონკვევა, რომლის წინაშეც დგას ქართული სახელმწიფო. საჯარო მოხელეთა პოლიტიკური ნეიტრალიტეტი ფორმალურად აღიარებულია დღეს მოქმედ კანონში საჯარო სამსახურის შესახებ. თუმცა მისი განხორციელება – საქართველოს სახელმწიფოს ერთგულების პრინციპის არასწორი გაგება გადაზრდილია მმართველი პოლიტიკური ძალისადმი ერთგულებაში.

საქართველოს სამთავრობო პროგრამით აღიარებულ იქნა საჯარო სამსახურის რეფორმის აუცილებლობა. გაცხადდა პოლიტიკური ნება, ჩამოყალიბდეს პროფესიული საჯარო მოხელის ინსტიტუტზე დამყარებული სისტემა.

შეიქმნა სამუშაო ჯგუფი¹, რომელმაც უნდა შექმნას საჯარო სამსახურის რეფორმის კონცეფცია. პროექტის ფარგლებში უნდა გაანალიზდეს საჯარო სამსახურის განსხვავებული მოდელები,

¹ USAID-ის პროექტის „დემოკრატიული მმართველობა საქართველოში (G3)“ ფარგლებში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის და პოლიტიკის სკოლის, არასამთავრობო ორგანიზაცია „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ და სმარტ-კონსალტინგის შემადგენლობით.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს „პროფესიული საჯარო მოხელის ინსტიტუტს“, რამდენადაც დღეს მოქმედი კანონი, ფორმალურად, ემყარება აღნიშნულ მოდელს. უნდა გაანალიზდეს ტრადიციული ბიუროკრატიული მოდელის გვერდით, „მართვის ახალი მოდელის“ ძირითადი ასპექტების გათვალისწინებით, პოლიტიკური ზეგავლენისაგან დამოუკიდებელი მართვის განხორციელების მექანიზმების შექმნის შესაძლებლობები, პროფესიული საჯარო მოხელის სამართლებრივი სტატუსის და მისი სამართლებრივი დაცვის მექანიზმების საჯარო სამსახურის შესახებ კანონით რეალურად განსაზღვრის გზები.

საჯარო სამსახურის კონცეფციამ უნდა შექმნას მყარი საფუძვლები საჯარო სამსახურის შესახებ ახალი კანონის შესამუშავებლად. აღნიშნულმა კანონმა უნდა განსაზღვროს საჯარო სამსახურის სისტემა, საჯარო სამსახურის კლასიფიკაცია, საჯარო სამსახურის გავლის წესი კარიერული პრინციპის შესაბამისად, საჯარო მოსამსახურეთა სოციალური დაცვის გარანტიები, საჯარო მოსამსახურეთა განათლების, მომზადებისა და გადამზადების სისტემა. საჯარო სამსახურის სისტემის ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით უნდა შეიქმნას შესაბამისი სამსახური, რომელიც აღჭურვილი იქნება რეალური უფლებამოსილებებით, რათა ხელი შეუწყოს მმართველობის ერთიანი სტანდარტების დანერგვას საჯარო სამსახურში.

საჯარო სამსახურის შესახებ მოქმედი კანონი ფორმალურად იცნობს საჯარო მოხელის ინსტიტუტს, რომელიც ინიშნება უვადოდ, თუმცა კანონი არ განსაზღვრავს იმ სამართლებრივ გარანტიებს, რომელიც შინაარს შესძენდა მას.

საკითხი აქტუალურია იმდენად, რამდენადაც წინა მოწვევის პარლამენტში შესული კანონპროექტი უარს ამბობს პროფესიული საჯარო მოხელის ინსტიტუტზე და სამოხელეო სამართლებრივი ურთიერთობა გადაჰყავს სახელშეკრულებო ურთიერთობაზე. როგორც კანონპროექტის დასაბუთებაში ვკითხულობთ, კონცეფცია ეფუძნება „ახალი მართვის“ მოდელის ელემენტებს,

რაც გულისხმობს კერძო სექტორის ელემენტების შემოტანას საჯარო სამსახურში.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონი მიღებული იქნა 1997 წლის 31 ოქტომბერს და მასში დღემდე 74 ცვლილება და დამატება შევიდა. თითოეული ცვლილება ატარებდა ფრაგმენტულ ხასიათს, ემსახურებოდა პოლიტიკური მიზნების მიღწევას და, ამდენად, არ იყო საჯარო სამსახურის თანამედროვე კონცეფციის შესაბამისი კანონის ჩამოყალიბებისკენ გადადგმული ნაბიჯი.

საჯარო მოხელის სტატუსი ეყრდნობა მთელ რიგ პრინციპებს და ღირებულებებს, რომელიც (მაგ., კანონიერება, მიუკერძოებლობა, პოლიტიკური ნეიტრალიტეტი, საერო ხასიათი და ა.შ.) და დაკავშირებულია საჯარო-სამართლებრივ ვალდებულებებთან. აღნიშნული ასევე მოითხოვს მოხელის სტატუსის შესაბამისი უფლებების და სამართლებრივი და სოციალური გარანტიების განსაზღვრას.

1. საკითხის აქტუალობა

დღემდე ამ მიმართულებით ჩატარდა რამდენიმე კვლევა, შეიქმნა კონცეპტუალური ნაშრომები და კანონპროექტები საჯარო სამსახურის რეფორმების შესახებ, გაიმართა მრგვალი მაგიდა. ევროპულმა ჯგუფმა SIGMA-მ მოამზადა საყურადღებო შენიშვნები ზოგიერთ ამ ინიციატივაზე. საქართველოს განვითარების კვლევითი ინსტიტუტის ფარგლებში შეიქმნა საჯარო სამსახურის რეფორმის კონცეფცია¹.

საქართველოში პოლიტიკური ხელისუფლების შეცვლის შემდეგ აშკარაა საჯარო სამსახურში სახელშეკრულებლო ურთიერთობის მიდგომიდან დაშორების ტენდენცია, რაც არ გულისხმობს „ახალი საჯარო მართვის“ ზოგიერთი ასპექტის არ გაზიარებას რეფორმის ფარგლებში.

¹ ლევან იზორია, პაატა ტურავა, საჯარო სამსახურის რეფორმის კონცეფცია, თბილისი, 2012.

ხშირად ალტერნატივის სახით განიხილება, ერთი მხრივ, სახელმწიფო სექტორში საკონტრაქტო ურთიერთობა, როგორც თანამშრომლების სტიმულირების საშუალება და, მეორე მხრივ, პრემიების გაცემა და დანინაურების სისტემა, როგორც მისი საპირნონე.

როგორც საჯარო სამსახურის რეფორმის კვლევებში აღინიშნება, მოქალაქეებისთვის საჯარო მომსახურების განვების მიზნით ეფექტიანი სახელმწიფო დანესებულებების არსებობა სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს. „პროფესიული საჯარო მოხელის“ ინსტიტუტის გარეშე საქართველოს ხელისუფლებას გაუჭირდება გაუმკლავდეს გარდამავალი ქვეყნის წინაშე მდგარ მთელ რიგ გამოწვევებს, რომელიც პოსტსაბჭოთა მემკვიდრეობას, თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისს და ომის შედეგებსაც გულისხმობს¹.

საჯარო სამსახურში მუდმივად ვანყდებით ისეთ სერიოზულ ადმინისტრაციულ პრობლემებს, როგორც არის შეუსაბამო ანაზღაურება და სოციალური გარანტიები, დაბალი პროფესიონალიზმი. საქართველოში გატარებული რეფორმების ფონზე გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული საჯარო სამსახურის ნაცვლად მივიღეთ სამთავრობო დასაქმების სისტემა.

საჯარო სამსახურის გაძლიერების მიზნით ჩატარებელი რეფორმები ფრაგმენტული სახისაა და განხორციელდა ცალკეულ სამინისტროში/სააგენტოში, რაც არ ატარებდა სისტემურ ხასიათს და არ იყო ფართოდ მხარდაჭერილი მმართველობის მთელ სისტემაში.

ფუნქციური საჯარო სამსახური პრობლემატური გახდა მას შემდეგ, რაც საქართველომ დაიწყო სახელმწიფოს და მისი სტრუქტურების განვითარება. როგორც უცხოელი ექსპერტები ასკვნიათ, სუსტი საჯარო სამსახური, რომელიც წარმოიშვა შევარდნაძის მმართველობის პერიოდში, შეესაბამებოდა სააკაშვილის მთავრობის ლიბერალურ ორიენტაციას ეკონომიკური პოლიტი-

¹ ევროპული ჯგუფი SIGMA.

კის მიმართ, რომელიც მიზნად ისახავდა სახელმწიფოს როლის შესუსტებას ეკონომიკაში, დერეგულირებას უმრავლეს სფეროში, სუბსიდირებული სოციალური მომსახურების, როგორცაა ჯანდაცვა, განათლება, სოციალური საცხოვრებელი და კეთილდღეობა – შემცირებას. თუმცა, როგორც ბევრი ანალიტიკოსი აღნიშნავს, ლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკის და სუსტი საჯარო სამსახურის ერთობლიობამ გამოიწვია ქართული სახელმწიფოს შესაძლებლობების „დაცარიელება“, რომელიც არეგულირებს ეკონომიკას, აკონტროლებს მომსახურების მიწოდებას, უწევს კოორდინაციას და მიმართავს რესურსებს სიღარიბის დაძლევისკენ მოსახლეობის ყველაზე დაუცველ სექტორში, უზრუნველყოფს ეფექტიან გარემოსდაცვით მენეჯმენტს და ხელს უწყობს დაბალანსებულ რეგიონულ და ურბანულ განვითარებას.¹

2. ძირითადი თეზისები

პროფესიული საჯარო მოხელის ინსტიტუტზე დამყარებული მოდელის უპირატესობის წარმოსაჩენად უნდა აღინიშნოს შემდეგი²:

საქართველოს პოლიტიკურ-ადმინისტრაციული სისტემა ჯერ კიდევ არ არის მყარი. განსაკუთრებით თვალშისაცემია სახელმწიფო ინსტიტუტების დამოუკიდებლობის დაბალი ხარისხი, სახელმწიფო საქმიანობაში მოქალაქეთა თანამონაწილეობის შეზღუდულობა, დემოკრატიული კონტროლის სისტემის სისუსტე. სახელმწიფო მოხელეთა მუშაობის სტილი გამოირჩევა მკაცრი ცენტრალიზმით, ეფექტიანი დაგეგმარებისა და კონტროლის დეფიციტით. პერსონალის სფეროში ნათლად ჩანს თანამშრომელთა კვალიფიკაციის დაბალი დონე, კლიენტელიზმი და პარტიული პატრონაჟი.

¹ იხ. მოხსენება, რომელიც მომზადდა ოჰაიოს ჩრდილოეთ უნივერსიტეტის სამართლის სკოლის პროფესორ ჰავარდ ფენტონის მიერ.

² დაწვრილებით იხ. ლევან იზორია, პაატა ტურავა, საჯარო სამსახურის რეფორმის კონცეფცია, აგრეთვე, ლევან იზორია, თანამედროვე სახელმწიფო თანამედროვე ადმინისტრაცია, 2008.

აღნიშნული რეალობის გამო, მოწინავე ქვეყნების სახელმწიფო-სა და საჯარო ადმინისტრაციის თანამედროვე კონცეფციების უპირობო დანერგვა საქართველოში იქნება კონტრაპროდუქტიული.

აღნიშნული კონცეფციის განხორციელება, პირველ რიგში, შესაძლებელია კარგად ფუნქციონირებადი საბაზრო ეკონომიკის პირობებში, სადაც კერძო საკუთრების დაცვა და სახელშეკრულებო ავტონომია არის უზრუნველყოფილი, განსაკუთრებით კი დამოუკიდებელი სასამართლო ხელისუფლების პირობებში. ტრასფორმაციის პროცესში მყოფი ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა, ტიპურია ის ფაქტი, რომ ეკონომიკა ბოლომდე არ არის სახელმწიფო რეგულაციისგან თავისუფალი. ფორმალური ინსტიტუტების ნაცვლად ძლიერია არაფორმალური ურთიერთობები, პატრონაჟი. ასეთი რეალობა ნოყიერ ნიადაგს არ იძლევა ახალი საჯარო მენეჯმენტის კონცეფციის სრულყოფილი განხორციელებისათვის, რომლის ერთ-ერთ მთავარ პრინციპს წარმოადგენს კერძო სტრუქტურებისთვის საჯარო ამოცანების რაც შეიძლება მეტად დელეგირება.

ახალი საჯარო მენეჯმენტის კონცეფციის განხორციელებისთვის აუცილებელი ნინაპირობაა ძლიერი, განხორციელების უნარის მქონე სახელმწიფო, დამოუკიდებელი საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების სისტემითა და კომპეტენტური, პოლიტიკურად ნეიტრალური საჯარო ადმინისტრაციის არსებობით. განსაკუთრებით პარალამენტმა, როგორც დამოუკიდებელმა პოლიტიკურმა ინსტიტუტმა, უნდა უზრუნველყოს საჯარო ადმინისტრაციის ძალაუფლების ბალანსი. ამდენად, ახალი საჯარო ადმინისტრაციის კონცეფციის მთავარი ორიენტირი დ მოქნილი სახელმწიფო - არ ნიშნავს სახელმწიფოს დასუსტებას, არამედ, პირიქით, გულისხმობს ძლიერ ინსტიტუტებს, რომლებიც დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპს შეესაბამება.

ამასთან, ახალი საჯარო მენეჯმენტის კონცეფციის ზოგიერთი ელემენტის განხორციელება, რამდენადაც კარგად არ უნდა ყდერდნენ ისინი როტორიკის დონეზე, ჩამოყალიბების პროცესში მყოფი საქართველოს დღევანდელი პოლიტიკურ-ადმინისტრაცი-

ული სისტემისთვის საფრთხის შემცველი უფროა. ერთი შეხედვით, საჯარო ადმინისტრაციის ფარგლებში პასუხისმგებლობის დეცენტრალიზაცია, ქვემდგომი რგოლებისთვის მეტი ავტონომიის მინიჭება შესაბამისი ბიუჯეტის გამოყოფით შეიძლება პოზიტიურად შეფასდეს, მაგრამ სუსტი სახელმწიფო სტრუქტურების პირობებში იგი ხელს შეუწყობს, ერთი მხრივ, დეკორდინაციას და, მეორე მხრივ, კორუფციას. თავად განვითარებულ სახელმწიფო სტრუქტურებში დეცენტრალიზაციის პრაქტიკის დანერგვა ნათელყოფს, რომ სინამდვილეში ცალკეულ ორგანოებს შორის კოორდინაციის პრობლემამ და კორუფციამ იჩინა თავი.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოში სახელმწიფოსა და საჯარო ადმინისტრაციის რეფორმირებისთვის, პირველ რიგში, აუცილებელია, სტრატეგიული პრიორიტეტების განსაზღვრა და მათი განხორციელება. ეს პოლიტიკის პრეროგატივაა. საჯარო ადმინისტრაციის რეფორმირებისთვის პრაგმატული და მიზანმიმართული პოლიტიკა, პირველ რიგში, ორიენტირებული უნდა იყოს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს ინსტიტუციური ინფრასტრუქტურის შექმნაზე. განვითარებული ქვეყნების სახელმწიფოსა და საჯარო ადმინისტრაციის მოდერნიზაციის თანამედროვე ტენდენციები უპირობოდ კი არ უნდა იყოს გადმოღებული საქართველოში, არამედ რეფორმის ცალკეული ელემენტის სარგებლიანობა კონკრეტული სიტუაციის ანალიზითა და საჭიროებით უნდა იყოს განპირობებული.

ვებერისეულ კლასიკურ-ბიუროკრატიული საჯარო ადმინისტრაციის საქმიანობაში თვალშისაცემია კანონის უზენაესობა და კომპეტენციების მკაცრი განსაზღვრა. თვითნებური მმართველობის ფორმებისგან გასხვავებით, სადაც ადმინისტრაციის მოხელე საჯარო რესურსებს საკუთარი შეხედულებისამებრ განკარგავს და სადაც გარკვეული თანამდებობის დაკავება ნეპოტიზმს, კლიენტელიზმს ან კორუფციას უკავშირდება და უკონტროლობა სუფევს, კლასიკურ-ბიუროკრატიული მოდელის ფარგლებში საჯარო ადმინისტრაციის მთელი საქმიანობა სამართლებრივი უფლებამოსილებებითაა დადგენილი, განაწილებული და გაკონტროლებული.

ვებერისეული ბიუროკრატიული ორგანიზაცია გამოხატულებას ჰპოვებს, ერთი მხრივ, პირამიდის მსგავს იერარქიულ მოწყობაში და, მეორე მხრივ, შიდაორგანიზაციული პროცედურების სტანდარტიზაციაში. იერარქიული მოწყობის თვალსაზრისით, ბიუროკრატიული ადმინისტრაცია ხასიათდება შრომის მკაცრი განაწილებითა და სპეციალიზაციით. სწორედ აქედან გამომდინარეობს გარკვეული სფეროების მიხედვით საჯარო მოხელეების დასაქმებისთვის სპეციალური კომპეტენციის (ცოდნისა და გამოცდილების) არსებობის აუცილებლობა. ამასთან, ბიუროკრატიულ ორგანიზაციაში თითოეული ორგანიზაციული ერთეული ზემდგომი ერთეულის დაქვემდებარებაშია.

ბიუროკრატიული ორგანიზაციის შიდა პროცედურების დახასიათებისას აღსანიშნავია ადმინისტრაციული საქმიანობის მკაცრი სტანდარტიზაცია და გარკვეულ შინაგანაწესებზე დამოკიდებულება. აღნიშნული საქმიანობა ხორციელდება მხოლოდ წერილობითი ფორმით, რაც ხელს უწყობს მის გამჭირვალობასა და გაკონტროლებას. იერარქიულობასთან და სპეციალიზაციასთან ერთად, ორგანიზაციის ასეთი შიდა პროცედურები კარგ საფუძველს იძლევა საჯარო ადმინისტრაციის დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს შესაბამისი მართვისა და კონტროლისათვის.

ბიუროკრატიული ადმინისტრაციის ერთ-ერთი მთავარი დამახასიათებელი ნიშანი მისი პერსონალის პროფესიონალიზმი და კომპეტენტურობაა. პროფესიული საქმიანობა „სიცოცხლის მანდილზე“, უვადოდ ხორციელდება. აღნიშნული პრინციპი საჯარო მოხელეების პირადი ინტერესების გათვალისწინებით კი არ არის ნაკარნახევი, არამედ მათი პროფესიული დამოუკიდებლობის გამყარებისთვისაა გამიზნული, რაც, საბოლოო ჯამში, საჯარო ადმინისტრაციის ინსტიტუციურ განმტკიცებას ისახავს მიზნად. საჯარო მოხელის პროფესიული წინსვლა კარიერის პრინციპს ეფუძნება, რომელიც მათი კვალიფიკაციის მუდმივად ამაღლებას ითვალისწინებს. ფულადი ანაზღაურება ხდება წინაწარ დადგენილი სახელფასო განაკვეთით. საჯარო მოხელე ვალდებულია, მიუკერძოებლად განახორციელოს თავისი პროფესიული საქმიანო-

ბა. ეს ვალდებულება ზემდგომი პირის მიმართ ერთგულებაში კი არ უნდა გამოიხატებოდეს, არამედ ინსტიტუტის მიმართ დამოკიდებულებაში, რამაც, საბოლოოდ, პოლიტიკისაგან ბიუროკრატიული ორგანიზაციის დამოუკიდებლობა უნდა უზრუნველყოს.

ბიუროკრატიული ორგანიზაციის საქმიანობა მოქალაქეებისათვის წინასწარ გათვალაძია, რადგან იგი მხოლოდ კანონის საფუძველზე ხორციელდება. ის, თუ რამდენად კანონისმიერია ცალკეული ადმინისტრაციული ქმედება, შეიძლება სასამართლოს გზით გაკონტროლდეს. ბიუროკრატიული ადმინისტრაციის წერილობითი ფორმით მუშაობა ამის კარგ საფუძველს იძლევა. სასამართლო კონტროლთან ერთად, იერარქიული ორგანიზაციისთვის მნიშვნელოვანია საპარლამენტო კონტროლის პრინციპის არსებობა. ცალკეულმა მინისტრმა უნდა უზრუნველყოს, რომ უწყების ფარგლებში მისი ბრძანებები კონსტიტუციისა და კანონის შესაბამისად შესრულდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხი დადგება.

ბიუროკრატიული ორგანიზაციის ზემოთ მოყვანილი ელემენტების მიხედვით შესაძლებელია დაჯამდეს, თუ რა ნიშნებით განსხვავდება დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის საფუძველზე მომუშავე თანამედროვე ბიუროკრატია განუვითარებელი ადმინისტრაციის მოდელისაგან. განუვითარებელი ადმინისტრაცია პიროვნულ ძალაუფლებასთანაა გაიგივებული, მაშინ, როდესაც თანამედროვე ბიუროკრატიულ მოდელში ადმინისტრაცია სახელმწიფო ინსტიტუტის სახით არის წარმოდგენილი. განუვითარებელი ადმინისტრაციისთვის დამახასიათებელია მოხელეთა თვითნებობა, მათი საკუთარი ინტერესების წინ დაყენება, უკონტროლობა. განვითარებული ბიუროკრატისთვის კი – მუშაობის მკაცრი ფორმალიზმი, მოხელეთა პროფესიონალიზმი, ინსტიტუციური დამოუკიდებლობა და საქმიანობის როგორც სასამართლო, ისე სისტემატური იერარქიული კონტროლი.

ამდენად, საჯარო ადმინისტრაციის ბიუროკრატიული მოდელი საუკეთესო პასუხი იყო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ევროპაში საზოგადოებრივ გამონწვევაზე, რომლის მთავარ მიზანს

დემოკრატიისა და სამართლებრივი სახელმწიფოს განხორციელება წარმოადგენდა. ამ მოდელს დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. მართალია, მისი რეფორმირება და ოპტიმირება ადმინისტრაციული პოლიტიკის დღის წესრიგში მრავალჯერ დამდგარა, მაგრამ ალტერნატიული მოდელით მისი სრული შეცვლა შეუძლებელია. ბიუროკრატიული მოდელის ასეთი წარმატება იმით აიხსნება, რომ იგი, უწინარესად, მაღალგანვითარებული სამართლებრივი და ინსტიტუციური კულტურის ნაყოფია და არა მხოლოდ ორგანიზაციული კატეგორია.

ირაკლი კობახიძე

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი*

საჯარო მმართველობის გამჭვირვალობა და სახელმწიფოს მოქმედების კონტროლის მექანიზმები

საჯარო მმართველობის გამჭვირვალობა, როგორც ხელისუფლების შეზღუდვის მექანიზმი და დემოკრატიული ლეგიტიმაციის მედიუმი

საჯარო მმართველობის გამჭვირვალობა სამართლებრივი სახელმწიფოს და დემოკრატიის ფუნდამენტური კონსტიტუციური პრინციპების რეალიზების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საფუძველია.¹ იგი მოწოდებულია უზრუნველყოს საჯარო მმართველობის სამართლით შეზღუდვა, ხელისუფლების თვითნებობის პრევენცია და ინდივიდუალური თავისუფლების ქმედითი დაცვა. გარდა ამისა, საჯარო ხელისუფლების გამჭვირვალობა განიხილება, როგორც დემოკრატიული ლეგიტიმაციის მედიუმი.² ხელისუფლების გამჭვირვალობა, მისი მოქმედების განჭვრეტადობა და საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფს ე.წ. კომუნიკაციურ ლეგიტიმაციას, რომელიც საჯარო მმართველობის დემოკრატიულობის ხარისხის თვისებრივ ამაღლებას უწყობს ხელს.

¹ იხ. Scherzberg, Arno, Die Öffentlichkeit der Verwaltung, Nomos Verlagsgesellschaft, Baden-Baden, S. 291 ff.; ჯორბენაძე, სერგი, ინფორმაციის თავისუფლება: გზამკვლევი, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, პირველი გამოცემა, 2012, გვ. 10-11.

² იხ. Scherzberg, Arno, Die Öffentlichkeit der Verwaltung, Nomos Verlagsgesellschaft, Baden-Baden, S. 295 ff.

საჯარო მმართველობის გამჭვირვალობა, უპირველეს ყოვლისა, უზრუნველყოფს ინფორმირებულ მოქალაქეს. ინდივიდის ინფორმირება და გათვითცნობიერება სახელმწიფოს მოქმედების შესახებ შინაარსობრივად ამდიდრებს დემოკრატიულ ლეგიტიმაციას. ამასთან, საჯარო მმართველობის გამჭვირვალობის მიზანი კიდევ უფრო ფართოა და იგი უზრუნველყოფს არა მხოლოდ ინფორმირებულ, არამედ აქტიურ მოქალაქესაც. მმართველობის გამჭვირვალობამ და საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობამ უნდა წაახალისოს პოლიტიკური კომუნიკაცია, განამტკიცოს ინდივიდის *status activus* სახელმწიფოს მიმართ და აქციოს იგი დემოკრატიული ლეგიტიმაციის პროცესის მაქსიმალურად აქტიურ მონაწილედ მისი განხორციელების ყველა ეტაპზე.

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან ერთად, საჯარო მმართველობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანეს მექანიზმად გადანყვეტილებათა მიღების „პროცედურიზაცია“¹ და გადანყვეტილებათა მიღების კოოპერაციული პროცესის ჩამოყალიბება უნდა განვიხილოთ. საქვეყნობა არის ე.წ. „კარგი მმართველობის“ უმნიშვნელოვანესი ელემენტი,² რომელიც ხელისუფლებისა და მოქალაქის ორმხრივ სიახლოვეს წაახალისებს. ამ თვალსაზრისით, საჯარო მმართველობის გამჭვირვალობა დატვირთულია არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ უმნიშვნელოვანესი სოციალური ფუნქციითაც. ხელისუფლების გამჭვირვალობა არის სოციალური პროცესის და, ზოგადად, ჯანსაღი სოციალური სისტემის უმნიშვნელოვანესი ასპექტი. აქედან გამომდინარე, მისი უზრუნველყოფა სოციალური სახელმწიფოს კონსტიტუციური პრინციპის მოთხოვნადაც შეგვიძლია განვიხილოთ.³

¹ იქვე, S. 126 ff.

² იხ. What is good governance? UN ESCAP 2009 (<http://www.unescap.org/sites/default/files/good-governance.pdf>).

³ იხ. Scherzberg, Arno, Die Öffentlichkeit der Verwaltung, Nomos Verlagsgesellschaft, Baden-Baden, S. 332 ff.

საჯარო მმართველობის გამჭვირვალობის კონსტიტუციური გარანტიები საქართველოში

გამომდინარე საჯარო მმართველობის გამჭვირვალობის პრინციპის უშუალო კავშირიდან სამართლებრივი სახელმწიფოს, დემოკრატიისა და სოციალური სახელმწიფოს პრინციპებთან, მის კონსტიტუციურ საფუძვლად, უპირველეს ყოვლისა, კონსტიტუციის პრეამბულა („ჩვენ, საქართველოს მოქალაქენი, რომელთა ურყევი ნებაა, დავამკვიდროთ დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილება, (...) სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფო, უზრუნველვყოთ ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებანი და თავისუფლებანი, (...) ვაცხადებთ ამ კონსტიტუციას) და მე-5 მუხლის პირველი პუნქტი („საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი. სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში“) უნდა განვიხილოთ.

გარდა ამისა, საქართველოში საჯარო მმართველობის გამჭვირვალობის უშუალო გარანტიებს ადგენს კონსტიტუციის 24-ე და 41-ე მუხლები. საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლი განამტკიცებს ინფორმაციის თავისუფლების ძირითად უფლებას, ხოლო 41-ე მუხლი ადგენს მოქალაქეთათვის საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გარანტიას. კონსტიტუციის 41-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებებში მასზე არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე იქ არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას“. 41-ე მუხლის მე-2 პუნქტი შეიცავს დათქმას, რომლის თანახმად, „ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან, მის ფინანსებთან ან სხვა კერძო საკითხებთან, არავისთვის არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი თვით ამ ადამიანის თანხმობის გარეშე, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ჯანმრთელობის, სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად“.

საქართველოს კონსტიტუციის 24-ე და 41-ე მუხლების დებულებები თვისებრივად შეესაბამება ადამიანის ძირითად უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტებს და „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის“ შესაბამის ნორმებს.

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საკანონმდებლო გარანტიები საქართველოში

საქართველოში საჯარო მმართველობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის ძირითად მექანიზმებს ადგენს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, რომლის დებულებები არსებითად შეესაბამება ადმინისტრაციული წარმოების თანამედროვე, დემოკრატიულ სტანდარტებს. კოდექსის მე-10 მუხლი განამტკიცებს საქვეყნოობის პრინციპს, რომლის თანახმად, „ყველას აქვს უფლება, გაეცნოს ადმინისტრაციულ ორგანოში არსებულ საჯარო ინფორმაციას, აგრეთვე მიიღოს მისი ასლები, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას ან პერსონალურ მონაცემებს“. ამასთან, კოდექსი განმარტავს საჯარო ინფორმაციის ცნებას და ადგენს, რომ მას განეკუთვნება ნებისმიერი ოფიციალური დოკუმენტი, ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია.¹

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი დეტალურად აწესრიგებს მოქალაქეებზე საჯარო ინფორმაციის გაცემის პროცედურას. კოდექსის თანახმად, საჯარო ინფორმაცია, როგორც წესი, ღიაა.² კოდექსის 37-ე მუხლი საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის უფლებას ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირს ანიჭებს.

¹ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „მ“ ქვეპუნქტი.

² საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლის პირველი ნაწილი.

ამასთან, ინდივიდს არ მოეთხოვება შესაბამის განცხადებაში საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის მოტივისა და მიზნის მითითება. კოდექსი საჯარო დაწესებულებას ავალდებულებს საჯარო ინფორმაცია გასცეს დაუყოვნებლივ, ხოლო თუ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე პასუხის გაცემა ინფორმაციის დამუშავებას, მოძიებას ან სხვა საჯარო დაწესებულებასთან კონსულტაციას საჭიროებს დ მოთხოვნის წარდგენიდან არა უგვიანეს ათი დღისა. ამასთან, ათდღიანი ვადის საჭიროების შემთხვევაში, საჯარო დაწესებულება ვალდებულია მოთხოვნისთანავე აცნობოს ამის შესახებ განმცხადებელს.¹ საჯარო დაწესებულების უარი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე განმცხადებელს დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს. უარის შემთხვევაში საჯარო დაწესებულება ვალდებულია გადანყვეტილების მიღებიდან სამი დღის ვადაში პირს წერილობით განუმარტოს მისი უფლებები და გასაჩივრების წესი, ასევე მიუთითოს ის სტრუქტურული ქვედანაყოფი ან საჯარო დაწესებულება, რომელთანაც წარმოებდა კონსულტაცია ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის გადანყვეტილების მიღებისას.² კოდექსი დაუშვებლად აცხადებს საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის რაიმე სახის საფასურის დაწესებას, გარდა ასლის გადაღებისათვის აუცილებელი თანხის ანაზღაურებისა.³

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი ითვალისწინებს საჯარო დაწესებულების მიერ საჯარო ინფორმაციის რეესტრის წარმოების ვალდებულებას, რომელშიც მიღებიდან, შექმნიდან, დამუშავებიდან ან გამოცემიდან ორი დღის ვადაში შეტანილ უნდა იქნეს მითითება ყველა საჯარო ინფორმაციაზე. გარდა ამისა, კოდექსი ითვალისწინებს ყველა საჯარო დაწესებულების მიერ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი სა-

¹ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლი.

² საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 41-ე მუხლი.

³ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 38-ე მუხლი.

ჯარო მოსამსახურის დადგენის ვალდებულებას.¹ ბოლოს, კოდექსი ავალდებულებს ყველა საჯარო დაწესებულებას, ყოველი წლის 10 დეკემბერს საქართველოს პრეზიდენტს და პარლამენტს გაუგზავნოს სპეციალური ანგარიში, რომელშიც დეტალურად უნდა იყოს წარმოდგენილი მონაცემები საჯარო ინფორმაციის გაცემის, საჯარო მონაცემთა ბაზებისა და საჯარო მოსამსახურეთა მიერ შესაბამის ვალდებულებათა დარღვევის ფაქტების შესახებ.²

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დებულებებზე მსჯელობისას, შეიძლება აღინიშნოს, რომ საქართველოს კანონმდებლობა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საკმაოდ მაღალ სტანდარტს აწესებს. იგი მოქალაქეთათვის ადგენს საჯარო ინფორმაციის დროული და სრულყოფილი ხელმისაწვდომობის გარანტიას, რაც ქმნის კარგ საფუძველს საჯარო მმართველობის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად.

ადმინისტრაციული წარმოების სტანდარტები საქართველოში

ადმინისტრაციული წარმოების თანამედროვე სტანდარტების საკანონმდებლო უზრუნველყოფა საჯარო მმართველობის გამჭვირვალობის უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა. ამ თვალსაზრისით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი მთელ რიგ ქმედით გარანტიებს ადგენს.

კოდექსი ინდივიდს, საჭიროებისამებრ, ადმინისტრაციული წარმოებაში უშუალო მონაწილეობის შესაძლებლობით უზრუნველყოფს. კერძოდ, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შეიძლება გაუარესდეს პირის სამართლებრივი მდგომარეობა, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ აცნობოს დაინტერესებულ მხარეს და უზრუნველყოს მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში. ამასთან, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ორგანო ვალდებულია წერილობითი თხოვნის

¹ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 36-ე მუხლი.

² საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლი.

საფუძველზე ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩააბას მასში მონაწილეობის უფლების მქონე პირი.¹ ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს გაეცნოს წარმოების მასალებს და მოითხოვოს მათი ასლების გადაცემა.²

აღსანიშნავია, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი ადგენს საჯარო დაწესებულების მიერ სამართლებრივი აქტის დასაბუთების ვალდებულებას. წერილობითი ფორმით გამოცემული ნებისმიერი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, გარდა კოდექსით მკაცრად განსაზღვრული გამონაკლისი შემთხვევებისა, უნდა შეიცავდეს წერილობით დასაბუთებას. ამასთან, თუ ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას მოქმედებდა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, წერილობით დასაბუთებაში მიეთითება ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას.³

კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღებისას, გარდა კანონით დადგენილი გამონაკლისი შემთხვევებისა, გამოიყენება საჯარო ადმინისტრაციული წარმოებისათვის დადგენილი წესები. ამასთან, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი უზრუნველყოფს კოლეგიური ორგანოების სხდომების საჯაროობას. კერძოდ, კოდექსის 34-ე მუხლის თანახმად, ნებისმიერი კოლეგიური საჯარო დაწესებულება ვალდებულია ერთი კვირით ადრე საჯაროდ გამოაცხადოს მომავალი სხდომის, მისი ჩატარების ადგილის, დროისა და დღის წესრიგის თაობაზე, ხოლო შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისას დ აგრეთვე მისი დახურვის შესახებ.⁴ გარდა ამისა, კოდ-

¹ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლი.

² საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 99-ე მუხლი.

³ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლი.

⁴ გადაუდებელი აუცილებლობისას კოლეგიური საჯარო დაწესებულება უფლებამოსილია ჩაატაროს სხდომა ამ წესების დაუცველად. ამ

ექსი ითვალისწინებს კოლექტიური ორგანოს ვალდებულებას, სათანადო წესით, წინასწარ გამოაქვეყნოს ან საჯაროდ გამოაცხადოს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი.¹

შეიძლება აღინიშნოს, რომ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მსგავსად, ადმინისტრაციული წარმოების მონესრიგების შემთხვევაშიც, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი საჯარო დაწესებულების გამჭვირვალობისა და ღიაობის საკმაოდ მაღალ სტანდარტს ადგენს.

ინფორმაციის საჯაროობის მიმართ დადგენილი შეზღუდვები

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, დეტალურად აწესრიგებს ინფორმაციის საჯაროობის მიმართ დადგენილ შეზღუდვებს. კერძოდ, კოდექსი ადგენს პერსონალური მონაცემების, კომერციული საიდუმლოების, პროფესიული საიდუმლოებისა და სახელმწიფო საიდუმლოების ცნებებს.² პერსონალურ მონაცემებს განეკუთვნება ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს; კომერციულ საიდუმლოებად განიხილება ინფორმაცია კომერციული ფასეულობის მქონე გეგმის, ფორმულის, პროცესის, საშუალების თაობაზე ან ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელიც გამოიყენება საქონლის საწარმოებლად, მოსამზადებლად, გადასამუშავებლად ან მომსახურების გასანევად, ან/და რომელიც წარმოადგენს სიახლეს ან ტექნიკური შემოქმედების მნიშვნელოვან შედეგს, აგრეთვე სხვა ინფორმა-

შემთხვევაში საჯარო დაწესებულება ვალდებულია დაუყოვნებლივ გამოაცხადოს სხდომის ჩატარების ადგილის, დროისა და დღის წესრიგის თაობაზე, ხოლო შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისა და აგრეთვე მისი დახურვის შესახებ (34-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

¹ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106² მუხლი.

² საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27¹, 27², 27³ და 27⁴ მუხლები.

ცია, რომლის გამჟღავნებამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს პირის კონკურენტუნარიანობას; პროფესიულ საიდუმლოებას განეკუთვნება ინფორმაცია, რომელიც წარმოადგენს სხვის პერსონალურ მონაცემებს ან კომერციულ საიდუმლოებას და პირისათვის ცნობილი გახდა პროფესიული მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით; სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაცია განისაზღვრება სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ სპეციალური კანონმდებლობით.

აღსანიშნავია, რომ კომერციული, პროფესიული და სახელმწიფო საიდუმლოების ცნებები კანონმდებლობით შედარებით ცხადად არის ჩამოყალიბებული და, შესაბამისად, მათი განმარტება პრაქტიკაში არსებითი სირთულეებით არ ხასიათდება. ამის საპირისპიროდ, ბუნდოვანია პერსონალური მონაცემების დეფინიცია, რაც საჯარო დაწესებულებებს მანიპულირებისა და საჯარო ინფორმაციის გაცემაზე არამართლზომიერად უარის თქმის შესაძლებლობას აძლევს.

პრაქტიკაში გამოვლენილი პრობლემები, მმართველობის გამჭვირვალობის გაუმჯობესების ტენდენციები და პერსპექტივები

თანამედროვე სტანდარტებთან საქართველოს კანონმდებლობის არსებითი შესაბამისობის მიუხედავად, საჯარო მმართველობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით, ქვეყანაში კვლავაც მრავალი პრობლემა რჩება. საჯარო დაწესებულებების საქმიანობის პრაქტიკაზე დაკვირვებისას, ვლინდება მთელი რიგი დარღვევები, რომლებიც ქვეყანაში სამართლებრივი სახელმწიფოს და დემოკრატიის პრინციპების სრულფასოვან რეალიზებას მნიშვნელოვან დაბრკოლებას უქმნის. უკანასკნელი წლების განმავლობაში, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სხვა დაინტერესებული სუბიექტების მიერ მრავლად აღირიცხებოდა ისეთი ფაქტები, როგორცაა საჯარო დაწესებულებების მიერ საჯარო ინფორმაციის არგაცემა ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე, საჯარო ინფორმაციის გაცემა ზოგადი ადმინისტრაცი-

ული კოდექსით დადგენილი ვადების დარღვევით, საჯარო დაწესებულების მიერ არასრულყოფილი ინფორმაციის მიწოდება, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმა საჯარო ინფორმაციისა და პერსონალური მონაცემების ცნებების მცდარი განმარტების საფუძველზე, საჯარო ინფორმაციის არამართლზომიერი გასაიდუმლოება დოკუმენტების გრიფირების ბუნდოვანი კრიტერიუმების გამოყენებით და სხვ. გარდა ამისა, ადმინისტრაციული დაწესებულებები არცთუ იშვიათად უგულუბელყოფდნენ ადმინისტრაციული წარმოების კანონით დადგენილ პროცედურებს.¹

თუმცა, უკანასკნელ პერიოდში, საქართველოში აღინიშნება მნიშვნელოვანი პროგრესი საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით. 2013 წელს დაფიქსირდა საჯარო ინფორმაციის გაცემის პრაქტიკის გაუმჯობესება. ქვეყანაში ინერგება ინფორმაციის გასაჯაროების ელექტრონული სისტემები. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის სრულყოფა და შესყიდვების განხორციელების ელექტრონული სისტემის შექმნა, რამაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საჯარო ფინანსების მართვის გამჭვირვალობის უზრუნველყოფაში.

2012 წელს საქართველოში ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დაინერგა და 2013 წლიდან ამოქმედდა საჯარო ინფორმა-

¹ საქართველოში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომის მდგომარეობის შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის იხ. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა საქართველოში, საინფორმაციო ბიულეტენი 5 (2012-2013), IDFI; ინფორმაციის თავისუფლება: კანონმდებლობა და პრაქტიკა (საქართველო, ამერიკის შეერთებული შტატები, გაერთიანებული სამეფო/მოტლანდია, ესტონეთი - შედარებითი ანალიზი), IDFI, 2012; ინფორმაციის თავისუფლება საქართველოში: სასამართლო პრაქტიკის ძირითადი ტენდენციები (2008-2010), თბილისი, 2011.

ციის პროაქტიული გამოქვეყნების ინოვაციური პრაქტიკა, რაც გულისხმობს საჯარო დაწესებულების მიერ საზოგადოებრივი ინტერესის მატარებელი საჯარო ინფორმაციის წინასწარ განთავსებას ელექტრონულ რესურსებზე.¹

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია არასამთავრობო სექტორის როლი საჯარო მმართველობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფაში. არასამთავრობო ორგანიზაციების მრავალწლიანმა ძალისხმევამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სახელმწიფოს მოქმედების მიმართ საზოგადოების ინტერესის გაღვივებასა და საჯარო მმართველობის პრაქტიკის დახვეწაში. უნდა ვივარაუდოთ, რომ პოსტ-კომუნისტური ქართული საზოგადოების სამოქალაქო კულტურისა და თვითშეგნების თანდათანობითი განვითარება პრაქტიკის შემდგომ გაუმჯობესებას უზრუნველყოფს. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და საჯარო გადაწყვეტილებათა მიღების პროცესის სათანადო საკანონმდებლო მონესრიგება არის საჯარო მმართველობის გამჭვირვალობისა და სახელმწიფოს მოქმედების ქმედითი კონტროლის მხოლოდ ერთ-ერთი მექანიზმი. ქვეყანაში სამართლებრივი სახელმწიფოს და დემოკრატიის პრინციპების სრულფასოვანი რეალიზება საჭიროებს მმართველობის სისტემის კომპლექსურ რეფორმას, რაც, უწინარეს ყოვლისა, ხელისუფლების დანაწილების უზრუნველყოფაში, მმართველობის სისტემის სათანადო დეცენტრალიზაციასა და „კარგი მმართველობის“ პრინციპების სისტემურ დანერგვაში უნდა გამოიხატოს.

¹ იხ. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლის მე-2 ნაწილი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება არ ათავისუფლებს საჯარო დაწესებულებას იმავე ან სხვა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შემთხვევაში მისი დადგენილი წესით გაცემის ვალდებულებისგან (მე-40 მუხლის მე-3 ნაწილი).

ქრისტიან კოხი

*შპაიერის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა
უნივერსიტეტის პროფესორი*

საჯარო სამსახურის სამართლებრივ-სახელმწიფოებრივი საფუძვლები

A. შესავალი

ამ სტატიაში¹ გაანალიზებულ და შეფასებულ უნდა იქნეს საქართველოში, ისევე როგორც სომხეთსა და აზერბაიჯანში, საჯარო ადმინისტრაციის სფეროში მიმდინარე რეფორმების აქამდე არსებული გამოცდილება და წარმოჩინდეს განვითარების პერსპექტივები, ყურადღების გამახვილებით იმ კითხვაზე, თუ რა როლს თამაშობს საჯარო ადმინისტრაცია დემოკრატიისა და სამართლებრივი სახელმწიფოს ეფექტურ განვითარებაში – საჯარო ადმინისტრაცია საქართველოში აქამდე მიმდინარე რეფორმის პროცესში ხომ დემოკრატიული სისტემისაგან საკმაოდ განცალკევებულ სფეროდ აღიქმება! რაციონალიზაციის, ეკონომიზაციის, ეფექტიანობის, რეზულტატიურობისა და ეფექტურობის, როგორც რეფორმის ჩვეულებრივი უმთავრესი მიზნების, საპირისპიროდ, ინტერესის წინა პლანზე უნდა გადმოვიდეს საჯარო მმართველობის ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზა, დემოკრატიული ლეგიტიმაცია და ამასთანავე, მმართველობის დემოკრატიასთან იდენტურობის საკითხი.

¹ მოხსენება, წაკითხული რეგიონულ კონფერენციაზე: საჯარო მმართველობის ტრანსფორმაცია სამხრეთ კავკასიაში: გამოცდილება და პერსპექტივები, 2013 წლის 16-17 სექტემბერი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ნებისმიერ შედარებით მეთოდს გააჩნია თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები, თავისი ფარგლები: რჩება ის კონტექსტზე ორიენტირებული შინაარსის ფარგლებში თუ შესაძლებელია საჯარო სამსახურთან დაკავშირებული მოსაზრებებისათვის უნივერსალურობის მინიჭება? რა როლს ასრულებს ამასობაში მრავალ სახელმწიფოში შესამჩნევი ტენდენცია „ბიუროკრატიზაციისა“? უბრუნებს ეს უკანასკნელი საჯარო სამსახურს ფუნქციასა და მნიშვნელობას – „არსს“, თუ კვლავინდებურად საქმე ეხება პოლიტიკურად შეპირობებულ/ინდუცირებულ და თვითინდუცირებულ დამბლასა და სასწრაფო მცდელობას თვითდისციპლინის განხორციელებისა აზროვნებასა და ქმედებებში? საჯარო სამსახურის იდეალს, ყოველი მართლწესრიგის თვალსაზრისიდან გამომდინარე, შეიძლება მხოლოდ დისტანციიდან მიეზღოს თავისი.

და ხელახლა მოპოვებული რესპუბლიკურობის კონტურის კონტექსტში, რომელიც შენარჩუნებულ და აღორძინებულ უნდა იქნეს, შემოდის „ჰეროიკულობის“ მომენტი (გიორგი ხუბუა), მზერით დამოუკიდებლობისაკენ და სამოსამართლეო კორპუსის ჩამოყალიბების ამოცანით, რაც, პირველ ყოვლისა, სწორედ რომ მოხელეებსა და, საერთოდ, მთელ საჯარო სამსახურს შეეხება. ამას ემატება მოდერნიზებული ადმინისტრაციის სხვა ასპექტებიც; აქაც დიდი მოლოდინებია საჯარო სამსახურისადმი, ორიენტირებული კლიენტურასა და მოთხოვნაზე, ბიუჯეტზე, დეცენტრალიზებულ პასუხისმგებლობაზე, პასუხისმგებლობის გადანაწილებაზე სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის, ისევ და ისევ კორუფციის პრევენციაზე ორიენტაციით. გვინდა დავასახელოთ ზოგიერთი მაგალითი.

I. საჯარო სამსახური გერმანიაში (შედარებითი ანალიზი)

ქვემოთ ძალზე მოზომილი შედარებითი ანალიზის ქვეშ მოექცევა საჯარო სამსახური და კერძოდ (გერმანული წარმოდგენების შესაბამისად) მოხელეთა კორპუსი, როგორც იუსტიციის სისტემის პერსონალური უზრუნველყოფა და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის გამომხატველი და განმახორციელებელი.

პროფესიული მოხელეები და პროფესიული მოსამართლეები ითვლებიან ადმინისტრაციისა და იუსტიციის ლეგალურობის, სტაბილურობისა და ნეიტრალობის გარანტიად, ასევე, სხვათა შორის, საპარლამენტო სისტემის ფუნქციონირების გარანტიად. მოხელის (და ასევე მოსამართლის) დამოკიდებულება კანონსა და სამართალზე ქმნის სამართლებრივი და კონსტიტუციური სახელმწიფოს მთავარ ელემენტს; კანონსა და სამართალზე დამოკიდებული მოხელე (და მოსამართლე) ავლენს სამართლებრივი სახელმწიფოს მთავარ მიზანს, ააშკარავებს მას და ხდის მას განხორციელებადად (აღსრულებადად). „სამართლებრივ-სახელმწიფოებრივ ნომოკრატიას“¹ ესაჭიროება „ინსტიტუციონალური და ორგანიზაციული უზრუნველყოფა კონსტიტუციის ეფექტიანი რეალიზაციისა და ეფექტური სამართლებრივი დაცვისათვის“²; აქ საქმე იმას ეხება, რომ უზრუნველყოფილ იქნეს „კანონზომიერება გამოყენებაში“³.

II. სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპები

სამართლებრივი სახელმწიფოებრიობის შემდეგი ელემენტები⁴, პრინციპში, საერთო კონსტიტუციური სუბსტანციის სახით, შეიძლება გამოყენებულ იქნეს სამართლებრივი მართლწესრიგების შედარებაშიც: კანონმდებლობის დამოკიდებულება საპარლამენტო

¹ Detlef Merten, Berufsfreiheit des Beamten und Berufsbeamtentum, კრებულში: Detlef Merten./Hans-Jürgen Papier, Handbuch der Grundrechte in Deutschland und Europa (HGR), ტომი V, ჰაიდელბერგი, 2013, § 114 ველი 49.

² Merten, როგორც მითითებულია

³ Merten, როგორც მითითებულია.

⁴ შდრ. აქ; Sebastian Müller-Franken, Verwaltung. კრებულში: FS P. Kirchhof 2013, § 73, ველი 13; ასევე Eberhard Schmidt-Aßmann, Der Rechtsstaat, კრებულში: Josef Isensee/Paul Kirchhof, Handbuch des Staatsrechts (HStR), მე-3 გამოც., ჰაიდელბერგი, ტომი II, § 26.

ნყოფიერად; აღმასრულებელი ხელისუფლების დამოკიდებულება კანონსა და სამართალზე, კერძოდ კანონის უპირატესობისა და კანონის პირობების დაცვის გზით (თავისუფლებისა და საკუთრების ხელყოფისას); ხელისუფლების გადანაწილების პრინციპი¹ – კერძოდ, ადმინისტრაციის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა; უფლების ეფექტიანი დაცვა დამოუკიდებელი სასამართლოების მეშვეობით – მაგრამ პროცედურულად და პროცესუალურად განონასწორებელი, და არა სასამართლო კონტროლის უბრალო „მაქსიმალიზაციის“ გზით.

სუბიექტურ-სამართლებრივი თვალსაზრისით, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი ვლინდება ძირითადი უფლებების განზომილებაში: ძირითადი უფლებების დაცვა ევალება ხელისუფლების ყველა შტოს (ძირითადი კანონის 1-ლი მუხლი აბზ. 3), ფუნდამენტური უფლებების შეზღუდვა ლეგიტიმურია მხოლოდ გამონაკლის სფეროებში, რომლებშიც ძირითად უფლებათა განხორციელება საჯარო-სამართლებრივად ინსტიტუციონალიზებულია და ადმინისტრირებულ უნდა იქნეს (მაგალითად, და უპირველეს ყოვლისა, უმაღლესი სკოლების სფეროში). საჯარო მოხელეები, რომლებსაც ძირითადი კანონის 33-ე მუხლიდან გამომდინარე, ძირითად უფლებათა/ფუნდამენტურ უფლებათა მსგავსი უფლებები გააჩნიათ, განიხილებიან აქ თავიანთ ინდივიდუალურ პროფესიულ ყოფიერებაში (სტატუსის თვალსაზრისით). შემდეგ დასახელებულ უნდა იქნეს ადამიანის ღირსების დაცვის ვალდებულება, როგორც უნივერსალური, უცვლელი პრინციპი,² თავისუფლებათა უფლებების დაცვა, თანასწორობის უფლების დაცვა, ამ უფლებებით სარგებლობის თანასწორობის გაგებითაც (სამართლებრივი

¹ Schmidt-Abmann, როგორც მითითებულია, § 26 ველი 47 და შემდეგი, 70 და შემდეგი.

² Schmidt-Abmann, როგორც მითითებულია, § 26 ველი 30 და შემდეგი; Josef Isensee, *Würde des Menschen*, კრებულში: HGR, ტომი IV, ჰაიდელბერგი 2011, § 87 ველი 22 და შემდეგი, 39 და შემდეგი, 96 და შემდეგი, 124, 195.

ნყოფის შესახებ კონცეფციები, გადანაწილების კრიტერიუმები); დაბოლოს, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი რეალიზდება სახელმწიფოს მხრიდან დაცვის ვალდებულებაში, ამოცანა, რომელიც ასევე მოიცავს ფუნდამენტური უფლებების ეფექტს.

მაგრამ კონსტიტუციაში სამართლებრივი სახელმწიფოს სასარგებლოდ მიღებული გადანყვეტილება არ ამოიწურება მისი ცალკეული გამონათქვამებით, არამედ ბევრად მეტია, ვიდრე მისი ცალკეული ნაწილების ჯამი¹; ყოველ შემთხვევაში ჩნდება სამართლებრივი სახელმწიფოს სხვა ინტეგრალური ელემენტები, რომლებიც ახასიათებს ადმინისტრაციულ სამართალს (და რომლებიც – თითოეული თავისებურად – ზეგავლენას ახდენს საჯარო სამსახურის სამართალზე, განსაკუთრებით კი სამოხელეო სამართალზე): სამართლებრივი უსაფრთხოების მოთხოვნა, განსაზღვრულობის მოთხოვნა, პროპორციულობის პრინციპი, ნდობის დაცვის პრინციპი, გადანყვეტილების მიღების თავისუფლება, მიუკერძოებლობა, ბოროტი განზრახვისთვის თავის არიდება. „სამართლებრივ-სახელმწიფოებრივი ადმინისტრაციის ელემენტარული მოთხოვნაა, სამართალი კატეგორიულად დადგინდეს მხოლოდ და მხოლოდ ურთიერთსაწინააღმდეგო აზრთა ჭიდილის შედეგად“².

B. სამართლებრივი სახელმწიფო, იუსტიციის დამოუკიდებლობა და საჯარო სამსახურის საფუძვლები საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის კონსტიტუციებში

მიმოხილვაში ვეხებით იმ კონსტიტუციურ-სამართლებრივ საფუძვლებს, რომლებმაც სამართლებრივი სახელმწიფო და საჯარო სამსახურის (დამოუკიდებელი სასამართლოს ჩათვლით) საფუძვლები და ფუნქციონირებისათვის აუცილებელი პირობები საქართველოსა და მის მეზობელ სომხეთსა და აზერბაიჯანში

¹ Müller-Franken, როგორც მითითებულია, ველი 14.

² Müller-Franken, როგორც მითითებულია, ველი 14. FN 49, Paul Kirchhof-ის გათვალისწინებით და მასზე მითითებით.

უნდა დაამკვიდრონ მართლწესრიგში, ადმინისტრაციასა და სასამართლო პრაქტიკაში და რომლებიც აქ წარმოდგენილი უნდა იყოს შედარებითი პარამეტრების სახით. ამასთან, ცხადია, გასათვალისწინებელია, რომ აქ შედარების ობიექტია საპრეზიდენტო დემოკრატიები საჯარო სამსახურის ცენტრალურ-სახელმწიფოებრივ ადმინისტრაციულსა და პრეზიდენტზე ორიენტირებულ სტრუქტურაში¹.

I. სამართლებრივი სახელმწიფოებრიობა

1. საქართველო

ა) სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფო

სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი ურყევად არის ჩადებული საქართველოს კონსტიტუციაში, როცა საქართველოს მოქალაქეები კონსტიტუციის პრეამბულაში აცხადებენ „ურყევ ნებას“, „დაამკვიდრონ დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილება და ეკონომიკური თავისუფლება, ააშენონ სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო, უზრუნველყონ ადამიანის საყოველ-

¹ ამ შეფასებასთან დაკავშირებით შდრ. მაგალითად, Gerd Morgenthaler/Christian Heuser, *Die Verfassung der Republik Aserbaidzhan*, ZaöRV 69 (2009), გვ. 365 (378, 389 და შემდეგი). შდრ. ზოგადად შედარებით სამართალში სამართლებრივი სახელმწიფოს საკითხთან დაკავშირებით *Schmidt-Aßmann*, HGR I, § 26 ველი 101, აგრეთვე *Karl-Peter Sommermann*, *Funktionen und Methoden der Grundrechtsvergleichung*, ნინგში: HGR, ტომი I, 2004, § 16 ველი 47, 50 და შემდეგი, 75 და შემდეგი; აგრეთვე *Peter Häberle*, *Wechselwirkungen zwischen deutschen und ausländischen Verfassungen*, კრებულში: HGR I, § 7 ველი 21 -33 („Sonderstatus“), 37 (Rechtsschutzgarantien) და ხელისუფლების გადანაწილების ასპექტთან დაკავშირებით ველი 58 და შემდეგი; გარდა ამისა „საჯარო სამსახურის ტრანსფორმაციის საკითხთან დაკავშირებით შედარებით ასპექტში“ იხ. *Ulrich Battis*, *Öffentlicher Dienst* § 74 ველი 3 და შემდეგი, 8 (გვ. 799 [800 და შემდეგი]).

თაოდ აღიარებული უფლებანი და თავისუფლებანი, განამტკიცონ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სხვა ხალხებთან მშვიდობიანი ურთიერთობა, ეყრდნობიან რა ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობის ტრადიციებსა და საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ძირითად პრინციპებს“. ეს საკუთარი ისტორიული კავშირის გამაცნობიერებელი “rule-of-law based social State” გამყარებულია რეგიონალური თვითმმართველობის პრინციპით, რომელიც ფუნქციონირებს „სახელმწიფო სუვერენიტეტის შეუღახავად“¹, ამასთან, რეგიონული თვითმმართველობის ორგანოთა ჩამოყალიბების წესი, მათი უფლებამოსილებები და სახელმწიფო ორგანოებთან კავშირი განისაზღვრება ორგანული კანონით².

ბ) კონსტიტუციის უზენაესობა

საზვასამულია სამართლებრივი სახელმწიფოებრიობის პრინციპი, როგორც უზენაესი პრინციპი³, ვინაიდან საქართველოს კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია. ყველა სხვა სამართლებრივი აქტი უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციას და საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებსა და პრინციპებს⁴; საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ, თუ ისინი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, კონსტიტუციურ შეთანხმებას (30.03.2001 826).

¹ 2008 წლის 10 ოქტომბრის მდგომარეობით დარედაქტირებული საქართველოს კონსტიტუციის მე-2 მუხლის №4-ის 1-ლი წინადადების მიხედვით;

² საქართველოს კონსტიტუციის მე-2 მუხლის №4-ის მე-3 წინადად., ცვლილება შეტანილია 2004 წლის 6 თებერვალს კანონით 3272;

³ საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 6 1.

⁴ საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 6 2.

ასევე ხაზგასმულია სამართლებრივი თანასწორობა, ვინაიდან „ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორი“¹. სამართლებრივ-სახელმწიფოებრივი აზროვნება ასევე ვლინდება უმცირესობათა დისკრიმინაციის ამკრძალავ ნორმებში², ვინაიდან „განურჩევლად რასისა, ენისა, ეროვნული და რელიგიური კუთვნილებისა საქართველოს მოქალაქეები თანასწორნი არიან თავიანთ სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში“.

2. სომხეთი

ა) ხელისუფლების დანაწილება და თანასწორობა

სომხეთის რესპუბლიკაც არის სუვერენული, დემოკრატიული და სოციალური სახელმწიფო³, რომელშიც ძალაუფლება ეკუთვნის ხალხს, რომელიც თავის ხელისუფლებას ახორციელებს თავისუფალი არჩევნების, რეფერენდუმისა და, აგრეთვე, კონსტიტუციით დადგენილი სახელმწიფო ორგანოების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და თანამდებობის პირთა მეშვეობით⁴, რითაც კონსტიტუციურ-სამართლებრივად არის აღწერილი საჯარო მოხელეთა ფუნქცია და მათი სამართლებრივ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. კონსტიტუციურ-სამართლებრივ ორიენტაციას მოსდევს კანონის უზენაესობა და ხელისუფლების გადანაწილების პრინციპი, როგორც საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების დანაწილებისა და თანასწორობის გამოხატულება⁵. კანონის უზენაესობა კიდევ

¹ საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 14.

² საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 38 1 წინადადება 1.

³ 1995 წლის 5 ივლისის სომხეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის 1-ლი მუხლი, ცვლილებებით ძალაშია 2005 წლის 6 დეკემბრის კანონის საფუძველზე.

⁴ სომხეთის კონსტიტუცია, მუხლი 2 მე-2 წინადადება.

⁵ სომხეთის კონსტიტუცია, მუხლი 5, 1-ლი წინადადება.

უფრო კონკრეტდება¹, როცა ვკითხულობთ: „სახელმწიფო ორგანოები, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები და თანამდებობის პირები უფლებამოსილი არიან განახორციელონ ისეთი ქმედებები, რომელთა განხორციელების უფლებამოსილებაც გააჩნიათ მათ კონსტიტუციით ან კანონით“.

ინტენსიურად მუშავდება კონსტიტუციური და კანონისმიერი რეგულაციები², ვინაიდან სომხეთის რესპუბლიკის კონსტიტუციას უმაღლესი იურიდიული ძალა და მის ნორმებს კი უშუალო მოქმედების ძალა გააჩნია³; მისი კანონები კონსტიტუციას უნდა შეესაბამებოდეს. სხვა ნორმატიული აქტები უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციასა და კანონებს⁴. საერთაშორისო ხელშეკრულებებიც სომხეთის რესპუბლიკის სამართლებრივი სისტემის შემადგენელი ნაწილია⁵. აქედან გამომდინარე, არ შეიძლება რატიფიცირებულ იქნას ის საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომლებიც [...] კონსტიტუციას ეწინააღმდეგება⁶. გარდა ამისა ხდება კონსტიტუციური საფუძვლის გამყარებაც⁷: „ნორმატიული სამართლებრივი აქტები გამოდის კონსტიტუციისა და კანონების საფუძველზე მათი განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით“.

თითოეულის კონსტიტუციური ინსტრუმენტები ამკარად უკავშირდება თანამდებობის პირებისადმი წაყენებულ სამსახურებრივ-სამართლებრივ მოთხოვნებს, გააჩნია რა თითოეულ მათგანს უფლება, საკუთარი პიროვნული თუ საზოგადოებრი-

¹ სომხეთის კონსტიტუცია, მუხლი 5, მე-3 წინადადება.

² სომხეთის კონსტიტუცია, მუხლი 6.

³ სომხეთის კონსტიტუცია, მუხლი 6, 1-ლი აბზ., 1-ლი წინადადება.

⁴ სომხეთის კონსტიტუცია, მუხლი 6, 1-ლი აბზაცი, მე-2 და მე-3 წინადადებები.

⁵ სომხეთის კონსტიტუცია, მუხლი 6, აბზ. 3, მე-2 წინადადება.

⁶ სომხეთის კონსტიტუციის მე-6 მუხლის მე-3 აბზაცის მე-4 წინადადების შესაბამისად.

⁷ სომხეთის კონსტიტუცია, მუხლი 6, აბზ. 4.

ვი ინტერესების დაცვის მიზნით მიმართოს სათანადო სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, ასევე თანამდებობის პირებს წინადადებებით და მიიღოს მათგან სათანადო პასუხი გონივრულ ვადაში¹; ამით ფორმულირებულია დამატებითი მოთხოვნები სამთავრობო და ადმინისტრაციული პრაქტიკის სამართლებრივ-სახელმწიფოებრივი ხარისხისადმი.

ბ) საპრეზიდენტო ფუნქციების მნიშვნელობა

აღმასრულებელი ხელისუფლების საპრეზიდენტო ფუნქციების გამოკვეთით 85-ე მუხლში („მთავრობა“) ხაზგასმულია იმპლემენტაციასთან დაკავშირებით ადმინისტრაციისათვის მიცემული დავალებების ლეგიტიმაციის მაღალი ხარისხი და ამით კი საჯარო ადმინისტრაციის არსებითი, სამართლებრივ-სახელმწიფოებრივი ელემენტი. სამართლებრივი სახელმწიფოებრიობის უზენაესობა გამოიხატება, უპირველეს ყოვლისა, განცხადებაში, რომ მთავრობის უფლებამოსილებანი განისაზღვრება კონსტიტუციითა და კანონებით^{2/3}.

მთავრობის (ორგანიზაციული და ფუნქციური) სტრუქტურა ყალიბდება კანონის საფუძველზე მთავრობის წინადადებით⁴; თუმცა მთავრობისა და მისი ქვემდებარე სახელმწიფო მმართველობის სხვა ორგანოთა [...] საქმიანობის ორგანიზაციის პროცედურა განისაზღვრება რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულებით პრემიერ-მინისტრის წარდგინებით⁵. ამდენად, საპრეზი-

¹ სომხეთის კონსტიტუცია, მუხლი 27 1-ლი აბზ.

² სომხეთის კონსტიტუცია, მუხლი 85, აბზაცი 4.

³ მთავრობა შედგება პრემიერ-მინისტრისა და მინისტრებისაგან (სომხეთის კონსტიტუცია, მუხლი 85, აბზ. 3, 1-ლი წინადადება), რომლებიც სავალდებულოდ სომხეთის რესპუბლიკის მოქალაქეები უნდა იყვნენ (მუხლი 85 აბზაცი 3 წინადადება 3).

⁴ სომხეთის კონსტიტუცია, მუხლი 85, აბზ. 5, 1-ლი წინადადება.

⁵ სომხეთის კონსტიტუცია, მუხლი 85, აბზ. 5, მე-2 წინადადება.

დენტო ფუნქციები გარკვევით აისახება მთავრობის ფუნქციებში, ისე როგორც პოლიტიკის ფორმირება დიფერენცირებულად არის კონსტიტუციით ინტერპრეტირებული: „სომხეთის რესპუბლიკის საშინაო პოლიტიკა ყალიბდება და ხორციელდება რესპუბლიკის მთავრობის მიერ“¹, მაშინ როცა საგარეო პოლიტიკა ყალიბდება და ხორციელდება მთავრობისა და პრეზიდენტის მიერ ერთობლივად². სხვა მხრივ, მთავრობის კომპეტენციას განეკუთვნება სახელმწიფო მმართველობის ყველა საკითხი, რომლებიც კანონით არ შედის სხვა სახელმწიფო ორგანოების ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების კომპეტენციაში³. სამართლებრივ-სახელმწიფოებრივი პასუხისმგებლობა პოლიტიკის განსაზღვრაში იმ მიმართულებით ღრმავდება, რომ „სამთავრობო გადაწყვეტილებები კონსტიტუციის, საერთაშორისო ხელშეკრულებების, სომხეთის რესპუბლიკის კანონების ან რესპუბლიკის პრეზიდენტის ნორმატიული აქტების საფუძველზე და მათი დანერგვის უზრუნველყოფის მიზნით უნდა იქნეს მიღებული და რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე აღსრულებული“⁴.

3. აზერბაიჯანი

ა) ტრადიცია და სახელმწიფოებრიობის თავისთავადობა

კონსტიტუციისა და სამართლებრივი სახელმწიფოებრიობის უზენაესობა ჩადებულია უკვე კონსტიტუციის პრეამბულაში, ადასტურებს რა აზერბაიჯანის „ხალხი თავისი სახელმწიფოებრიობის საუკუნოვან ტრადიციას, ააგოს სამართლებრივი სახელმწიფო, რომელიც უზრუნველყოფს კანონის უზენაესობას,

¹ სომხეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის 85-ე მუხლის, 1-ლი აბზაცის 1-ლი წინადადების თანახმად.

² სომხეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის 85-ე მუხლის, 1-ლი აბზაცის მე-2 წინადადების თანახმად.

³ სომხეთის კონსტიტუციის მუხლი 85, აბზ. 1 წინადადება 3.

⁴ სომხეთის კონსტიტუცია, მუხლი 85, აბზაცი 2.

როგორც ხალხის ნების გამოხატულებას. სახელმწიფოს საფუძვლებში ფუძემდებლური აკორდია დემოკრატიული, კონსტიტუციური, საერო და უნიტარული რესპუბლიკა¹. აზერბაიჯანის რესპუბლიკაში სახელმწიფო ხელისუფლება შიდა საკითხებში შეზღუდულია სამართლით და საგარეო საკითხებში მხოლოდ იმ დებულებებით, რომლებიც გამომდინარეობენ იმ საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან, რომლებშიც აზერბაიჯანის რესპუბლიკა მხარეს წარმოადგენს².

ბ) ხელისუფლების დაყოფაზე დაფუძნებული სახელმწიფო ორგანიზაცია და ფუნქციების შეზღუდვა

კონსტიტუციური სახელმწიფოებრიობისა და ხელისუფლების დაყოფის პრინციპის დასადასტურებლად სახელმწიფო ხელისუფლება აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ცალსახად ორგანიზებულია ხელისუფლების დაყოფის პრინციპის საფუძველზე³, რომელსაც შემდგომში კიდევ ერთხელ შევეხებით⁴. პირდაპირ პარადიგმატულად განისაზღვრება ფუნქციათა გადაჯვარედინება, ვინაიდან საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება ერთად მოქმედებს და ამ კონსტიტუციის ნორმების შესაბამისად, დამოუკიდებელია თავიანთი უფლებამოსილებების ფარგლებში⁵.

¹ აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუცია, მუხლი 7 აბზ.1, ძალაშია 1995 წლის 27 ნოემბრიდან

² აზერბაიჯანის კონსტიტუციის მე-7 მუხლის მე-2 აბზაცის შესაბამისად.

³ აზერბაიჯანის კონსტიტუციის მე-7 მუხლი, აბზ. 3

⁴ საკანონმდებლო ხელისუფლებას ახორციელებს აზერბაიჯანის რესპუბლიკის ეროვნული კრება (der Milli Medjlis); აზერბაიჯანის რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნის რესპუბლიკის პრეზიდენტს; სასამართლო ხელისუფლებას ახორციელებენ აზერბაიჯანის რესპუბლიკის სასამართლოები.

⁵ აზერბაიჯანის კონსტიტუცია, მუხლი 7, აბზ. 4.

II. საჯარო სამსახურის საფუძვლები

სამივე კონსტიტუციის მიხედვით ორგანიზაციული, ფუნქციური, სტატუსთან დაკავშირებული და ხელმისაწვდომობის მარეგულირებელი დებულებები თუ ინსტრუქციები საჯარო სამსახურს კონსტიტუციურ სიკეთედ წარმოაჩენენ ოღონდ ისე, რომ საქმე არ შეეხება მკაცრ სისტემურ კავშირებს. საჯარო სამსახური განიხილება ხშირად სხვა უპირველესად დასარეგულირებელი ობიექტების კონტექსტში.

1. საქართველო

ა) ძირითადი უფლებების დათქმები

ძირითადი უფლებით¹, საჯაროდ შეიკრიბონ ღია ცის ქვეშ ან შენობებში წინასწარი ნებართვისა და შეიარაღების გარეშე, გამონაკლისის სახით ვერ სარგებლობენ შეიარაღებული ძალებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს წევრები. პარალელურად იზღუდება ყოველი ადამიანის უფლება, ორგანული კანონის შესაბამისად შექმნას პოლიტიკური პარტია ან სხვა სახის პოლიტიკური გაერთიანება და მონაწილეობა მიიღოს მის საქმიანობაში, იმ თვალსაზრისით², რომ შეიარაღებული ძალების რიგებში ან შინაგან საქმეთა ორგანოებში წევრობით, აგრეთვე მოსამართლედ ან პროკურორად [...] დანიშვნით მთავრდება³ პოლიტიკურ გაერთიანებაში წევრად ყოფნის შესაძლებლობა. გაფიცვის უფლება⁴ მოქცეულია კანონისმიერი⁵ დათქმის ქვეშ და შეზღუდვადია საჯარო ინტერესის

¹ საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 25 1, ცვლილება 2005 წლის 23 დეკემბრის 2494-RS-ით.

² საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 26 2.

³ საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 26 5, ცვლილება 2005 წლის 23 დეკემბრის 2494-RS-ით.

⁴ საქართველოს კონსტიტუციის 33-ე მუხლის 1-ლი წინადადება შესაბამისად.

⁵ საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 33 მე-2 წინადადება.

გათვალისწინებისას; კანონი ასევე განსაზღვრავს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სამსახურების საქმიანობის გარანტიებს¹.

ბ) განკარგულების გაცემის უფლებამოსილება

რათა შესაძლებელი იყოს გუბერნატორის ინსტიტუტის სამართლებრივ-სახელმწიფოებრივი პრინციპის შესაბამისად მოწყობა, საჭიროა არსებობდეს დაქვემდებარებული უწყების მიმართ განკარგულების გაცემის უფლებამოსილება: 79-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, პრემიერ-მინისტრი მთავრობის თავმჯდომარის რანგში განსაზღვრავს „მთავრობის საქმიანობის მიმართულებებს, ორგანიზაციას უწევს მთავრობის საქმიანობას, ახორციელებს კოორდინაციასა და კონტროლს მთავრობის წევრების საქმიანობაზე, მოახსენებს პრეზიდენტს მთავრობის საქმიანობის შესახებ და პასუხისმგებელია მთავრობის საქმიანობისათვის საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტის წინაშე“.

გ) შეიარაღებული ძალების სტრუქტურა და მათი მართვა

სახელმწიფოს უსაფრთხოებას – „ქვეყნის დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვის, აგრეთვე საერთაშორისო ვალდებულებათა შესრულების მიზნით“ - უზრუნველყოფენ სამხედრო შეიარაღებული ძალები², რომელთა სახეობა და შემადგენლობა განისაზღვრება კანონით³. ამტკიცებს რა შეიარაღებული ძალების სტრუქტურას საქართველოს პრეზიდენტი და შეიარაღებული ძალების სიმძლავრეს კი ეროვნული უშიშროების საბჭოს წარდგინებით პარლამენტი კანონით განსაზღვრული წევრების ხმათა უმრავლესობით, აშკარად იკვეთება, რომ პრეზიდენტის და საჯარო (უსაფრთხოების-) ძალაუფლების განმახორციელებელი – პერსონალის თვალსაზრისით ისედაც მრავ-

¹ საქართველოს კონსტიტუციის 33-ე მუხლის მე-3 წინადადების შესაბამისად.

² საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 98 №2.

³ საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 98 №3.

ალრიცხოვანი – ორგანოს თანამშრომლობა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის დამახასიათებელ ურთიერთობას წარმოადგენს.

დ) საჯარო სამსახურის წვლილი სახელმწიფოებრივი ქმედებების ლეგიტიმაციაში

საქართველოში საჯარო სამსახური ჩართულია კანონისმიერი რეგულირების რამდენიმე სფეროში, რომლებიც თავის დაღს ასვავენ ხელისუფლების გადანაწილების პრინციპზე აგებული სისტემის ცალკეულ კომპონენტებს, ამასთან, მრავალჯერადად და სხვადასხვა პერსპექტივით შეხებაში მოდიან საჯარო სამსახურთან და მის საქმიანობას კომპეტენციის, პერსონალის, ორგანიზაციული, შინაარსობრივი და კონსტიტუციაზე ორიენტირებული თვალსაზრისით დამატებით ლეგიტიმაციას სძენენ: საქართველოს კონსტიტუციისა და თვითონ საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონების გარდა ფართო სამართლებრივსა და ლეგიტიმაციის ჩარჩოს (და აქ ისინი დასახელებულ უნდა იქნენ) ქმნიან: საქართველოს ორგანული კანონი ნორმატიული აქტების შესახებ, საქართველოს ორგანული კანონი სიტყვისა და გამოხატვის უფლების შესახებ, საქართველოს ორგანული კანონი საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ, საქართველოს ორგანული კანონი საერთო სასამართლოების შესახებ, საქართველოს კანონი სასამართლო საქმის სათანადო ინსტანციაში გადაგზავნის წესისა და საერთო სასამართლოს სხვა მოსამართლეზე უფლებამოსილებათა გადატანის შესახებ და საქართველოს კანონი ზოგადი სასამართლოების მოსამართლეებთან კომუნიკაციის წესის შესახებ, ამას გარდა საქართველოს კანონი სამართლებრივი დახმარების განევის შესახებ, საქართველოს შრომის კოდექსი, საქართველოს კანონი ნოტარიატის შესახებ, საქართველოს კანონი სამენარმეო კომპანიების შესახებ, საქართველოს კანონი სამენარმეო საქმიანობაზე კონტროლის განევის შესახებ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი და ბო-

ლოს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი.

2. სომხეთი

სომხეთის კონსტიტუციაშიც არის მიმოფანტული რამდენიმე შეხების წერტილი საჯარო სამსახურის სტრუქტურირებისათვის, როცა ვკითხულობთ, რომ „დასაქმებულებს საკუთარი ეკონომიკური, სოციალური და შრომითი ინტერესების დაცვის მიზნით გაფიცვის უფლება აქვთ¹, ხოლო ამ უფლებით სარგებლობისა და მისი შეზღუდვის [...] წესები განისაზღვრება კანონით“. ასევე „თანამდებობის პირები პასუხს აგებენ გარემოს შესახებ ინფორმაციის საიდუმლოდ შენახვისა და ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის გამო“². აშკარა და სამართლებრივ-სახელმწიფოებრივი პრინციპიდან გამომდინარე პასუხისმგებლობა შეეხება ადამიანის უფლებადამცველებს³, რომლებიც დამოუკიდებელი თანამდებობის პირების რანგში ახორციელებენ სახელმწიფო ორგანოების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და სახელმწიფო მოხელეთა მიერ ადამიანის დარღვეულ უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას, ამასთან იმედს გამოვთქვავთ, რომ სახელმწიფო ორგანოები, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები და მათი თანამდებობის პირები ერთმანეთთან ითანამშრომლებენ.

3. აზერბაიჯანი

ა) საჯარო სამსახურის ხელმისაწვდომობა

წინა პლანზე წამოწეულია საჯარო სამსახურისადმი ხელმისაწვდომობის საკითხი⁴, ვინაიდან, კონსტიტუციის თანახმად, აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქეებს აქვთ უფლება, იმ-

¹ სომხეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია, მუხლი 32.

² სომხეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის 32. 2 მუხლის შესაბამისად.

³ სომხეთის კონსტიტუციის 83.1 მუხლის თვალსაზრისით.

⁴ აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუციის 55-ე მუხლის მე-2 აბზაცი.

სახურონ სახელმწიფო ორგანოებში. სახელმწიფო ორგანოების თანამდებობის პირები თანამდებობაზე ინიშნებიან აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქეთა წრიდან. უცხო ქვეყნის მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები შეიძლება აყვანილ იქნენ სახელმწიფო სამსახურში კანონით დადგენილი წესის შესაბამისად¹.

ბ) სტატუსი და ძირითადი უფლებების დათქმა

აღნიშვნის ღირსია საჯარო მოსამსახურის სტატუსსა და აგრეთვე შრომის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული გაფიცვის უფლების შეზღუდვები, ვინაიდან ყოველი ადამიანის უფლება, დამოუკიდებლად ან სხვებთან ერთად გაიფიცოს, შეიძლება შეიზღუდოს შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე დასაქმებული პირისთვისაც კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში²; გაფიცვის აკრძალვა შეეხება აგრეთვე სამხედრო მოსამსახურეებსა და იმ სამოქალაქო პირებს, რომლებიც მსახურობენ სამხედრო ძალებში და აზერბაიჯანის რესპუბლიკის სხვა შეიარაღებულ ერთეულებში, იგულისხმება ფუნქციური თვალსაზრისით შეზღუდვა. შეზღუდვები შეეხება აგრეთვე ზოგად აქტიურსა და პასიურ საარჩევნო უფლებას; ამ კონტექსტში არჩევნებში [...] მონაწილეობა კანონით შეიძლება შეეზღუდოთ სამხედრო მოსამსახურეებს, მოსამართლეებს, სახელმწიფო მოსამსახურეებს, სასულიერო პირებს, კანონიერ ძალაში შესული განაჩენის საფუძველზე პატიმრებს და სხვა იმ პირებს, რომლებიც განსაზღვრულია ამ კონსტიტუციით ან კანონით³. აზერბაიჯანის რესპუბლიკის ეროვნული კრების დეპუტატებად ასარჩევი კანდიდატებისადმი წაყენებულ მოთხოვნებთან დაკავშირებით⁴ ხაზგასმულია პასიური საარჩევნო

¹ აზერბაიჯანის კონსტიტუცია, მუხლი 55 აბზ. 2 1-ლი წინადადება.

² აზერბაიჯანის კონსტიტუცია, მუხლი 36 აბზ. 2.

³ აზერბაიჯანის კონსტიტუციის 56-ე მუხლის მე-4 აბზაცის შესაბამისად.

⁴ დადგენილი აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუციის 85-ე მუხლში.

უფლების შეზღუდვები¹, ვინაიდან აზერბაიჯანის რესპუბლიკის ეროვნული კრების დეპუტატად არ შეიძლება არჩეულ იქნეს – სხვა, კრიტერიუმების საფუძველზე გამოყოფილი, ჯგუფების გარდა – პირი, რომელიც საქმიანობს აღმასრულებელი ან სასამართლო ხელისუფლების სისტემაში.

გ) კარგი მმართველობა და სახელმწიფო ორგანოს პასუხისმგებლობა

ყურადღება მახვილდება საჯარო სამსახურზე (კერძოდ, კარგი მმართველობის კუთხით) პეტიციის უფლებით სარგებლობის თვალსაზრისით, რამეთუ კონსტიტუცია ანიჭებს აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქეებს უფლებას, პირადად ან ინდივიდუალურად და, შესაბამისად, კოლექტიურად წერილობით მიმართონ სახელმწიფო ორგანოებს; თან იქვე მითითებულია²: ყოველ პეტიციას გაეცეს პასუხი კანონით გათვალისწინებული წესითა და ვადაში, და დევნისაგან თავისუფალ (გარდა შეურაცყოფისა და ცილისწამებისა) უფლებას კრიტიკაზე³ იმ გაგებით⁴, რომ კრიტიკის საგნად იქცეს სახელმწიფო ორგანოთა და მათი თანამდებობის პირთა, პოლიტიკურ პარტიათა, პროფესიული კავშირებისა და სხვა საზოგადოებრივი გაერთიანებების, ასევე, ცალკეულ მოქალაქეთა საქმიანობა ან შრომა⁵.

და ამ ზოგადი ხარისხობრივი მოთხოვნების შედეგია უფრო ინტენსიურად გამოხატული უფლება ზიანის ანაზღაურებაზე⁶, უპირველეს ყოვლისა, როგორც მითითება კანონმდებლისადმი⁷

¹ აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუციის 85-ე მუხლის მე-2 აბზაცში.
² აზერბაიჯანის კონსტიტუცია, მუხლი 57 აბზ. 1 წინადადება 2.
³ აზერბაიჯანის კონსტიტუცია, მუხლი 57 აბზ. 2 წინადადება 2.
⁴ აზერბაიჯანის კონსტიტუცია, მუხლი 57 აბზ. 2 წინადადება 3.
⁵ აზერბაიჯანის კონსტიტუცია, მუხლი 57 აბზ. 2 1-ლი წინადადება.
⁶ აზერბაიჯანის კონსტიტუცია, მუხლი 68.
⁷ აზერბაიჯანის კონსტიტუცია, მუხლი 68 აბზაცი 1.

(და როგორც კანონისმიერი დათქმა), ვინაიდან კანონი იცავს დანაშაულის ან სახელმწიფო ხელისუფლების ბოროტად გამოყენების შედეგად დაზარალებულის უფლებებს. დაზარალებულს აქვს უფლება, მიიღოს მონაწილეობა საქმის სამართლებრივ გადანიშნულებაში და მოითხოვოს მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება, ხოლო სახელმწიფო ორგანოს პასუხისმგებლობიდან გამომდინარე¹, ყოველ ადამიანს აქვს უფლება, რომ მას სახელმწიფომ აუნაზღაუროს ზიანი, რომელიც გამოწვეულ იქნა სახელმწიფო ორგანოთა მხრიდან უკანონო ქმედებების განხორციელების ან უმოქმედობის შედეგად.

დ) საჯარო სამსახურის დაქვემდებარება საპრეზიდენტო ფუნქციისადმი

სახელმწიფო-ორგანიზაციული თვალსაზრისით ხდება საჯარო სამსახურის რეფლექტირება, ექვემდებარება რა აღმასრულებელი ხელისუფლება აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტს², და შედის რა – ამის შესაბამისად – აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის უფლებამოსილებებში, მრავალრიცხოვანი საგუბერნატორო და სადირექტივო ფუნქციების გვერდით, შექმნას აღმასრულებელი ხელისუფლების ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოები აზერბაიჯანის რესპუბლიკის ბიუჯეტში აღმასრულებელი ხელისუფლებისათვის გათვალისწინებული ფინანსური საშუალებების ფარგლებში³, გააუქმოს აღმასრულებელი ხელისუფლების ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების აქტები⁴, წარუდგინოს ეროვნულ კრებას დასანიშნად საკონსტიტუციო სასამართლოს, უზენაესი სასამართლოს, სააპელაციო სასამართლოებისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის სხვა სასამართლოე-

¹ აზერბაიჯანის კონსტიტუცია, მუხლი 68 აბზაცი 2.

² აზერბაიჯანის კონსტიტუცია, მუხლი 99.

³ აზერბაიჯანის კონსტიტუცია, მუხლი 109 7.

⁴ აზერბაიჯანის კონსტიტუცია, მუხლი 109 8.

ბის მოსამართლეები, დანიშნოს ან გაათავისუფლოს ეროვნული კრების თანხმობით გენერალური პროკურორი¹.

ე) კომუნალური დონე

კომუნალურ (ადგილობრივ) დონეზე აღმასრულებელი ხელისუფლება ხორციელდება ადგილობრივი აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელი პირების მიერ², რომლებსაც, თავის მხრივ, ნიშნავს და ათავისუფლებს აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტი და რომელთა უფლებამოსილებანი განისაზღვრება აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ³. ნახჩევანის ავტონომიური რესპუბლიკის ადგილობრივი აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელი პირები ინიშნებიან პრეზიდენტის მიერ ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი კრების თავმჯდომარის წარდგინებით.

III. მოსამართლეთა (კორპუსის) დამოუკიდებლობა

სასამართლოებისა და მოსამართლეთა დამოუკიდებლობა⁴ სამართლებრივ სახელმწიფოში ხელისუფლების გადანაწილების ასპექტის მთავარ მოთხოვნათა რიგს განეკუთვნება და კონსტიტუციურად მყარი ელემენტის სახით იგი ზეგავლენას ახდენს, აგრეთვე, სამოხელეო სამართალზეც⁵ სასამართლო პრაქტიკის

¹ აზერბაიჯანის კონსტიტუცია, მუხლი 109 9.

² აზერბაიჯანის კონსტიტუციის 124-ე მუხლის 1-ლი აბზაცის შესაბამისად.

³ აზერბაიჯანის კონსტიტუციის 124-ე მუხლის მე-3 აბზაცის შესაბამისად.

⁴ *Hans-Jürgen Papier*, Richterliche Unabhängigkeit, კრებულში: HGR V, § 130, კერძოდ ველი 13 და შემდეგი, 20, 25 და შემდეგი, 32 და შემდეგი.

⁵ შდრ. ახალი გერმანული სამართალწარმოებიდან სხვათა შორის გერმანიის ფედერალური უზენაესი სასამართლოს (BGH) (ფედერაციის სამსახურეობრივ საქმეთა განმხილველი სასამართლო), 2013 წლის

თვალსაზრისით. თუმცა სტატუსსა და პროცესთან დაკავშირე-

14 ოქტომბრის სასამართლო გადაწყვეტილება (RiZ [R] 2/13), იურის, ველი 14 და შემდეგი: ა) მოსამართლის შესახებ გერმანული კანონის (შემდგომში: DRiG) § 26-ის 1-ლი აბზაცის მიხედვით მოსამართლე ექვემდებარება სამსახურებრივ ზედამხედველობას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ იქნება შელახული მისი დამოუკიდებლობა. DRiG-ს §26-ის მე-2 აბზაცის მიხედვით ზედამხედველობა 1-ლი აბზაცის გათვალისწინებით მოიცავს აგრეთვე უფლებამოსილებას, უსაყვედუროს მოსამართლეს საკუთარი სამსახურებრივი საქმის მართლსაწინააღმდეგო ფორმით შესრულება და შეახსენოს მას, რომ კანონის შესაბამისად და დაუყოვნებლივ/გაჭიანურების გარეშე დაასრულოს საქმე. ამის შესაბამისად საქსონიის მოსამართლეთა შესახებ კანონის (SächsRiG) §6, აბზაცები 2 და 3 ითვალისწინებენ უვადოდ დანიშნული მოსამართლეების კვალიფიკაციის, მათი ზოგადად ვარგისიანობის, პროფესიული შესაძლებლობისა და უნარიანობის თვალსაზრისით პერიოდულ შეფასებას იმ მითითების გათვალისწინებით, რომ სამოსამართლეო საქმიანობის შეფასებისას გათვალისწინებულ იქნება DRiG-ს §26-ის 1-ლი და მე-2 აბზაცებით გათვალისწინებული შეზღუდვები და რომ დაუშვებელია, შინაარსობრივი შეფასება მიეცეს სამოსამართლეო გადაწყვეტილებას საქმესთან დაკავშირებით. 15 ბ) მოსამართლის დამოუკიდებლობის შელახვა სამსახურებრივი შეფასების შინაარსით დაუშვებელია. მაგრამ ამას არ აქვს ადგილი, თუ შეფასებაში ხდება სამოსამართლეო საქმიანობისა და განსაკუთრებით სამოსამართლეო უნარიანობის შეფასება. ეს შეფასების პირდაპირი მიზანია. სამსახურებრივი შეფასება ხელყოფს მოსამართლის დამოუკიდებლობას მხოლოდ მაშინ, თუ იგი პირდაპირ ან არაპირდაპირ უთითებს მოსამართლეს, როგორ უნდა იმოქმედოს მოსამართლემ სამომავლოდ და როგორ მიიღოს გადაწყვეტილებები. მოსამართლის შესახებ შედგენილ სამოსამსახურეო დასკვნაში თავის შეკავებაა საჭირო ყოველგვარი ფსიქოლოგიური ზეწოლისაგან. ასეთი რამ დაუშვებელია, თუ სამსახურეობრივ დასკვნაში მოცემული კრიტიკა მოსამართლეს საბაბს მისცემდა, მომავალში მიეღო საქმესთან ან პროცესთან დაკავშირებით სხვა გადაწყვეტილებები, ვიდრე

ბული წესები მისდევენ აქ მხოლოდ და მხოლოდ მოსამართლეებისადმი წაყენებულ განსაკუთრებულ მოთხოვნებს, რაც სამმაგი თვალსაზრისით აისახება საჯარო სამსახურზე: ჯერ ერთი, კონსტიტუციისა და კანონის უზენაესობის თვალსაზრისით, რომელიც აქ მხოლოდ მოსამართლეებსა და მოსამართლეთა კორპუსს მოეთხოვება, მაგრამ რომელიც უშედეგოდ ჩაივლიდა, თუ ამაში ასახვას ვერ ვპოვებდა ხელისუფლების ყველა შტოს მომცველი სახელმწიფოებრივი არსის საერთო თვითშეგნება; მეორეც, საპროცესო პრინციპების თვალსაზრისით, რომელთაგან ზოგიერთმა

ამას გააკეთებდა კრიტიკის მოსმენამდე (st. Rspr.[...]. 16 გ) მოსამართლის დამოუკიდებლობის დაცვის სფეროს განეკუთვნება, პირველ რიგში, საკუთრივ გადაწყვეტილების მიღების პროცესი და უშუალოდ საქმეზე და პროცესთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებები, ცალსახად არგანსაზღვრული, მაგრამ სამართლის მიქნელების ინტერესების შესატყვისი ქმედებების ჩათვლით, რომლებიც დაკავშირებულია კონკრეტული პროცესის ფარგლებში მოსამართლის ფუნქციასთან, ქმნას სამართალი და უზრუნველოს სამართლებრივი მშვიდობა (ე.წ. ძირითადი/მთავარი სფერო; st. Rspr.[...]). ისინი არ არის მოქცეული სამსახურეობრივი ზედამხედველობის ღონისძიებების ფარგლებში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა სახეზეა აშკარა, ყოველგვარ ეჭვს მოკლებული მცდარი ღონისძიება [...]. 17 დ) და პირიქით, სამოსამართლეო საქმიანობის განხორციელება ექვემდებარება სამსახურეობრივ ზედამხედველობას, თუ საქმე ეხება საქმის წარმოების კანონის შესაბამისად განხორციელების უზრუნველყოფას, სამოსამსახურეო საქმიანობის განხორციელების გარეგნულ ფორმას ან ისეთ საკითხებს, რომლებიც სასამართლო საქმიანობის პრაქტიკის სფეროდან იმდენად არის მოწყვეტილი, რომ შესაძლებელია მათი მხოლოდ გარეგანი წესრიგის სფეროსათვის მიკუთვნება (st. Rspr.)[...], იხ. აგრეთვე BGH), 2011 წლის 6 ოქტომბრის გადაწყვეტილება (RiZ [R] 3/10, იურის, ველი, 15 და 20 – ორივე არის გადაწყვეტილება, რომლებიც აშუქებენ სამოსამართლეო დამოუკიდებლობისა და სამსახურეობრივ-ზედამხედველობრივი ინტერვენციის ურთიერთმიმდინარე სფეროებს.

უკვე მყარი ადგილი დაიმკვიდრა კარგი ადმინისტრაციის ფარგლებში; მესამეც, თვითონ სასამართლო პრაქტიკა, თუ რამდენადაც სამსახურეობრივ-სამართლებრივი დავებია გადასაწყვეტი ან თუ საჯარო მოხელეთა ქცევაა დავის საგანი, ემსახურება საჯარო სამოხელეო სამართლის სამართლებრივ-სახელმწიფოებრივ და (კონსტიტუციურ-)სამართლებრივ ჩამოყალიბებას.

1. საქართველო

ა) დამოუკიდებლობის

სახელმწიფოებრივ-ფუნქციონალური ხედვა

კონსტიტუციაში ხაზგასმულია: „სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებელია და მას ახორციელებენ მხოლოდ სასამართლოები“¹. სამოსამართლეო დამოუკიდებლობის პრინციპის არსებითი მხარეები ჯერ ფუნქციური თვალსაზრისით ცალ-ცალკე გარკვევით და სწორედ რომ პარადიგმატულად არის გამოკვეთილი, ვინაიდან „მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციასა და კანონს“², აქედან გამომდინარე, დაუშვებელია და ისჯება კანონით [...] რაიმე ზემოქმედება მოსამართლეზე ან ჩარევა მის საქმიანობაში გადანწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მიზნით³. „მოსამართლის ჩამოცილება საქმის განხილვისაგან, თანამდებობიდან მისი ვადამდე განთავისუფლება ან სხვა თანამდებობაზე გადაყვანა დაიშვება მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში“⁴. შემდეგ: „არავის აქვს უფლება, მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე“⁵ და ლოგიკურად, „ყველა აქტი, რომელიც ზღუდავს

¹ საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 82 3.

² საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 84 1 1-ლი წინადადება.

³ საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 84 1 მე-2 წინადადება.

⁴ საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 84 2.

⁵ საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 84 3.

მოსამართლის დამოუკიდებლობას, [...] ბათილია“¹, და „სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება, შეცვლა ან შეჩერება შეუძლია [...] მხოლოდ სასამართლოს კანონით განსაზღვრული წესით“².

ბ) სტატუსით განპირობებული დამოუკიდებლობა

პიროვნული და სტატუსიდან გამომდინარე დამოუკიდებლობის მასშტაბები დაწვრილებით განსაზღვრულია, ვინაიდან საქართველოს ყოველ მოქალაქეს შეუძლია გახდეს მოსამართლე³, „თუ მას შეუსრულდა 28 წელი⁴, აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება და სპეციალობით მუშაობის სულ მცირე 5 წლის გამოცდილება“. ამის შემდეგ იგი – ესეც მისი დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად – გამწესდება „მოსამართლის თანამდებობაზე არანაკლებ 10 წლის ვადით“⁵, და „მოსამართლის შერჩევის, დანიშვნისა და თანამდებობიდან გათავისუფლების წესი განისაზღვრება კანონით“⁶. დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა არის მამოძრავებელი მოტივი, მიუხედავად იმისა, რომ მოსამართლის თანამდებობა „გარდა პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობისა, შეუთავსებელია ნებისმიერ სხვა თანამდებობასთან და ანაზღაურებად საქმიანობასთან“⁷ და „მოსამართლე არ შეიძლება იყოს პოლიტიკური პარტიის წევრი და მონაწილეობდეს პოლიტიკურ საქმიანობაში“⁸. სტატუსთან დაკავშირებული ამოცანებისათ-

¹ საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 84 4.

² საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 84 5.

³ საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 86 1.

⁴ 23.12.2005 Nr. 2494-RS.

⁵ საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 86 №2 1-ლი წინადადება.

⁶ საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 86 2 მე-2 წინადადება.

⁷ საქართველოს კონსტიტუციის 86-ე მუხლის 3-ის 1-ლი წინადადების მიხედვით.

⁸ საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 86 3 მე-2 წინადადება, 2005 წლის 23 დეკემბრის 2494-RS ცვლილების გათვალისწინებით.

ვის, „მოსამართლეთა თანამდებობაზე დანიშვნის, მოსამართლეთა თანამდებობიდან გათავისუფლების, ასევე, სხვა ამოცანების შესრულების მიზნით იქმნება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო“¹, რომლის წევრთა ნახევარზე მეტი „აირჩევა საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანოს მიერ“. საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარეობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე². საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილებანი და შემადგენლობა განისაზღვრება ორგანული კანონით³.

გ) მოსამართლის იმუნიტეტი

გულმოდგინეობით არის გამოხატული მოსამართლის ხელშეუხებლობა მისი პირადი იმუნიტეტის თვალსაზრისით იმ გამონაკლისით, როცა მას დანაშაულზე (in flagrante delicto) წაუსწრებენ⁴, თუმცა „დაუშვებელია მოსამართლის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, დაკავება ან დაპატიმრება, მისი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი გაჩხრეკა საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანხმობის გარეშე“. გამონაკლის შემთხვევებში, როცა მოსამართლე უშუალოდ მხილებულ იქნება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში, „სასამართლოს თავმჯდომარე დაუყოვნებლივ ინფორმირებულ უნდა იქნეს და თუ იგი არ მისცემს თანხმობას, დაკავებული ან დაპატიმრებული მოსამართლე დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს“. სხვა მხრივ: „სახელმწიფო უზრუნველყოფს მოსამართლისა და მისი ოჯახის უსაფრთხოებას“⁵, არსებობის უზრუნველმყოფელი სოციალური

¹ საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 86 1, 2006 წლის 27 დეკემბრის 4133-RS ცვლილების შესაბამისად.

² საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 83 2 წინადადება 3.

³ საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 86 3.

⁴ საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 87.2.

⁵ საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 87 2.

და ფინანსურად უზრუნველყოფის (კეთილდღეობის) პრინციპის თვალსაზრისითაც.

2. სომხეთი

ა) კონსტიტუციურად გამყარებული დამოუკიდებლობა

სომხეთიც აღიარებს „სასამართლოთა დამოუკიდებლობას“¹; იგი უზრუნველყოფილია კონსტიტუციითა და კანონებით ისევე, როგორც სასამართლოების უფლებამოსილებები, მათი შექმნის პროცედურა და საქმიანობა, რაც კიდევ ერთხელ სიღრმისეულად და სამართლებრივ-სახელმწიფოებრივი ნიშნების დაკონკრეტებით ასეა ჩამოყალიბებული: „საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებები და მისი შექმნის პროცედურა განისაზღვრება კონსტიტუციით, ხოლო მისი საქმიანობის წესი – კონსტიტუციითა და საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონით. ასევე, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა² და ფართოდ სტრუქტურირდება მოსამართლეთა და საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა სხვა თანამდებობაზე გადაყვანა, ვინაიდან მოსამართლეები ახორციელებენ თავიანთ სამსახურეობრივ უფლებამოსილებას 65 წლის ასაკის დასრულებამდე³ და მისი უფლებამოსილებები იმ შემთხვევაში და იმ წესით შეუჩერდება [შეეზღუდება ან შეუწყდება], რომელიც განსაზღვრულია კონსტიტუციითა და კანონმდებლობით“⁴.

ბ) სტატუსით განპირობებული დამოუკიდებლობა

უზრუნველყოფილია ასევე მოსამართლეთა და საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა დამოუკიდებლობა⁵ და გამახვილებუ-

¹ სომხეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის 94-ე მუხლში.

² სომხეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის 96-ე მუხლის 1-ლ წინადადებაში.

³ სომხეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის 96-ე მუხლის მე-2 წინადადებაში.

⁴ სომხეთის კონსტიტუცია, მუხლი 96, წინადადება 3.

⁵ სომხეთის კონსტიტუცია, 97-ე მუხლის 1-ლი აბზაცის შესაბამისად.

ლია ყურადღება იმაზე, რომ ისინი ემორჩილებიან მხოლოდ კონსტიტუციასა და კანონს; აქაც კონკრეტდება კანონის უზენაესობის საკითხი, როცა ვკითხულობთ, საქმიანობის გარანტიები და მოსამართლეთა და საკონსტიტუციო სასამართლოს [...] ნევრთა პასუხისმგებლობის საფუძვლები და საქმის წარმოება განისაზღვრება კანონით¹, ასევე ხაზგასმულია მათი ხელშეუხებლობა², რადგან მათი დაპატიმრება, განსასჯელის სახით სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მიცემა ან ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრება სასამართლო წესით იუსტიციის საბჭოს და, შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს თანხმობის გარეშე დაუშვებელია³, გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა ან თუ მათი დაკავება მოხდება უშუალოდ დანაშაულის ჩადენის მომენტში⁴, რაც, ასეთ შემთხვევებში, დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს რესპუბლიკის პრეზიდენტს, აგრეთვე საკასაციო სასამართლოსა და, შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეებს⁵, ისე რომ არ იქნეს გათვალისწინებული სხვა ინტერვენციის შესაძლებლობები. სტატუსთან დაკავშირებით კონსტიტუცია მოსამართლეებსა და საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებს უკრძალავს, განახორციელონ რაიმე სახის სამენარმეო საქმიანობა ან მათ მოვალეობებთან შეუთავსებელი თანამდებობა დაიკავონ სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში⁶ ან რომელიმე კომერციულ ორგანიზაციაში; მათ ასევე ეკრძალებათ, დაიკავონ სხვა ანაზღაურებადი თანამდებობა, გამონაკლისია პედაგოგიური, სამეცნიერო ან შემოქმედებითი

¹ სომხეთის კონსტიტუცია, 97-ე მუხლის მე-2 აბზაცის შესაბამისად.

² სომხეთის კონსტიტუცია, 97-ე მუხლის მე-3 აბზაცის შესაბამისად.

³ სომხეთის კონსტიტუცია, 97-ე მუხლის მე-3 აბზაცის 1-ლი წინადადების შესაბამისად.

⁴ სომხეთის კონსტიტუცია, მუხლი 97, მე-3 აბზაცის მე-2 წინადადება.

⁵ სომხეთის კონსტიტუცია, მუხლი 97, მე-3 აბზაცის მე-3 წინადადება.

⁶ სომხეთის კონსტიტუციის 98-ე მუხლის შესაბამისად.

საქმიანობა. განსაკუთრებით აღსანიშნავია, და ძალზე ფართო გამოხატულებას პოულობს, მოსამართლეთა ნეიტრალიტეტი, როცა მოსამართლეებსა და საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებს ეკრძალებათ, იყვნენ რომელიმე პარტიის წევრი ან განახორციელონ პოლიტიკური საქმიანობა.

3. აზერბაიჯანი

ა) მართლმსაჯულების განხორციელება მხოლოდ და მხოლოდ სასამართლოს გზით

ხაზგასმულია სასამართლო ხელისუფლების ექსკლუზიურობა, როცა ნათქვამია: „სასამართლო ხელისუფლებას აზერბაიჯანის რესპუბლიკაში სამართალწარმოების გზით ახორციელებენ მხოლოდ და მხოლოდ სასამართლოები“¹, და კიდევ, როცა შემდეგ² ცალსახად არის ჩამოთვლილი სასამართლო ხელისუფლების სუბიექტები, კერძოდ აზერბაიჯანის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლო, აზერბაიჯანის რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო, აზერბაიჯანის რესპუბლიკის სააპელაციო სასამართლოები, აზერბაიჯანის რესპუბლიკის საერთო და სპეციალური სასამართლოები, სხვა მხრივ ფუნქციურად და პროცესუალურად შებოჭილნი, ვინაიდან სასამართლო ხელისუფლება ხორციელდება საკონსტიტუციო, სამოქალაქო და სისხლის სამართლის სასამართლოების წარმოებებისა და კანონით გათვალისწინებული სხვა ფორმების მეშვეობით³.

ბ) სტატუსით განპირობებული დამოუკიდებლობა

მოსამართლის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატებისადმი წაყენებულ პიროვნულ (სტატუსიდან გამომდინარე) მოთ-

¹ აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუციის 125-ე მუხლის 1-ლ აბზაცში.

² აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუციის 125-ე მუხლის მე-2 აბზაცში.

³ აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუცია, მე-3 აბზაცი.

ხოვნებს, რომლებიც თვით კონსტიტუციაშია დასახელებული, განეკუთვნება, რომ ისინი აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქეები და სულ მცირე 30 წლის ასაკის უნდა იყვნენ, გააჩნდეთ არჩევნებში მონაწილეობის უფლება და უმაღლესი იურიდიული განათლება და პროფესიული საქმიანობის სულ მცირე 5 წლის გამოცდილება¹. მოსამართლეებისადმი წაყენებული მოთხოვნებიდან გამომდინარე, შეუთავსებლობის საკითხთან დაკავშირებით დადგენილია, რომ მათ არ აქვთ იმავდროულად სხვა არჩევითი ან ანაზღაურებადი თანამდებობის დაკავების უფლება², მათ არც სამეწარმეო, სავაჭრო ან სხვა ანაზღაურებადი საქმიანობის განხორციელების უფლება აქვთ, გამონაკლისია მეცნიერების სფეროში, პედაგოგიური ან სახელოვნებო სფეროში შემოქმედებითი საქმიანობა, მათ აგრეთვე ეკრძალებათ პოლიტიკური საქმიანობა ან პოლიტიკური პარტიის წევრობა, სხვა შემოსავლების მიღება, გამონაკლისია თანამდებობრივი სარგო და ის ფინანსური სახსრები, რომლებიც მიიღება სამეცნიერო, პედაგოგიური ან შემოქმედებითი საქმიანობიდან³.

გ) იმუნიტეტი და დამოუკიდებლობის სამართალწარმოებასთან დაკავშირებული აქცენტები

მოსამართლეთა დამოუკიდებლობა გარანტირებულია, რამეთუ მოსამართლეები ემორჩილებიან მხოლოდ კონსტიტუციასა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის კანონებს და მათი გათავისუფლება მათი უფლებამოსილების პერიოდში არ შეიძლება⁴, ასევე გარანტირებულია მართლმსაჯულების მთავარი პრინციპები და ძირითადი პირობები, რამეთუ, ერთი მხრივ, მოსამართლეები არიან ვალდებული, წარმართონ პროცესები მიუკერძოებლად და

¹ აზერბაიჯანის კონსტიტუცია, მუხლი 126, 1-ლი აბზაცი.

² აზერბაიჯანის კონსტიტუცია, მუხლი 126, მე-2 აბზაცი.

³ აზერბაიჯანის კონსტიტუცია, მუხლი 126, მე-3 აბზაცი.

⁴ აზერბაიჯანის კონსტიტუცია, მუხლი 127 1-ლი აბზაცი.

სამართლიანად, მხარეთა იურიდიული თანასწორობის გათვალისწინებით, ფაქტებზე დაყრდნობითა და კანონთან შესაბამისობაში¹ და, მეორე მხრივ, დაუშვებელია სასამართლო პროცესის უშუალო ან შუალობითი შეზღუდვა პროცესის რომელიმე მონაწილის მხრიდან და ნებისმიერი საფუძვლით, უკანონო ზემოქმედება, მუქარა და ჩარევა [...].

სასამართლოს ხელმისაწვდომობისა და პროცესის წარმართვის პრინციპებისათვის საჭირო კონსტიტუციური დებულებები ემყარება პროცესის წარმართვისას მოქალაქეთა თანასწორობის პრინციპს კანონისა და სასამართლოს წინაშე², სასამართლო პროცესების საჯაროობას ყველა სასამართლოში, თუმცა, გამონაკლის შემთხვევებში, დაშვებულია საქმის განხილვა დახურულ სხდომებზე, თუ სასამართლოს მიაჩნია, რომ ღია სასამართლო პროცესმა შეიძლება გამოიწვიოს სახელმწიფო, პროფესიული ან სამეწარმეო საქმიანობისათვის მნიშვნელოვანი საიდუმლოების გასაჯაროება ან თუ იგი დაადგენს, რომ საჭიროა დაცულ იქნეს პირადი ან ოჯახური ცხოვრების საიდუმლოება³. ამას ემატება აკრძალვა სისხლის სამართლის საქმეზე, რომ სასამართლო პროცესი გაიმართოს დაუსწრებლად, კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გამოკლებით⁴.

ზოგადად, სასამართლო პროცესი უნდა წარიმართოს კონტრადიქტორული წარმოების პრინციპის მიხედვით⁵, და საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე ნებისმიერი მხარისათვის გარანტირებული უნდა იყოს დაცვის უფლება⁶; მართლმსაჯულებაში

¹ აზერბაიჯანის კონსტიტუცია, მუხლი 127 მე-2 აბზაცი.

² აზერბაიჯანის კონსტიტუცია, მუხლი 127 მე-4 აბზაცი.

³ აზერბაიჯანის კონსტიტუციის 127-ე მუხლის მე-5 აბზაცის მე-2 წინადადების შესაბამისად.

⁴ აზერბაიჯანის კონსტიტუცია, მუხლი 127, აბზაცი 6.

⁵ აზერბაიჯანის კონსტიტუცია, მუხლი 127, აბზაცი 7.

⁶ აზერბაიჯანის კონსტიტუცია, მუხლი 127, აბზაცი 8.

მოქმედებს უდანაშაულობის პრეზუმფცია¹; სხვა მადიფერენცი-რებელი წესები² შეეხება სამართალწარმოების ენას იმ უფლების ჩათვლით პროცესის მონაწილეთათვის, რომლებიც არ ფლობენ სამართალწარმოების ენას, რომ ისინი სრულად გაეცნონ საქ-მის მასალებს, სასამართლო პროცესში მიიღონ მონაწილეობა თარჯიმნის გამოყენებით და პროცესზე გამოვიდნენ მშობლიურ ენაზე.

მოსამართლის იმუნიტეტი შედარებით თავშეკავებულად არის გამოხატული³; შესატყვისი მარეგულირებელი ნორმის მიხედვით მოსამართლე შეიძლება მიეცეს სისხლის-სამართლებრივ პასუხის-გებაში მხოლოდ კანონით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

C. სამოხელეო სამართალი გერმანიაში

ქვემოთ შევაჩერებთ ყურადღებას იმ ძირითად კანონისმიერ საფუძვლებზე, რომლებიც გერმანიის სამოხელეო სამართლის თავისებურებას წარმოაჩენს⁴.

¹ აზერბაიჯანის კონსტიტუცია, მუხლი 127, აბზაცი 9.

² აზერბაიჯანის კონსტიტუცია, მუხლი 127, აბზაცი 10.

³ აზერბაიჯანის კონსტიტუციის 128-ე მუხლის 1-ლი და მე-2 აბზაციების მიხედვით.

⁴ სტატისტიკა: საჯარო სამსახურის შესახებ აქ მოყვანილმა სტატისტიკურმა მონაცემებმა ნათელი უნდა მოჰფინოს გერმანიასთან დაკავშირებულ ზოგიერთ საკითხს. ზუსტად 4,5 მილ. ადამიანიდან, რომლებიც დასაქმებული არიან ფედერაციის, მიწებისა და მუნიციპალიტეტების საჯარო სექტორში, 1,6 მილ. მოხელეა, 2,6 მილ. მუშაობს შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე და 185.7000 კაცი ხელშეკრულებით ან პროფესიით ჯარისკაცია (სამხედრო მოსამსახურეები არიან). თუ ავიღებთ მხოლოდ ფედერალურ დონეს, აქ დასაქმებულია სულ 457.264 ადამიანი, აქედან 129.556 მოხელე და მოსამართლეა, 185.725 ხელშეკრულებით ან პროფესიით ჯარისკაცია. ხელშეკრულების საფუძველზე ფედერაციის დონეზე დასაქმ-

I. სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი და კონსტიტუციის უზენაესობა საშტატო მოხელეებისათვის

გერმანული თვალთახედვიდან, სამართლებრივ-სახელმწიფოებრივი პრინციპი და საშტატო მოხელეები მჭიდრო და განუყოფელ კავშირს ქმნიან¹. სახელმწიფო მოხელის საქმეა, უზრუნველყოს სამართლებრივ-სახელმწიფოებრივი სტრუქტურის ფუნქციონირება და აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან სამართლებრივ-სახელმწიფოებრივი პრინციპების უზენაესობა.

1. შინაგანი და გარეგანი დამოუკიდებლობა

პრინციპში არსებობს ურთიერთკავშირი სამართლებრივ სახელმწიფოს უზრუნველყოფასა და დამოუკიდებელ სახელმწიფო მოხელეთა ინსტიტუტის ჩამოყალიბებას შორის². აუცილებელია უზრუნველყოფილ იქნეს მათი შინაგანი და გარეგანი დამოუკიდებლობა³, ვინც, თავის მხრივ, სამართლებრივი სახელმწიფოს და მისი სტრუქტურების ფუნქციონირების უნარიანობის უზრუნველყოფაზე არის პასუხისმგებელი. პირადად მხოლოდ მოხელეს ეკისრება სრული პასუხისმგებლობა მისი ქმედებების არამართლზომიერების გამო და მას ევალება, დაუყოვნებლივ განაცხადოს

ბულია 141.983 ადამიანი. უშუალოდ ფედერალურ სამსახურში სულ 291.876 კაცი იმყოფება; მათგან 36.571 სახელმწიფო მოხელე და მოსამართლეა, 255.305 ადამიანი მუშაობს ხელშეკრულების საფუძველზე. ფედერაციის დონეზე დასაქმებული 271.500 ადამიანიდან (ჯარისკაცების ჩათვლელად) 96.500 ქალი და 175.000 კაცია. ნახევარ განაკვეთზე მუშაობს ზუსტად 51.500 ადამიანი და მთელ განაკვეთზე კი 220.000 ადამიანი [2].

(<http://www.bmi.bund.de/DE/Themen/OeffentlDienstVerwaltung/OeffentlicherDienst/ZahlenUndFakten>)

- ¹ შდრ. Carl Hermann Ule, Die Bedeutung der Beamtenversorgung für die Erhaltung des Berufsbeamtentums, Köln და სხვა, 1973, გვ. 11 და შემდეგი.
- ² Ule, როგორც მითითებულია, გვ. 13.
- ³ Ule, როგორც მითითებულია, გვ. 11.

ადმინისტრაციული წესით (მის უშუალო ხელმძღვანელთან), თუ ეჭვი გაუჩნდა სამსახურეობრივი განკარგულებების მართლზომიერების მიმართ. მოხელეზე დაკისრებული ეს პირადი პასუხისმგებლობა მისი ქმედებების მართლზომიერების საკითხთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი შემზღუდველი პირობაა მის მიერ ბრძანების შესრულების ვალდებულების ფარგლების გათვალისწინებისათვის; ამასთან, შეუთავსებელია მოხელის მხრიდან ბრძანების უპირობო შესრულების ვალდებულება¹, ვინაიდან მოხელე თავის ქმედებებზე მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს სრულად პირადად პასუხისმგებელი, თუ მისი სტატუსი უზრუნველყოფს მის სრულ შინაგან და გარეგან დამოუკიდებლობას მისი უფროსისაგან და, კერძოდ, უწყების ხელმძღვანელის – პოლიტიკურად პასუხისმგებელი მინისტრისაგან. ასეთმა სტატუსმა საჯარო სამსახურის მოსამსახურე უნდა დაიცვას თავისი სამართლებრივი სტატუსის დაკარგვისა და სხვა სახის ზარალისაგან. ეს კი სავალდებულოდ ნიშნავს სამართლებრივი და ეკონომიკური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფას და ამასთანავე: სამართლებრივი რეალიზაციის უნარის უზრუნველყოფას სტაბილური და მოხელის არსებობისათვის აუცილებელი, დამსაქმებლისაგან დამოუკიდებელი ეკონომიკური ჩარჩოპირობების უზრუნველყოფას და ეკონომიკური სარსებო ჩარჩოს უზრუნველყოფას კანონის საფუძველზე – მიუკერძოებლობის (საპარლამენტო-საკანონმდებლო) უზრუნველყოფა.

2. სტაბილიზაციის ფუნქცია

მიზანი არის საჯარო მოსამსახურეთა (დასაქმების თვალსაზრისით და სამართლებრივად დაცული) სტაბილურობა წყვეტილობის საპირწონედ, საპარლამენტო სისტემის კონსტიტუციური პრინციპი: ცვალებადი საპარლამენტო უმრავლესობებისა და მთავრობების ცვლილების გამანონასნორებელი მოვლენა². ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, სახელმწიფო მოხელეთა ამოცა-

¹ Ule, როგორც მითითებულია, გვ. 9.

² Merten, HGR V, § 114 ველი 51.

ნაა, უზრუნველყონ ცოდნაზე, სამსახურეობრივი მოვალეობების პროფესიულად და მოვალეობის ლოიალურად შესრულებაზე დაფუძნებული სტაბილური ადმინისტრაცია და ამით იქცნენ გამანონასნორებელ ფაქტორად იმ პოლიტიკური ძალების მიმართ, რომლებიც სახელმწიფო ცხოვრებას აყალიბებენ. სახელმწიფო ფუნქციების (სამართლებრივ-სახელმწიფოებრივობის პრინციპიდან გამომდინარე) გამიჯვნას ხელისუფლებების დანაწილების სისტემაში მოსდევს გარკვეული შედეგები ორგანიზაციისა და პერსონალისათვის: მოსამართლეთა დამოუკიდებლობა და თანამდებობისა და მანდატის შეუთავსებლობა ამას აშრაკას ხდის.

სამართლებრივ-სახელმწიფოებრივად რეგულირება და ცალკეულ საქმეზე გადაწყვეტილების მიღება ერთმანეთთან დაკავშირებულია, როგორც მითითება აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებებისადმი. სამართლებრივ სახელმწიფოში მოხელეები დაცული არიან (არსებითად) პარლამენტსა და (საპარლამენტო უმრავლესობის მიერ დაკომპლექტებული) ხელისუფლების შეცვლის შემთხვევაში; პოლიტიკური უმრავლესობის შეცვლა არ შეიძლება ინვევდეს თანამდებობრივ ცვლილებებს ადმინისტრაციასა და მართლმსაჯულებაში.

ევალებათ რა ადმინისტრაციასა და სახელმწიფო მოხელეებს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის დაცვა (ძირითადი კანონი მუხლი 20), სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი იცავს, თავის მხრივ, ადმინისტრაციის, სულ მცირე, ძირითად შემადგენლობას. გერმანული გაგებით, ეს ძირითადი შემადგენლობა ცვლილებების მიმართ მყარია, მონაწილეობს რა თვითონ მის მიმართ ძირითადი კანონის უცვლელობის გარანტიის უზრუნველყოფაში (ძირითადი კანონი, მუხლი 79 მე-3 აბზაცი), ვინაიდან სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი (ძკ. მუხლი 20) უნდა შეიცავდეს ინსტიტუციონალურ მთავარ გარანტიას, რომელიც აუცილებელ ინსტიტუციონალურ და საპროცესო-სამართლებრივ უზრუნველყოფას, ფუნდამენტური კონსტიტუციური პრინციპების შენარჩუნების მიზნით, იცავს ცვლილებებისა

და გაუქმებისაგან¹. აქ მოიაზრება მოხელეების ელემენტარული ბირთვი იმდენად, რამდენადაც იგი აუცილებელია კანონიერებისა და ძალაუფლების დანაწილებისათვის. ამ ბირთვის განსაზღვრა, სხვადასხვა ნიუანსების გათვალისწინებით, არც ისე ადვილია.

II. ორმხრივი კავშირი მომსახურებასა და ერთგულებას შორის

1. კონსტიტუციური საფუძველი

ძირითადი კანონი, გერმანიის ფედერაციის კონსტიტუცია, 33-ე მუხლში² განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს იმ მოლოდინებს, რომლებიც დაკავშირებულია საჯარო სამსახურთან. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს კონსტიტუციის ამ მუხლის მე-2 აბზაცი, რომლის თანახმადაც ყოველ გერმანელს მისი ვარგისიანობის, კვალიფიკაციის, უნარებისა და პროფესიული შესაძლებლობების შესაბამისად თანაბრად უნდა მიუწვდებოდეს ხელი ნებისმიერ სახელმწიფო თანამდებობაზე.

კვალიფიკაცია, უნარები და პროფესიული შესაძლებლობები – ეს ტრიადა აღნიშნავს, ხელმისაწვდომობისა და კარიერული წინსვლის თვალსაზრისით, იმ კრიტერიუმებს, რომლებიც, შესაძლოა, საჯარო მოსამსახურეების, სახელმწიფო მოხელეებისა და ხელშეკრულებით დასაქმებული სახელმწიფო მოხელეებისათვის ერთადერთ განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენდნენ.

სხვა ორიენტაციას იძლევა 33-ე მუხლის მე-4 აბზაცი: „სუვერენულ-სამართლებრივი უფლებამოსილებების, როგორც მუდმივი ფუნქციის, განხორციელება უნდა ეკისრებოდეს, როგორც წესი, საჯარო მოსამსახურეებს, რომლებიც საჯარო-სამართლებრივ სამსახურეობრივსა და ერთგულების ურთიერთობაში იმყოფებიან“. ამ პირობით ლეგიტიმირებულია განსაკუთრებული სუვერენული (სააღსრულებო) ფუნქცია და იმავდროულად

¹ Merten, როგორც მითითებულია, ველი 55.

² იხ. შინაარსობრივად მსგავსი, შესაბამისად, დამატებების შემცველი [ფედერალური] მინების კონსტიტუციები.

გამოხატულია ურთიერთნდობის¹ ურთიერთობა, რომელიც ერთ-მანეთთან აკავშირებს სახელმწიფო მოხელეებსა და მათ დამსაქმებლებს (ფედერაცია, მინები, მუნიციპალიტეტები და სახელმწიფო ადმინისტრაციის სხვა სუბიექტები).

ეს კონსტიტუციური ნორმა, მიჩნეული სახელმწიფო მოხელეობისათვის საფუძვლად, მტკიცდება და ფართოვდება მე-5 აბზაცის შინაარსით, რომ საჯარო სამსახურის სამართალი დარეგულირებულ და განვითარებულ უნდა იქნეს სახელმწიფო მოხელეების მიმართ დასახელებული პრინციპების გათვალისწინებით.

2. სტატუს-ჯგუფები

ამით გამოხატულია საერთოდ საჯარო სამსახურისადმი ფუნქციაზე ორიენტირებული პირობა, რომ პროფესიული მოხელეებისათვის სტატუსთან დაკავშირებულ და ცალ-ცალკე კონკრეტულ შემთხვევებში საჯარო მოხელეებსა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობის საფუძვლებს ქმნის საპარლამენტო კანონმდებლობა. ხელისუფლების დანაწილების სისტემის ფარგლებში საჯარო მოხელეები ექვემდებარებიან საპარლამენტო კონტროლს. ერთ მხარესაა, საჯარო მოხელეების კანონზე დაფუძნებული მართვა, მეორე მხარეს კი სატარიფო კოლექტიური ხელშეკრულებების საფუძველზე აგებული და კერძო-სამართლებრივად შრომითი ხელშეკრულებებით (სამუშაოზე აყვანის ხელშეკრულებები) საჯარო სამსახურთან დაკავშირებული თანამშრომლები („დასაქმებულთა“ სახით).

თვითშეგნების, სამსახურებრივი უფლებამოსილებების გაგებისა და სამსახურებრივი კონცეფციისათვის, საარსებო პირობებისა და ბოლოს, მათთან დაკავშირებული კორუფციის პრევენცი-

¹ შდრ. *Hellmuth Günther*, Das öffentlich-rechtliche Dienst- und Treueverhältnis dირითადი კანონის (GG) 33-ე მუხლის მე-4 აბზაცის თვალსაზრისით, გერმანიის საჯარო სამსახური (DÖV) 2012, გვ. 678 და შემდეგი, იქ აგრეთვე გვ. 682 და შემდეგი. – „Konnex-თან დაკავშირებით – სამართლებრივ-სახელმწიფოებრივ პრინციპთან დაკავშირებით.

ისათვის, ანაზღაურების საკითხი ცენტრალურ როლს ასრულებს: მოხელეთა ალიმენტაციას ესაჭიროება პარლამენტის მიერ მიღებული საკანონმდებლო საფუძველი; ამ საკითხების დაწვრილებით რეგულირებას – მაგალითად, ხელფასების მისადაგება ან ცვლილებები დანამატების სისტემაში – მიმდინარეობს პარლამენტის მიერ მიღებული კანონმდებლობის საფუძველზე. ამით ცვლილებები – როგორცაა ხელფასების ზრდა – იმპერატიულად დაკავშირებულია საპარლამენტო დისკურსთან და მისდევენ ხანგრძლივ საკანონმდებლო პროცედურებს. ამის გათვალისწინებით ლოგიკურია მოხელეებისათვის გაფიცვის უფლების აკრძალვა, მაგრამ ამ შემთხვევაში ადგილი არ აქვს სატარიფო ხელშეკრულების მხარეებს შორის სატარიფო/კოლექტიური ხელშეკრულებების შესახებ მოლაპარაკებებს.

ფედერაციის, ფედერალური მინებისა და მუნიციპალიტეტების საჯარო სექტორში დასაქმებული არასაჯარო მოხელეებისათვის ტარდება კოლექტიურ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული დისკუსიები, რომლებიც ხშირად გადადის გამაფრთხილებელ გაფიცვებსა და ბოლოს გაფიცვებშიც კი; კოლექტიური ხელშეკრულების მხარე, ერთი მხრივ, არიან ფედერაციის ან ფედერალური მინების შინაგან საქმეთა მინისტრები, აგრეთვე მუნიციპალიტეტების დამსაქმებლები, მეორე მხრივ ის პროფკავშირები (უფრო მცირე ან ტრადიციული პროფესიული კავშირები, როგორცაა რკინიგზელთა, მატარებლების მემანქანეთა) და, უპირველეს ყოვლისა, პროფესიულ კავშირთა გაერთიანებები (კერძოდ „verdi“ როგორც მთელი რიგი პროფესიული კავშირების მეკავშირე), რომელთა მეშვეობითაც წარმოდგენილია საჯარო სამსახურის/სექტორის არასამოხელეო პერსონალი.

ქვემოთ მოყვანილი, საყოველთაოდ ცნობილი, სქემა¹ ნათელყოფს ორივე სტატუს-ჯგუფს შორის არსებით განსხვავებებს, თუმცა ძალზე გამარტივებული ფორმით.

¹ შდრ. მაგალითად, Fritjof Wagner, *Beamtenrecht*, Heidelberg 92006, S. 5 – წარმოდგენილი გადამუშავებული სახით.

სტატუსი	მოხელეები	მოსამსახურეები
1. სამართლებრივი ბუნება	სამსახურებრივი (ორმხრივი) ურთიერთობა (მოხელისა სახელმწიფოს მიმართ) და ზრუნვა (სახელმწიფოს მხრიდან მოხელის მიმართ)	სამსახურებრივი და შრომითი ურთიერთობა კერძო სამართლის ფარგლებში
2. ურთიერთობის წარმოშობა	თანამდებობაზე დანიშვნა ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე; განთავსება საშტატო ერთეულში	შრომითი ხელშეკრულების დადება
3. ურთიერთობის შეწყვეტა	ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე: დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლება; მოხელის სტატუსის დაკარგვა; სამსახურიდან ჩამოშორება; პენსიაზე გასვლა	გათავისუფლება; დროებითი შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლა; გათავისუფლება საკუთარი სურვილით
4. პირობები	საჯარო-სამართლებრივი პირობები სამოხელეო სამართლის შესაბამისად	ხელშეკრულება

5. სამართლებრივი საფუძვლები	კონსტიტუცია; საჯარო სამსახურის კანონები; სხვა ფორმალური კანონები; მუნიციპალური სამართალი; სამართლებრივი/ ნორმატიული აქტები; წესდებები	სამოქალაქო კოდექსი (BGB); შრომითი სამართალი; სატარიფო/ კოლექტიური ხელშეკრულებები
6. სამართლებრივი დაცვის მექანიზმები	ადმინისტრაციული სასამართლოები	შრომითი დავების განმხილველი სასამართლოები
7. შრომის ანაზღაურება	ალიმენტირების პრინციპი (ხელფასი, თანამდებობის ადეკვატური სარგო)	ანაზღაურების პრინციპი (შესრულებული სამუშაოს მიხედვით)

სტატუს-ჯგუფებს იცნობს აგრეთვე საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონი, ვინაიდან მე-5 მუხლში დასახელებული არიან პოლიტიკური უმაღლესი თანამდებობის პირები, მოხელეები, დამხმარე მოსამსახურეები და საშტატო განრიგში აღურიცხავი მოსამსახურეები. ამ კანონის მიხედვით მოხელეები არიან პირები, რომლებიც მე-6 მუხლის 1-ლი აბზაცის მიხედვით საშტატო ერთეულების გეგმით გათვალისწინებულ თანამდებობას იკავებენ დანიშვნის ან არჩევის გზით, მაშინ როცა დამხმარე მოსამსახურეები მე-7 მუხლის მიხედვით ტექნიკური მუშაკები არიან, რომლებიც შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე იკავებენ საშტატო გეგმით გათვალისწინებულ დამხმარე მოსამსახურის თანამდებობას.

II. ფუნქციური დათქმა

გერმანულ სამოხელეო სამართალში კონსტიტუციური საფუძველი ძირითადი ფუნქციური დათქმის გამოსახატად მოცემულია ძირითადი კანონის 33-ე მუხლის მე-4 აბზაცში: „სუვერენული უფლებებიდან გამომდინარე, უფლებამოსილებების, როგორც უცვლელი ფუნქციის, განხორციელება, უნდა ეკისრებოდეს საჯარო სამსახურის მოსამსახურეებს, რომლებიც იმყოფებიან სახელმწიფოსთან მსახურებისა და ერთგულების საჯარო-სამართლებრივ ურთიერთობაში“. ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს სასამართლო პრაქტიკაში ფუნქციურ დათქმას თავისი მყარი ადგილი უკავია, გარკვეულწილად პრივილეგიის მიმნიჭებელი, მაგრამ მაინც შეზღუდული ფუნქციით: სწორედ მოქალაქის ინტერესიდან გამომდინარე საჭიროა ფუნქციური დათქმის თვალსაზრისით განსაკუთრებული მოთხოვნები წაეყენოს საჯარო მოხელეს მის მიერ თავისი ფუნქციის ხარისრიანად შესრულების კუთხით; სწორედ ამიტომ ძირითადი კანონის 33-ე მუხლის მე-4 აბზაცით დადგენილი მოთხოვნების უზრუნველსაყოფად ის ფუნქციები განიხილება, რომელთა განხორციელებაც საჯარო მოხელეებისაგან ითხოვს განსაკუთრებული საიმედოობის, გამძლეობისა და კანონის უზენაესობის გარანტიებს¹.

შტატგარეშე, ანუ ხელშეკრულების საფუძველზე დასაქმებული სახელმწიფო მოხელეების შემთხვევაში, რომლებიც შრომითი ხელშეკრულებით არიან სახელმწიფო სამსახურთან დაკავშირებული, ფედერალური შრომითი სასამართლოს (BAG) სტილში ძირითადი კანონის 33-ე მუხლის მე-4 აბზაცის მიხედვით სუვერენული უფლებამოსილებების, როგორც მუდმივი ფუნქციის, განხორციელება ეკისრება, როგორც წესი და მხოლოდ როგორც

¹ ფედ.საკ.სას. 2007წლის 19 სექტემბერი (2 BvF 3/02), იურის, სადოკუმენტაციო სისტემა, იქ ველი 48.

ნესი, საჯარო სამსახურის წევრებს, რომლებიც სახელმწიფოს-თან მსახურებისა და ერთგულების საჯარო-სამართლებრივ ურთიერთობაში იმყოფებიან. ამით კონსტიტუციური გზით იქმნება შესაძლებლობა, რომ სახელმწიფომ სუვერენული უფლებამოსილებების განხორციელება დაავალოს არა მარტო საჯარო შტატის მოხელეებს, არამედ აგრეთვე მოსამსახურეებსაც. სავალდებულო არ არის, რომ მან მასთან დასაქმებული პირების სამართლებრივი სტატუსის ფორმირებისას თუნდაც მაშინაც, როცა სუვერენული უფლებების განხორციელება ხდება, გამოიყენოს მსახურებისა და ერთგულების საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობის მარეგულირებელი ფორმები, კერძოდ სამოხელეო სამსახურებრივი ურთიერთობები. ეს კონსტიტუციით გათვალისწინებული შესაძლებლობები გამორიცხავენ, რომ სამოხელეო სამართლის ეს წესები, რომლებიც გამომდინარეობს სწორედ სამოხელეო სამართლის სტრუქტურული პრინციპებიდან, გამოყენებულ იქნეს კონტროლის მასშტაბად საჯარო სამსახურში დასაქმებული მოსამსახურეების – თუნდაც ისინი ახორციელებდნენ სამოხელეო საქმიანობას – შრომითი პირობებისათვის¹.

ფუნქციური დათქმით ხდება განსაკუთრებული სუვერენული (სააღსრულებო) ამოცანის ლეგიტიმაცია და განსაკუთრებული ორმხრივი მსახურება-ერთგულების ურთიერთობის გამოხატვა, რაც ერთმანეთთან აკავშირებს საჯარო მოხელეებსა და უწყების ხელმძღვანელს². ყოველივე არ გამორიცხავს, რომ უფრო დაზუსტებით აღწერილ და განსაზღვრულ იქნეს ის ფუნქციები,

¹ ფედ. შრომის კოდექსი (BAG), 2012 წლის 11 დეკემბერი, (3 AZR 611/10), იურის, ველი 40.

² იხ. ამასთან დაკავშირებით Merten, როგორც მითითებულია, ველი 57 და შემდეგი; პერსპექტივებთან დაკავშირებით შდრ. Battis, Öffentlicher Dienst, ნიგნში: FS P. Kirchhof 2013, § 74, ველი 3 და შემდეგი.

რომელზედაც შესაძლებელია გავრცელდეს ფუნქციური დათქმა¹.

¹ ფუნქციური დათქმის შემდგომი განვითარებისათვის შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს ევროპული სასამართლოს (EuGH) სასამართლო პრაქტიკაც, იხ. 1986 წლის 3 ივლისის გადაწყვეტილება Rs. 66/85 (Deborah Lawrie-Blum ./ Land Baden-Württemberg), Slg. 1986, გვ. 2121 და შემდეგი. იქ საქმე ეხებოდა დასაქმებული პირის ცნების გარკვევის საკითხს ევროკავშირის ფარგლებში დასაქმებული პირების მიმოსვლის უფლების თვალსაზრისით ((ამჟამად: მუხლი 45 AEUV; წინათ მუხლი 48 EWGV/EGV); გერმანიაში მოღვაწე ერთ-ერთი ბრიტანელი რეფერენდარი, რომელიც ინსტრუქციის შესაბამისად და სასკოლო ადმინისტრაციის ზედამხედველობის ქვეშ მასწავლებლის კვალიფიკაციის მიღების მიზნით მოსამზადებელ პრაქტიკას გადიოდა და რომლის დროსაც იგი გაკვეთილებს ატარებდა და გასამრჯელოსაც იღებდა, დასაქმების სამართლებრივი ბუნების მიუხედავად განხილულ უნდა ყოფილიყო, როგორც დასაქმებული პირი/სამუშაოს ამღები თანახმად EWG-ხელშეკრულების 48-ე მუხლის 1-ლი აბზაციისა. მასზე არ გავრცელდა საგამონაკლისო ნორმა ევროკავშირის წევრ-სახელმწიფოთა სასარგებლოდ საჯარო სექტორში დასაქმების შემთხვევისათვის (მუხლი 48 აბზაცი 4 EWGV/EGV, ამჟამად მუხლი 45 აბზაცი 4 AEUV), ვინაიდან ეს გამონაკლისი თავისუფალი მიმოსვლის უფლების შესახებ ვრცელდება მხოლოდ იმ სამუშაო ადგილებზე, რომლებიც ითვალისწინებენ პირდაპირ ან არაპირდაპირ მონაწილეობას სუვერენული უფლებამოსილებების განხორციელებაში და ისეთი ამოცანების განხორციელებას იწვევენ, რომლებიც მიმართულია საზოგადო სახელმწიფო ინტერესების ან სხვა საჯარო კოლექტიურ ორგანოთა დაცვაზე და რომლებიც ამის გამო ითვალისწინებენ განსაკუთრებულ ურთიერთობას მოცემული მოსამსახურის მხრიდან სახელმწიფოს მიმართ და აგრეთვე უფლება-მოვალეობების ორმხრივობას, რაც საფუძვლად უდევს მოქალაქეობრიობასთან დაკავშირებულ კავშირს. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ ის სამუშაო ადგილები, რომლებიც მათთან დაკავშირებული ამოცანებისა და პასუხისმგებლობებიდან გამომდინარე ადმინისტრაციის სპეციფიკური საქმიანობის ნიშნებს ავლენენ, რასაც არ აქვს ადგილი მასწავლებლად

III. მართვა პროფესიული მოხელეებისათვის დადგენილი პრინციპებით

გერმანული საჯარო სამსახურის შინაარსიანი და ხარისხიანი მართვისათვის მოხელეთა მართვის შესახებ ტრადიციული პრინციპები¹ სახელმძღვანელო მითითებებსა და ორიენტირებს იძლევა; ისინი შეიძლება საჯარო სამსახურის ნიმუშის ელემენტებიც კი იყოს, ყოველ შემთხვევაში მოხელეთათვის მაინც. ეს ვაიმარის კონსტიტუციიდან გამომდებელი პრინციპები დიფერენციაციისა და ზემოქმედების ინტენსივობის თვალსაზრისით სადავოა. ისინი ზოგადი სამართლებრივი პრინციპების სახით ხელშესახებია და არგუმენტების სახით ხშირად გამოიყენება სასამართლო პრაქტიკაში და გვხვდება ფედერაციისა და ლანდების საჯარო მოხელეთა შესახებ კანონებში.

თავისი აზრი ტრადიციული პრინციპების, როგორც საკონსტიტუციო ნორმების, მნიშვნელობის შესახებ, პირველმა გამოხატა საკონსტიტუციო სასამართლომ: ძირითადი კანონის 33-ე მუხლის მე-5 აბზაცი არის პირდაპირ მოქმედი სამართალი და შეიცავს მონესრიგების განკარგულებას კანონმდებლისადმი და მოხელეობის ინსტიტუციონალურ გარანტიას. ამას გარდა, ნორმა ამკვიდრებს მოხელეთა ძირითად უფლებათა თანასწორ უფლებას, თუ ტრადიციული პრინციპი მის პირად სამართლებრივ სტატუსს შეეხება. მოხელეთა შესახებ ტრადიციულ პრინციპებში ძირითადი კანონის 33-ე მუხლის მე-5 აბზაცის თვალსაზრისით, იგულისხმება სტრუქტურული პრინციპების ბირთვი, რომლებიც ზოგადად და საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში, ყოველ შემთხვევაში ვაიმარის კონსტიტუციის პერიოდში, სავალდებულოდ იყო მიჩნეული და

მოსამზადებელი პრაქტიკის გავლის შემთხვევაში. აქ ხშირად ჩნდება გამიჯვნის პრობლემასთან დაკავშირებული რთული საკითხები, რომლებზედაც EuGH-საც მხოლოდ ზოგადი პასუხების მოცემა შეუძლია, მაგრამ რომლებიც საეჭვოს ხდიან ხოლმე ფუნქციურ დათქმას.

¹ ძირითადი კანონის 33-ე მუხლის მე-5 აბზაცი.

გაითვალისწინებოდა. მათ რიცხვს განეკუთვნება მატერიალური უზრუნველყოფის ვალდებულება და ალიმენტაციის პრინციპი¹.

ამ პრინციპების მიმოხილვაში ნათლად იკვეთება მათი მრავალფეროვნება, მათი განსხვავებული მნიშვნელობა და განსხვავებული დიაპაზონი:

- მოხელესა და სახელმწიფოს შორის საჯარო-სამართლებრივი და ერთგულების ურთიერთობა (ერგულება და მორჩილება);
- პროფესიისათვის სრულად თავის გადადება;
- პატივისცემისა და ნდობის ღირსი საქციელი (სამსახურსა და მის გარეთ);
- სამსახურებრივი საიდუმლოების დაცვა (აქტიური სამსახურის დასრულების შემდეგაც);
- ალიმენტაცია (მოხელეთათვის თანამდებობის ადეკვატური ხელფასი და მისი და მისი ოჯახის სოციალური უზრუნველყოფა);
- უვადობის (შრომითი ურთიერთობის უწყვეტობის) პრინციპი;
- კარიერული წინსვლის პრინციპი/კარიერის პრინციპი;
- მიღწევების პრინციპი (სამსახურის დაწყებისა და დაწინაურებისას);
- თანამდებობის მიუკერძოებლად განხორციელება (პარტიულ-პოლიტიკური ნეიტრალიტეტი/მიუკერძოებლობა);
- მოხელის გაფიცვაში მონაწილეობის დაუშვებლობა;
- დამსაქმებლის მიერ მატერიალური უზრუნველყოფის ვალდებულება (ერთგულების მოვალეობისადმი პედანტური დამოკიდებულება);
- უფლება, იყოს მოხელეთა ინტერესების წარმომადგენელი (პროფკავშირებსა ან პროფესიულ გაერთიანებებში);
- პირადი საქმის გაცნობის უფლება (პირველ ყოვლისა, შესაძლებლობა მოსმენილ იქნეს);
- გასაჩივრებისა და სასამართლო გზით უფლების დაცვის შე-

¹ ფედ.საკ.სას. (BVerfG), 2002 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილება (AZ: 2 BvR 1053/98) –იურის ველი 27.

საძლებლობა (როგორც ხელისუფლების დანაწილების პრინციპის გამოხატულება).

ერთად აღებული მართვის ეს პრინციპები აყალიბებენ მოხელეთა დამოკიდებულებას სამსახურისადმი და კერძოდ კი, მათ საქციელსა და ქცევას; ეს სტანდარტები, სტრუქტურული თვალსაზრისით, მთავარი პირობებია. უვადო სამსახურებრივი ურთიერთობა (ალიმენტირებული საპენსიო ფაზის ჩათვლით), მიუკერძოებლობა სამსახურისადმი დამოკიდებულებისა და ასევე მოხელის მიერ მიღებული ოფიციალური გადაწყვეტილებებისადმი ისევე განეკუთვნება ამ პრინციპებს, როგორც – vice versa – უწყების ხელმძღვანელის მხრიდან ზრუნვისა და ალიმენტაციის ვალდებულება.

IV. საჯარო სამსახურის პრინციპები საქართველოს რესპუბლიკაში

1. ერთგულების ვალდებულება

საქართველოს საჯარო სამსახურის დამახასიათებელი ნიშნები ვლინდება – კონსტიტუციური პრინციპების გათვალისწინებითა და უბრალო კანონის ფორმით ჩამოყალიბებული – ძირითადი პრინციპების კატალოგში, რომლებიც მოქცეულია სამსახურებრივი და ურთიერთერთგულების ურთიერთობის ფარგლებში, კერძოდ კი საქართველოს საჯარო სამსახურის შესახებ კანონის მე-13 მუხლში¹; ამ მუხლის თანახმად საჯარო სამსახურის პრინციპებს, პირველ ყოვლისა, ზოგადად, განეკუთვნება „საქართველოს სახელმწიფოსა და ხალხისადმი ერთგულება“, რაც შემდგომ კონკრეტდება ფორმულირებებით „საქართველოს კონსტიტუციისა და კანონის უზენაესობის დაცვა მოსამსახურეთა მიერ თანამდებობრივი უფლება-მოვალეობების განხორციელებისას“ და „ადამიანის და

¹ აქ 1.11.2008-ის მდგომარეობით, კრებულში: Auswahl Georgischer Gesetze, გამომც. ქეთევან კიდურაძე/გვანცა მახათაძე, გტოს (GTZ), თბილისი, 2009.

მოქალაქის უფლებების, თავისუფლებებისა და ღირსების დაცვა“. შემდეგ ფორმულირებულია ხელმისაწვდომობის საკითხი, გერმანიასთან მიმართებაში გერმანიის ძირითადი კანონის 33-ე მუხლის მე-2 აბზაცის საფუძველზე, თუმცა აქ არა კონსტიტუციის, არამედ მხოლოდ კანონის დონეზე, რომ გარანტირებულია „საქართველოს მოქალაქეთათვის საჯარო სამსახურის თანაბარი ხელმისაწვდომობა მათი უნარისა და პროფესიული მომზადების შესაბამისად“¹.

მოითხოვება „მოსამსახურეთა პროფესიონალიზმი და კომპეტენტურობა“, „საქვეყნობა“, „საჯარო სამსახურის უპარტიოება და საერო ხასიათი“², აგრეთვე – სანაცვლოდ – „მოსამსახურეთა კადრების სტაბილურობა“ და „მოსამსახურის ეკონომიკური, სოციალური და სამართლებრივი დაცვა“³, როგორც ვალდებულება სახელმწიფოს მხრიდან.

2. მიუკერძოებლობა

განსაკუთრებული ყურადღებაა აქ გამახვილებული – მუხლი 13 ქვეპუნქტი „ზ“ – საჯარო სამსახურის მიუკერძოებლობაზე, ერთი მხრივ, და მოსამსახურეთა კადრების სტაბილურობაზე, მეორე მხრივ; ორივე მოთხოვნა შეიძლება გამოყენებულ იქნას, რათა უზრუნველყოფილ იქნეს საჯარო სამსახურის – ფარდობითი – დამოუკიდებლობა, კონკრეტულად „ის შინაგანი და გარეგანი დამოუკიდებლობა პირადი უფროსისა და კერძოდ დაწესებულების ხელმძღვანელის, პოლიტიკურად პასუხისმგებელი მინისტრისათვის, ასევე საჯარო მოხელისათვის“⁴, რათა თითოეულმა მათგანმა პირადად აიღოს სრული პასუხისმგებლობა მისი ქმედების მართლ-

¹ მუხლი 13, ქვეპუნქტები ა)-დან დ)-მდე საქართველოს კანონში საჯარო სამსახურის შესახებ.

² მუხლი 13, ქვეპუნქტები ე)-დან ზ)-ს ჩათვლით.

³ მუხლი 13, თ-ი) ქვეპუნქტები.

⁴ საქართველოს კანონი საჯარო სამსახურის შესახებ, მე-6 მუხლი.

ზომიერებისათვის¹. საბოლოო ჯამში, ეს დამოუკიდებლობა უზრუნველყოფს მხოლოდ „სტატუსს“, რომელიც ყველა სამსახურებრივ კონფლიქტში, რომელშიც კი მოხელე შეიძლება აღმოჩნდეს, უზრუნველყოფს მის დაცვას სამართლებრივი სტატუსის დაკარგვის და სხვა სახის დისკრიმინაციისაგან².

3. სტატუსიდან გამომდინარე ფარგლები

ა) საშტატო ერთეულების გეგმა და სამსახურის ვადა

სახელმწიფო მოხელის სტატუსის უზრუნველყოფის მიზნით ჯერ გათვალისწინებულ უნდა იქნეს კავშირი სახელმწიფო ბიუჯეტთან, საშტატო ადგილების გეგმასთან³ და შემდეგ ადმინისტრაციულ ერთეულთან, რომელსაც საბიუჯეტო სტრუქტურის სახით საერთო ბიუჯეტში გამოყოფილი აქვს საკუთარი საბიუჯეტო სახსრები⁴. უზრუნველყოფის სხვა მომენტი დაკავშირებულია სამსახურის ვადასთან⁵, რის მიხედვითაც: „მოხელე სამსახურში (ვაკანტურ) თანამდებობაზე მიიღება განუსაზღვრელი ვადით“⁶. 23-ე მუხლის მე-2 აბზაცში ზუსტად აღნიშნული პირები, რომლებიც „სამსახურში განსაზღვრული ვადით მიიღებიან“, შემდეგში ზუსტად არიან აღწერილი, რის დროსაც მათი საქმიანო-

¹ Ule, როგორც მითითებულია, გვ. 9.

² Ule, როგორც მითითებულია, გვ. 9.

³ ეს გერმანულ სამოხელეო სამართალში შეესატყვისება „საშტატო ერთეულს“ და გამოიხატება იქ ოფიციალური სახელწოდებაში „შტატგარეშე პროფესორი“.

⁴ აქ შესაძლებელია გერმანულ „დამსაქმებელთან“ პარალელის გავლენა.

⁵ საქართველოს კანონი საჯარო სამსახურის შესახებ, მუხლი 23 1-ლი აბზაცი.

⁶ გარდა 23-ე მუხლის მე-2 აბზაცით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

ბის ფარგლები უშუალოდ ფუნქციურად და სარწმუნოდ არის დასაბუთებული, მაგალითად, „თანამდებობაზე დროებით არმყოფი მოხელის შემცვლელი – მოხელის სამსახურში გამოსვლამდე ან თანამდებობიდან განთავისუფლებამდე“¹ ან ის, ვინც არის „საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწე და მრჩეველი (ექსპერტი), საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი, საქართველოს პრეზიდენტის სამდივნოს მოხელე – არა უმეტეს საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადით“² – ეს ორი მაგალითი გამონაკლისებიდან.

ბ) სამსახურიდან განთავისუფლების საფუძვლები

სამართლებრივი დაცვის შესახებ გადწყვეტილებისათვის მნიშვნელოვანია განთავისუფლების საფუძვლები, რომლებიც თავმოყრილია საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის X თავში. ამის შესაბამისად მოქმედებს შემდეგი წესი: „მოხელე სამსახურიდან შეიძლება გაათავისუფლოს იმ პირმა ან დაწესებულებამ, რომელსაც მისი სამსახურში მიღების უფლება აქვს“³, თავდაპირველად შემდგომი შემზღუდავი ნორმების დამატების გარეშე, *actus contrarius*-ის თვალსაზრისით დანიშვნის აქტთან მიმართებაში⁴.

განთავისუფლების სხვა გარემოებების გათვალისწინებით გავდივართ ფუნქციური და პიროვნული წინაპირობების ფართო ფრონტზე: „სამსახურის ვადის გასვლასთან დაკავშირებითა“⁵ და „საკუთარი ინიციატივით სამსახურიდან გაათავისუფლების“⁶ – „თუ

¹ მუხლი 23 აბზაცი 2 ქვეპუნქტი ა).

² მუხლი 23 აბზაცი 2 ქვეპუნქტი გ) 28.4.2006, N2945-ის მდგომარეობით.

³ 93-ე მუხლის შესაბამისად.

⁴ შდრ. გერმანული სამოხელეო სამართლის პრინციპს საჯარო მოხელესა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობის განუსაზღვრელ ვადასთან დაკავშირებით.

⁵ მუხლი 94.

⁶ მუხლი 95.

მისი სამსახურში მიღების უფლების მქონე მოხელე ან დაწესებულება დააკმაყოფილებს მის წერილობით განცხადებას“ – გარდა ნახსენებია სამსახურიდან განთავისუფლება „დაწესებულების ლიკვიდაციის გამო“¹, რომლის შემთხვევაშიც ნათლად არის ნათქვამი, რომ „დაწესებულების არც უბრალო რეორგანიზაცია“² და „არც დაწესებულების დაქვემდებარების შეცვლა“³ არ წარმოადგენს მოხელის სამსახურიდან განთავისუფლების საფუძველს. „შტატების შემცირებისას მოხელის განთავისუფლება“ იძლევა საშუალებას, რომ „მოხელე გაათავისუფლონ სამსახურიდან დაწესებულების შტატებით გათვალისწინებულ თანამდებობათა შემცირებისას ან არაკანონიერად განთავისუფლებული მოხელის სამსახურში აღდგენისას“⁴. ყოველივე ეს, ერთად აღებული, საკმარის საყრდენს ქმნის ფუნქციურ-ორგანიზაციული დათქმისათვის განუსაზღვრელვადიანი პერსპექტივისათვის.

განთავისუფლების სხვა გარემოებები სამოხელეო-სამართლებრივი თვალსაზრისით ლოგიკურია და ჩვეულებრივი, როგორცაა, მაგალითად განთავისუფლება „მოხელის მიერ დაკავებულ თანამდებობასთან შეუთავსებლობის გამო“⁵, განთავისუფლება, როგორც დისციპლინური გადაცდომის შედეგი⁶, „განთავისუფლება ხანგრძლივი შრომისუუნარობის გამო“⁷, „განთავისუფლება ასაკის გამო“⁸, განთავისუფლება მოხელის სამხედრო ან ალტერნატიულ სამსახურში განწვევის გამო⁹, გამამტყუნებელი განაჩე-

¹ მუხლი 96 1-ლი აბზაცი.

² მუხლი 96, აბზაცი 2.

³ მუხლი 96, აბზაცი 4

⁴ მუხლი 97 1-ლი აბზაცი.

⁵ მუხლი 98.

⁶ მუხლი 99.

⁷ მუხლი 100.

⁸ მუხლი 101.

⁹ მუხლი 102.

ნის ძალაში შესვლის გამო¹, სამსახურში მიღებისას დადგენილი მოთხოვნების დარღვევისათვის², სხვა დაწესებულებაში გადაყვანის გამო³, მოქალაქეობის შეცვლის გამო⁴, გარდაცვალების გამო⁵.

პრინციპში ვადიან შრომით ურთიერთობაზეა გათვლილი დამატებითი წესის სახით ჩამოყალიბებული ვალდებულება, მოხელის მოსალოდნელი განთავისუფლების გაფრთხილების შესახებ: „მოხელეს სამსახურიდან განთავისუფლებამდე ერთი თვით ადრე უნდა ეცნობოს დაწესებულების ლიკვიდაციის, თანამდებობის შემცირების, ატესტაციის არადაამაკმაყოფილებელი შედეგების ან ასაკის გამო სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ“⁶. ეს მეტყველებს, პრინციპში, დროში განსაზღვრულ პერსპექტივაზე.

4. კარიერისა და სტიმულირების პრინციპი

კარიერის პრინციპი – პროფესიული თვალსაზრისით დამოუკიდებლობის ხელშემწყობი – საქართველოს კანონში საჯარო სამსახურის შესახებ უფრო მოუქნელი სისტემის სახით არის წარმოდგენილი და ნაკლებად კარიერული წინსვლის პერსპექტივაში, ვინაიდან კანონში მყარად არის გაწერილი „საჯარო სამსახურში თანამდებობათა რანგირება“ და კერძოდ, „კომპეტენციის განვრცობადობისა და უფლებამოსილების დონის მიხედვით“ გამოყოფილია თანამდებობები შემდეგი რანგების სახით: „მთავარი საჯარო თანამდებობა“, „წამყვანი“, „უფროსი“ და „უმცროსი საჯარო თანამდებობა“⁷; რანგების მიხედვით საჯარო

¹ მუხლი 103.

² მუხლი 104.

³ მუხლი 105.

⁴ მუხლი 106.

⁵ მუხლი 107.

⁶ მუხლი 108 1-ლი აბზაცი 1-ლი წინადადება.

⁷ მუხლი 69 1-ლი აბზაცი ა, ბ, გ, დ ქვეპუნქტები.

თანამდებობათა კონკრეტული ნუსხა განისაზღვრება საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი. რამდენადმე ხისტი სისტემა მოხელეთა „საკლასო ჩინების“ შესახებ ინფორმაციას უნდა იძლეოდეს იმის შესახებ, თუ რამდენად შეესაბამება „მოხელის პროფესიული დონე განსაზღვრულ თანამდებობასა და წაყენებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს“¹. მოხელისათვის საკლასო ჩინის მინიჭება ან ჩამორთმევა ხდება მოხელის მიერ გავლილი ატესტაციის შედეგების მიხედვით². მიუხედავად ამისა რანგირების პროცედურაც ეტყობა ძალზე სტატიკურია ფუნქციური სტრუქტურების თვალსაზრისით და თითქმის არ ტოვებს ადგილს დინამიკური პერსპექტივისათვის.

ამ ხისტ ბაზას დაეფუძნება მართვის დინამიკური, მოხელის უნარებსა და კარიერაზე ორიენტირებული, „წარმატებისათვის სტიმულის მიმცემი“ ელემენტები, რომლებიც შეიძლება ემსახუროს მოხელის აღიარებას „მის მიერ სამსახურებრივ მოვალეობათა სანიმუშო შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისათვის, განსაკუთრებულად რთული ან განსაკუთრებული მნიშვნელობის დავალების წარმატებით შესრულებისათვის“³; ასეთ შემთხვევებში გამოიყენება „მაღლობა“ ან „ერთდროული ფულადი დახმარება“; და ბოლოს გაითვალისწინება – ვითარების-და მიხედვით, წახალისების სხვა ფორმებთან ერთად – „თანამდებობრივი სარგოს თანრიგის ამაღლება“⁴ და, მაშასადამე,

¹ მუხლი 70 1-ლი აბზაცი: მაგალითად, მთავარ საჯარო თანამდებობასთან დაკავშირებით საჩინო კლასებია: „წამდვილი სახელმწიფო მრჩეველი, პირველი კლასის სახელმწიფო მრჩეველი“ (აბზ.2 ქვპ. ა), წამყვან საჯარო თანამდებობასთან დაკავშირებით: „პირველი, მეორე და მესამე კლასის სახელმწიფო მრჩეველი“ (აბზ. 2 ქვპ. ბ).

² მუხლი 71.

³ 74-ე მუხლის დ) ქვპ.-ის შესაბამისად.

⁴ ა)-დან დ) ქვპ.-მდე

კარიერული წინსვლის ელემენტი, თუნდაც არ იყოს იგი ჩართული ოფიციალურად დეკლარირებულ სისტემაში.

თავისებურებას წარმოადგენს წახალისების სისტემის ფარგლებში „წამხალისებელი“, როგორც დაწესებულების ხელმძღვანელის ერთ-ერთი ფუნქცია, როცა „თანამდებობის ნებისმიერ პირს ან დაწესებულებას“ შეუძლია „დასაბუთებული/მოტივირებული წინადადების წამოყენება წახალისების ამა თუ იმ ფორმის გამოყენების შესახებ“, იქნება ეს „ერთდროული ფულადი ჯილდო, ფასიანი საჩუქარი თუ თანამდებობრივი სარგოს თანრიგის ამაღლება“¹.

კარიერული წინსვლის/სამსახურებრივი დაწინაურების სისტემას უახლოვდება რეგულირების სამოხელეო სამართლებრივი წესი, რომელიც განსაზღვრავს „მოხელის სამსახურებრივი დაწინაურების უფლებას“², რომლის თანახმადაც „მოხელის უფრო მაღალ თანამდებობაზე წამოყენება შეუძლია იმ პირს ან დაწესებულებას, რომელსაც აქვს მისი თანამდებობაზე დაწინაურების უფლება“ და ამ პრინციპს მოსდევს „სამსახურებრივი დაწინაურების წესები“, რომელთა მიხედვითაც ის მოხელე შეიძლება დაწინაურდეს, „რომელიც დაკავებულ თანამდებობაზე მსახურობს სულ მცირე რაოდენობის თვე მანძილზე და საკონკურსო-საატესტაციო კომისიამ წარადგინა დასაწინაურებლად“³; მოხელის სამსახურებრივი დაწინაურებისათვის საჭიროა მისი წერილობითი თანხმობა⁴ და მოხელე არ შეიძლება სამსახურებრივად დაწინაურდეს, თუ მას შეეხო დისციპლინური პასუხისმგებლობა⁵.

¹ მუხლი 75 აბზ. 3.

² მუხლი 76.

³ 77-ე მუხლის 1-ლი აბზ.-ის მიხედვით.

⁴ მუხლი 77 აბზ. 2.

⁵ პასუხისმგებლობის პერიოდში მოქმედებს დაწინაურების აკრძალვა; მუხლი 77 აბზ. 4.

მომავალი კარიერისათვის მნიშვნელოვანია საკონკურსო-საატესტაციო წარმოება¹, რომელიც შეაფასებს, რამდენად შეესაბამება მოხელის „პროფესიული ჩვევები, კვალიფიკაცია, უნარები და პირადი თვისებები მის მიერ დაკავებული (ან დასაკავებელი) თანამდებობისადმი წაყენებულ მოთხოვნებს“. უშუალო შედეგი ატესტაციას მაშინ აქვს, როცა „ერთ თანამდებობაზე რამდენიმე დასაწინაურებელი მოხელეა წარდგენილი“ და მათგან ინიშნება ის მოხელე, რომელსაც ატესტაციის შედეგების მიხედვით უფრო მაღალი შეფასება აქვს².

V. სახელმწიფო მოხელის დამოუკიდებლობის საკითხი გერმანულ სახელმწიფო სამართალში

საშტატო მოხელეების მთავარი სიძლიერე მათ მრავალჯერადად უზრუნველყოფილ და აღიარებულ დამოუკიდებლობაშია, კანონებისა და სამართლისადმი მორჩილების ბაზაზე, სტატუსის (კონსტიტუციურ-) სამართლებრივი უზრუნველყოფის საფუძველზე, კარიერული წინსვლის, განათლებისა და კვალიფიკაციის ამალღების პრინციპის ბაზაზე, მთლიანობაში – პროფესიულ-ინტელექტუალური დამოუკიდებლობის ბაზაზე.

1. სამსახურებრივი დანინაურების რეფორმა

ა) სამსახურებრივი დანინაურების სტრუქტურების განახლება

სამსახურებრივი დანინაურების სტრუქტურების განახლება გერმანიაში ფედერაციის დონეზე და ფედერალურ ლანდებში სამოხელეო სამართლის განვითარების მთავარი მიზანია: რაინლანდ-პფალცში, მაგალითად, ფედერალიზმის ბოლო რეფორმის

¹ 81-ე მუხლის 1-ლი აბზაცის თვალსაზრისით; იხ. 2006 წლის 28 აპრილის ცვლილებების კანონი № 2945.

² მუხლი 77 აბზ. 3.

(თითქმის ერთი ათეულის მანძილზე დანერგვის პროცესში მყოფი) ფარგლებში მიღწეული უფლებამოსილებების გაზრდა იმისთვის უნდა იქნეს გამოყენებული, რომ სამსახურებრივი დაწინაურების სამართალი ჰორიზონტალურად სპეციალიზაციის მიხედვით დიფერენცირებული (სპეციალიზებული კარიერა) და ვერტიკალის დონეზე კი ეტაპებისა და ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით ახალი ერთიანი და ყოვლისმომცველი კარიერული წინსვლის სტრუქტურის დანერგვის გზით მისადაგებულ იქნეს მოსალოდნელ საზოგადოებრივ/სოციალურ და დემოგრაფიულ განვითარებებთან. ამ გზით უნდა გაფართოვდეს მოხელეთა კარიერულ წინსვლასთან დაკავშირებული შესაძლებლობების გამოყენება, შემცირდეს კარიერის ფორმალური ცვლა და იგი განხორციელდეს მხოლოდ საჭირო შემთხვევაში, ყოველივე ამასთან ერთად უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ადმინისტრაციის ფუნქციონირების უნარიანობა¹. ამით სისტემა ჩართულია სამსახურებრივი დაწინაურების მიმზიდველი მოდელის შექმნისათვის ფედერალურ მინებს შორის არსებული კონკურენციის პროცესში. დაკვირვება აჩვენებს, რომ განსხვავებები ფედერალურ მინებს შორის ნაკლებად მნიშვნელოვანია, ვიდრე ეს ერთი შეხედვით სჩანს, მაგრამ საჯარო სამსახურის ზოგიერთ სფეროში კარიერული ცვლა გავრცელებული პრაქტიკაა.

ბ) მოდულების პრინციპი და „სწავლა მთელი სიცოცხლის მანძილზე“

აღნიშვნის ღირსია მართვისა და პროფესიულ კომპეტენციებთან დაკავშირებული კვალიფიკაციის ამაღლების ეტაპების მოდულირება, რომელიც ზეგავლენას ახდენს თავისუფალი ბავარიის სამსახურებრივი დაწინაურების სამართალზე და იქნებ ხანდახან აზრთა ჭიდილიც გამოიწვიოს კვალიფიკაციის ამაღლების კონცეფციების, სამსახურებრივ დაწინაურებასთან დაკავშირებით გაჩენილი და განუხორციელებელი მოლოდინების, ხელმძღვანე-

¹ შდრ. Landtag Rheinland-Pfalz, მისივე 15/4465.

ლის დისპოზიციური უფლებამოსილებების ფარგლების შესახებ და კერძოდ, ყოველი ცალკეული მოხელის კარიერასთან დაკავშირებით საჯარო მოხელის ზემდგომი უფროსის მიერ მოდულების წილების დადგენის, მათზე თანხმობის მიცემის და შეფასების დროს.

მოქნილად სტრუქტურირებული სამსახურებრივი დანინაურების სისტემა, მაგალითად, რაინლანდ-პფალცში, ჩვეულებრივზე უფრო მეტად ითვალისწინებს, რომ სასწავლო კურსები ძირითად პროფესიასთან დაკავშირებული ცოდნის გარდა მთავარ კომპეტენციებსაც შეასწავლიან, რომლებიც იმაზე არის გათვლილი, რომ მიღებული ახალი ცოდნა ეფექტურად იქნეს ათვისებული და გამოყენებული; სხვადასხვა პროფესიებთან მიმართებაში ეს ნიშნავს, რომ კვლავაც უცვლელ მოთხოვნად რჩება კომპეტენციათა მუდმივად დაუფლება-შეძენა მთელი პროფესიული ცხოვრების მანძილზე (პრინციპი: სწავლა მთელი სიცოცხლის მანძილზე/სწავლა სიბერემდე). ამდენად, სამოხელეო სამართლიდან გამომდინარე, კარიერული წინსვლის შემთხვევაში პროფესიული ვარგისიანობა განხილული უნდა იქნეს არა იზოლირებულად ცხოვრების საწყის ეტაპზე მიღებული პროფესიული განათლების საფუძველზე, არამედ დამატებით ახალი გამოცდილებებისა და ახალი კვალიფიკაციის გათვალისწინებით¹.

2. კომპეტენციები, უნარი, კვალიფიკაცია

კარიერის ფარგლებში – მაგალითად, რაინლანდ-პფალცის რეფორმირებული კანონმდებლობის მაგალითზე დაყრდნობით – პროფესიული განვითარება სამ კრიტერიუმს ითვალისწინებს, ესენია კომპეტენციები, უნარები და კვალიფიკაცია (იხ. პროფესიული საქმიანობა, გერმანიის ძირითადი კანონის 33-ე მუხლის მე-2 აბზაცი). აქედან გამომდინარე, მუდმივ და პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებულ კვალიფიკაციის ამალვებას ბევრად უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება დღეს, ვიდრე ოდესმე. პრო-

¹ Landtag Rheinland-Pfalz, როგორც მითითებულია.

ფესიული განვითარება კარიერის ფარგლებში დაწინაურებების¹ გზით ხდება.

ზემოთქმულის შესაბამისად, კარიერის ფარგლებში პროფესიული განვითარება ითვალისწინებს შესაბამის კვალიფიკაციას, კერძოდ აუცილებელი კვალიფიკაციის ამაღლებას: იღებდნენ მონაწილეობას სამსახურებრივი კვალიფიკაციის ამაღლებაში და ამას გარდა თვითონაც იმაღლებდნენ კვალიფიკაციას, მოხელის სამსახურებრივი მოვალეობაა. უწყების ხელმძღვანელმა სათანადო ღონისძიებების გატარებით უნდა იზრუნოს მოსამსახურეთა და სახელმწიფო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე და ხელი შეუწყოს მათი კომპეტენციის, უნარისა და პროფესიული დონის ამაღლებას კონცეპტუალურ საფუძველზე მართვასთან დაკავშირებული ღონისძიებების გატარებით².

3. ალიმენტაცია, როგორც საბაზისო ცნება

გერმანული სამოხელეო სამართლიდან გამომდინარე, მოხელეთა ფარდობითი დამოუკიდებლობის გათვალისწინებით, გავიხსენოთ ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს სასამართლო პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც გარანტირებული უნდა იქნეს სათანადო ალიმენტაცია, რაც კერძოდ ნიშნავს: ანაზღაურება, საპენსიო და მარჩენალის დაკარგვით გამოწვეული (საპენსიო) უზრუნველყოფა ისე უნდა იყოს განსაზღვრული, რომ სამსახურებრივი რანგის, მნიშვნელობისა და თანამდებობრივი პასუხისმგებლობიდან გამომდინარე და ზოგადი საზოგადოებრივი ურთიერთობების განვითარების გათვალისწინებით შეიძლებოდეს საჯარო მოხელეების არსებობის სათანადოდ უზრუნველყოფა და ყოველივე კი წინაპირობას წარმოადგენდეს იმისათვის, რომ მოხელემ თავი მიუძღვნას საჯარო სამსახურს და თავისი წვლილი შეიტანოს, იქნება რა იგი ეკონომიურად დამოუკიდებელი, მისთვის, როგორც მოხელისათვის, ქვეყნის ძირითადი კანონით

¹ Landtag Rheinland-Pfalz, როგორც მითითებულია.

² ლანდის სამოხელეო სამართალი (LBG) § 22, Rheinland-Pfalz.

განსაზღვრული ამოცანების შესრულების საქმეში, რათა უზრუნველყოფილი იქნეს პოლიტიკურ ძალთა ჭიდილში სტაბილური და კანონმორჩილი ადმინისტრაციის ფუნქციონირება¹.

შემდეგ სასამართლო დასძენს: ალიმენტაცია შეძლებულ საზოგადოებაში მეტს ნიშნავს, ვიდრე სარჩოთი უზრუნველყოფა იმ დროში, რომელიც მოხელეების ფართო წრეებისათვის სიდუხჭირესა და დეფიციტს ნიშნავდა. ალიმენტაციის პრინციპი იძლევა საბაზისო ცნებას, რომელიც დროის შესაფერისად საჭიროებს დაკონკრეტებას. ამით ფინანსურ საკითხებში კანონმდებელს (როგორც ფედერაციის, ასევე ლანდების დონეზე) მინიჭებული აქვს შესაძლებლობა, თავისი შეხედულებისამებრ განსაზღვროს მოხელის (ოჯახის ჩათვლით) სარგო/ხელფასი, მატერიალური უზრუნველყოფა, შემწეობები, ასევე მარჩენალდაკარგულთა უზრუნველყოფის საკითხები, თუმცა პირობები ამ „საბაზისო ცნების“ სათანადოდ იმპლემენტაციისათვის გარკვეულწილად ერთმნიშვნელოვანია; საქმე ეხება ეკონომიკური დამოუკიდებლობის პირობებში ემსახურო არჩეულ პროფესიას ისე, რომ ანგარიშს უწევდებოდადი (როგორც დადებითი, ისე უარყოფითი) ურთიერთობების განვითარებას.

VI. გამმიჯნავი ელემენტები

1. უწყების ხელმძღვანელის შეცვლა (სხვა თანამდებობაზე გადაყვანა, წარგზავნა)

მოხელის პროფესიული განვითარება და ადმინისტრაციის ფუნქციონირების უნარის უზრუნველყოფა კადრების თვალსაზრისით ხორციელდება საჯარო სამსახურის კანონის მოქმედების სფეროს ფარგლებში წარგზავნებისა და სხვა თანამდებობაზე გადაყვანის გზითაც. საკუთარი სურვილით ან სამსახურებრივი საფუძვლებიდან გამომდინარე, სხვა თანამდებობაზე გადასვლა,

¹ ფედერ. საკონსტიტ. სასამართლო, 1977 წლის 30 მარტის განჩინება (2 BvR 1039/75 u.a.), ფედერ. საკონსტიტ. სასამართლო 44, 249.

პრინციპში, შეეხება იმ თანამდებობას, რომელსაც მოცემული მოხელე თავისი უნარებით შეესაბამება. სამსახურებრივი საფუძვლებით შესაძლებელია გამართლებულ იქნეს გამონაკლისები ამ კანონთან მიმართებაში. ასე რომ, დასაშვებია მოხელის სხვა თანამდებობაზე გადაყვანა მისი თანხმობის გარეშეც იმ პირობით, რომ მას შეუნარჩუნდება სულ მცირე იგივე ხელფასი ამ ან სხვა სამსახურში სხვა ხელმძღვანელის ქვემდებარების სფეროშიც. ხელმძღვანელის შეცვლისას მოხელეს აუცილებლად უნდა მიეცეს შესაძლებლობა, რომ მოსმენილ იქნეს, რათა გამოხატოს თავისი აზრი.

კვლავაც განსაკუთრებულ შემთხვევას წარმოადგენს უწყების ხელმძღვანელის დონეებს შორისი შეცვლა მოხელის სურვილით. პრეტენზია გადაყვანაზე, ანუ მოხელის თანამდებობის შესატყვისი საქმიანობის დროებით გადატანაზე სხვა სამუშაო ადგილზე იმავე ან სხვა ხელმძღვანელის დეპარტამენტში ისე, რომ ქვემდებარების მიხედვით დარჩეს იგივე დეპარტამენტის სტრუქტურაში, პრინციპში არ არსებობს¹; გადაყვანის გადაწყვეტილებას იღებს უწყების ხელმძღვანელი, თუმცა, უმეტეს შემთხვევებში, გადაწყვეტილებას იღებს (სასწრაფო) გადაწყვეტილებების მიმღები ცენტრი².

უფრო ზუსტად, უწყების ხელმძღვანელის დისკრეცია გამწესების ბრძანების გაცემის ან მასზე უარის თქმასთან დაკავშირე-

¹ ფრანკფურტის ადმ.სას. (VG), 14.8.2013-ის (9 L 3043/13.F) განჩინება, იურის; საქსონიის უმაღლესი ადმინ. სასამართლო (OVG), 7.7.2010-ის (2 B 59/10) განჩინება, იურის; ფედ.ადმ.სას. (BVerwG), 13.11.1986 (2 C 33.84) სასამართლო გადაწყვეტილება, BVerwGE 75, 133, 135, იურის; გელზენკირხენის ადმ.სას. (VG Gelsenkirchen), 14.7.2010 (1 K 3939/08) სასამართლო გადაწყვეტილება, იურის; საქსონიის უმაღლესი ადმინ. სასამართლო (OVG), ფედერ. მინა ნორდრაინ-ვესტფალიისათვის, 17.2.2003-ის (1 B 2499/02) განჩინება, იურის ; ფედ.ადმ.სას. (BVerfGE) 39, 334 (354); ფედ.ადმ.სას., 28, 155 (160 f.); 68, 109 (110); ფედ.ადმ.სას. 75, 133.

² შდრ. მოხელეთა შესახებ კანონის (BBG) § 27 სტატუსის შესახებ კანონის (BSStG) § 14-ს.

ბით უფრო ფართოა, ვიდრე მოხელის სხვა თანამდებობაზე გადაყვანის შემთხვევაში. მეორე მხრივ, დროებით სხვა თანამდებობაზე გადაყვანასთან დაკავშირებული განაცხადის დაყენების უფლებასთან დაკავშირებით კანონისმიერი რეგულირების არარსებობა არც გამორიცხავს მოხელის ამასთან დაკავშირებულ განაცხადებს და ეს გარემოება არც ათავისუფლებს პირს ვალდებულებისაგან, გადანყვიტოს გამწესების საკითხთან დაკავშირებული ინდივიდუალური განაცხადის საკითხი თავისი დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში (კანონი ადმინისტრაციული წარმოების შესახებ – VwVfG- § 40)¹. სასამართლოს უნდა შეეძლოს, გადაამოწმოს, განხორციელდა თუ არა დისკრეცია სამართლებრივი თვალსაზრისით არასწორად, ხომ არ დარჩა გაუთვალისწინებელი ან არასათანადოდ დადგენილი აქ გასათვალისწინებელი გარემოებები. სანამ მიღებული იქნება სათანადო გადანყვიტება, გათვალისწინებულ უნდა იქნეს ინფორმირებისა და მოსმენის/კონსულტირების ვალდებულებები; გადამოწმებულ უნდა იქნეს აგრეთვე, თუ რამდენად ჩართული იყო მონაწილეობის უფლების მქონე ისეთი სტრუქტურები, როგორცაა საკადრო/პერსონალის საბჭო ან იგივე რანგის რწმუნებული. ხშირად წინა პლანზე შეიძლება იდგეს მოხელის სამსახურებრივად გამოყენების შესაბამისობის საკითხი, ასევე ის, თუ რამდენად ამოუდგება უწყების ხელმძღვანელი მოხელეს გვერდში – ცხადია, პირველ რიგში, თავისი ადმინისტრაციის ფუნქციონირების უნარიანობის თვალსაზრისით (ეს ხომ საჯარო სამსახურის სამართლის ცენტრალური კრიტერიუმია), რომლის შემთხვევაშიც უწყების ხელმძღვანელმა შეიძლება იმითაც იხელმძღვანელოს, თუ რამდენად ექნება მის ამ კონკრეტული მოხელის მიმართ მიღებულ გადანყვიტებას პრეცედენტული ხასიათი.

ხელშეწყობის ვალდებულება გამომდინარეობს ლანდის სამოხელეო სამართლიდან კარიერული წინსვლისათვის ხელშეწყობის სამართლის ჩათვლით და კანონიდან მოხელეთა სტატუსის შესახებ, რომელიც სახელმძღვანელო კანონია ფედერალურ სამსახურში

¹ ფრანკფურტის ადმ.სას., 14.8.2013-ის განჩინება (9 L 3043/13.F), იურის.

გადასვლისათვის, კერძოდ § 14 და 15, რომლებიც გარკვეულად ასახელებენ ფედერალური დონის ხელმძღვანელთან გადასვლას, საიდანაც შეიძლება დასკვნის გამოტანა, რომ კანონმდებელი ამ გადასვლას სავსებით ეთანხმება, რათა გამყარდეს კავშირი ფედერალურ დონეზე და ლანდების ადმინისტრაციის დონეზე დაგროვილი გამოცდილება გამოყენებულ იქნეს ფედერაციის ადმინისტრაციის დონეზე.

2. ადმინისტრაციული სტრუქტურის ცვლილებების შედეგები

ა) თანამდებობა და ორგანიზაცია

უწყების სტრუქტურის ან ფუნქციების ლიკვიდაციის ან არსებითი ცვლილებების ან უწყებათა შერწყმის შემთხვევაში უწყების ერთსა და იმავე ხელმძღვანელის სფეროში დასაშვებია ერთი და იგივე ან სხვა კარიერის ფარგლებში სხვა თანამდებობაზე გადაყვანა ნაკლები ხელფასის პირობით, თუ ორგანიზაციის გადანაწილება შეეხო მოცემული მოხელის ამჟამინდელ ფუნქციებს და აქამდე არსებული თანამდებობის შესატყვისი გამოყენება შეუძლებელია – მოხელის თანხმობაც საჭირო არ არის¹. „ultimo ratio“-სახით რჩება შტატის მოხელის დროებითი გადაყვანა პენსიაზე უწყების ლიკვიდაციის ან ლანდის კანონმდებლობაზე დაფუძნებული უწყების სხვა სახის რეორგანიზაციის შემთხვევაში²; გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოხელეების შემთხვევაში – და მხოლოდ და მხოლოდ მათ მიმართ – დასაშვებია ასეთ შემთხვევებში სამსახურიდან განთავისუფლება³.

¹ ლანდის კანონი მოხელეთა შესახებ (LBG), § 29 აბზ. 3

² ცენტრალური, სტატუსთან დაკავშირებული საკითხი მოხელის სტატუსის შესახებ კანონის (BStG) § 31-ის მიხედვით.

³ მოხელის სტატუსის შესახებ კანონის (BStG) § 23-ის მე-3 აბზაცის 1-ლი წინადადების შესაბამისად. შდრ. Landtag Rheinland-Pfalz, მისივე 15/4465.

ფედერალურ დონეზე თავდაცვის ფედერალური სამინისტრო-სათვის მისდამი დაქვემდებარებული სფეროების ჩათვლით ინიცი-რებულია და ფედერალური კანონმდებლის მიერ მხარდაჭერილი რესტრუქტურისა და პროექტი¹, რომელიც ჯერ არ არის დას-რულებული და რომლის შედეგებიც საჯარო სამსახურის შესახებ სამართლის შემდგომი განვითარებისათვის ზოგადად ჯერ კიდევ გაურკვეველია. მასში ერთ-ერთი ბერკეტის სახით გათვალისწინე-ბულია მოხელის შვებულებაში გაშვება მისი შემდგომი განთავისუ-ფლების მიზნით, რომელიც დაკავშირებულია ერთჯერად კომპენ-საციასთან, ასევე პენსიაზე გაშვება საპენსიო ასაკის მიღწევამდე იმ მოხელეებისა, რომელთა გამოყენების შესაძლებლობაც აღარ არსებობს, კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებები, სხვა სა-ჯარო ხელმძღვანელებთან დასაქმების პერსპექტივით – ვითა-რების-და მიხედვით დროში გადაწეული – გამომშრვის პერსპექ-ტივით². თუმცა ეს ინსტრუმენტები განხილულ უნდა იქნეს ადმინ-ისტრაციაში იმ ადმინისტრაციული ორგანოების კულტურული თავისებურებების ფონზე, სადაც მათი გამოყენება ხდება, მაგალი-თად, შეიარაღებული ძალების სფეროში ერთგულების გაზრდილი ცნობიერების სახით.

ბ) პრივატიზაციის შედეგი – გაბერილი შტატები

თუ დავაკვირდებით პრივატიზაციის შედეგებს, უპირველეს ყოვლისა ლანდებისა და კომუნალურ დონეზე, მაშინ ქარბი პერსო-ნალის საკითხი საჯარო სამსახურში ორგანიზაციის ცენტრალურ

¹ შდრ. 2012 წლის 21 ივლისის კანონი ბუნდესვერის რეფორმის თან-მხლები კანონი (BGBl. I, გვ. 3386).

² შდრ. 28.8.2013 წლის პენსიის კანონი (BGBl. I, გვ. 3386), რომელიც გაათანაბრებდა მოხელეს, მოსამართლესა და ჯარისკაცს, თუ ისინი საკუთარი სურვილით ვადამდე დაანებებდნენ სამსახურს თავს, მხოლოდ ყველა იმ მადიფერენცირებელი წესების გათვალისწინებით, რომლებიც დაკავშირებულია ანაზღაურებასთან. ამასთან დაკავშირ. იხ. Johannes Holzer, Altersgeld für Bundesbeamte, DÖV 2013, გვ. 890 და შემდეგი.

პრობლემად წარმოჩინდება. პერსონალის სიჭარბე ნიშნავს – სრულიად მოკრძალებულად და სპეციალურად შელამაზებულად რომ ვთქვათ – სიტუაციას, როცა სამსახურის უფროსს თავისი სახელმწიფო მოხელეებისა და უვალო ხელშეკრულებით დასაქმებული თანამშრომლების გამოყენება აღარ შეუძლია, როდესაც იგი მათ (სახელმწიფო მოხელეებს) დროებით ან, თუ მნიშვნელოვან სამართლებრივ შემთხვევებს გავითვალისწინებთ, ხანგრძლივი დროით „სამსახურეობრივი დანიშნულებისამებრ“ ვერ ასაქმებს. ამ, სახელმწიფო მოხელის შესახებ კანონში (მუხლი 33, აბზაცი 5 ძირითადი კანონი) ცალ-ცალკე გაწერილი მიშენელოვანი პრინციპების – კარიერული წინსვლის, სახელმწიფოსა და შტატის მოხელეს შორის უვადო ურთიერთობის, თანამდებობის ადეკვატური ალიმენტაციის, უწყების ხელმძღვანელის მხრიდან სოციალური უზრუნველყოფის და თანამდებობის შესატყვისი საქმიანობის განხორციელების – გამონვევისათვის, „ჭარბი პერსონალის მენეჯმენტის“ კონცეპცია არასრულად განვითარებული გადაწყვეტის გზებს გვთავაზობს. დაძაბულობის ველში, სადაც, ერთი მხრივ, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებით სტაბილურ სტრუქტურაზე მიბმული სახელმწიფო მოხელეობა დგას, რომელიც თავისი საქმიანობის ლეგიტიმაციის ერთ ნაწილს მაინც თავისი სამსახურეობრივ-სამართლებრივი და საპარლამენტო-სამართლებრივი კავშირის სანდოობიდან იღებს და, მეორე მხრივ, ყველანაირად ფუნქციონირებადი საჯარო ადმინისტრაციის შენარჩუნება, იქმნება დასაბუთებისა და მონყობის დეფიციტის პრობლემა, რომლის გადაჭრის ყველასათვის დამაკმაყოფილებელი ვარიანტის პოვნა შეუძლებელია.

3. არასრულგანაკვეთიანი სამუშაო

ა) მოქნილობა და მთავარი/წამყვანი პროფესია

პრინციპში, სრულ განაკვეთზე ორიენტირებული საჯარო მოხელის საქმიანობა როგორც მისი მთავარი/ძირითადი პროფესია¹

¹ ფედრ.ადმ.სას. (BVerwG), 2.3.2000 (2 C 1/99) სასამართლო გადაწყვეტილება: ძკ-ის 33-ე მუხლის მე-5 აბზაცის მიხედვით საჯარო

(რაც დაუშვებლად მიიჩნევს კიდეც ნახევარ განაკვეთზე მომუშავე მოხელის ცნებას¹), არასრულგანაკვეთიანი სამუშაოს შემთხვევაში ინვეეს არასრულ სამუშაო დღეზე დაფუძნებული საქმიანობის შეზღუდვით რეგულირებას. ასე, მაგლითად, შეიძლება დაკამაყოფილდეს თანამდებობრივი სარგოს მქონე მოხელის თხოვნა არასრულგანაკვეთიანი სამუშაო დღეზე გადასვლასთან დაკავშირებით მხოლოდ განაცხადში მითითებული პერიოდის განმავლობაში და არანაკლებ ნახევარი სამუშაო დღის ხანგრძლივობით, თუ ეს არ ეწინააღმდეგება უწყების ინტერესებს². ლოიალობასა და შესრულებასთან დაკავშირებული კონფლიქტების თავიდან

სამსახურის სამართალი უნდა რეგულირდებოდეს დასახელებული პრინციპების მიხედვით. სრულგანაკვეთიანი სამუშაო შტატის მოხელისათვის ტრადიციულად სახელმძღვანელო პრინციპია და სახელმწიფოსა და სახელმწიფო მოხელეს შორის დამკვიდრებული ურთიერთობის დამახასიატებელი ნიშანია. მოხელემ სახელმწიფო სამსახურში უნდა ჩააყენოს მთელი თავისი პიროვნება, შრომის უნარი და შესაძლებლობები. მომსახურების ამ სამსახურებრივი ვალდებულების პირისპირ კორელატის სახით დგას ალიმენტაციის პრინციპი. იგი წინაპირობაა პროფესიისათვის მთელი ძალით თავის გადადებისა და ამიტომ შეესაბამება იმ აზრს, რომელიც ჩადებულია ძკ-ის 33-ე მუხლის მე-5 აბზაცში.

¹ ფედრ.ადმ.სას. (BVerfG), 19. 9. 2007 (2 BvF 3/02) განჩინება: განაცხადის გარეშე არასრულგანაკვეთიანი სამუშაოზე გამწესება იმით ხასიატდება, რომ იგი არ ითვალისწინებს მოხელის ნებას ნახევარგანაკვეთიანი სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებით. დამსაქმებელი არ სთავაზობს ნახევარ განაკვეთზე დასაქმებულ პირს იმ დატვირტვას და, აქედან გამომდინარე, არც ისეთ ანაზღაურებას, რომელსაც მისცემდა სრულგანაკვეთიანი მოხელეს. განსხვავებით სხვა არასრულგანაკვეთიანი ფორმებისა განაცხადის გარეშე ნახევარგანაკვეთიანი ფორმა არ უნდა განიხილებოდეს ურთიერთობად სახელმწიფოსა და მოხელეს შორის, მოხელის კარიერული ზრდის თვალსაზრისით.

² ლანდის სამოხელეო კანონი (LBG), § 75აბზ. 1; შდრ. კანონი მოხელის სტატუსის შესახებ, § 43.

აცილების მიზნით კანონმდებელი მზერას მიაპყრობს შესაძლო შეთავსებით საქმიანობას, რომელიც მისი აზრით მისთვის შესაძლებელია ან რომელზედაც იგი შეიძლება დამოკიდებულიც კი იყოს. ამიტომაც ამაზე თანხმობა ითვალისწინებს ვალდებულებას, ნახევარგანაკვეთური დატვირთვის შემთხვევაში შეთავსებით ანაზღაურებადი სამუშაოს იმ მოცულობით განხორციელების შესაძლებლობას, რომელიც მისაღებია/დასაშვებია სრულგანაკვეთიანი სამუშაოს შესრულებისას¹.

ბ) საჯარო სამსახურის რეაბილიტაცია და ფუნქციონირების უნარიანობა

ყოველთვის შესაძლებელი უნდა იყოს რეაბილიტაცია იმ მიზნით, რომ შენარჩუნებულ და გაძლიერებულ იქნეს საჯარო ადმინისტრაციის ქმედუნარიანობა/ფუნქციონირების უნარიანობა: თუ აუცილებელი სამსახურებრივი ინტერესები ამას ითხოვს, შეიძლება შემცირდეს ის პერიოდი, როცა სახელმწიფო მოხელე არასრულ სამუშაო განაკვეთზე იმყოფება ან გაიზარდოს სამუშაო დროის მოცულობა². მაგრამ უწყების ხელმძღვანელის მხრიდან მატერიალური უზრუნველყოფის ვალდებულებიდან გამომდინარე საჭირო იყოს, რომ ნახევარ განაკვეთზე მომუშავე მოხელე გადაყვანილ იქნეს სრულ განაკვეთზე, ვინაიდან თუ ნახევარგანაკვეთიანი რეჟიმი მისთვის უკვე მიუღებელია, უნდა გაიზარდოს სამუშაო დროის მოცულობა, თუ ეს არ ეწინააღმდეგება სამსახურებრივ ინტერესებს³.

4. შეთავსებითი სამუშაო

ა) შეთავსებითი საქმიანობის შესახებ სამართლის მკაცრი ფორმირება

არამხოლოდ არასრულგანაკვეთიან სამუშაოსთან მიმართებაში ექცევა შეთავსებითი საქმიანობის შესახებ სამართალს ყურადღე-

¹ § 75 აბზ. 2 LBG.

² § 75 აბზ. 3 ნინად. 1 LBG.

³ § 75 აბზ. 3 ნინადადება 2 LBG.

ბა. საჯარო სამსახურის შესახებ რაინლანდ-ჰოლანდიის კანონის (LBG) § 85-ის მე-2 აბზაცის 1-ლ წინადადებაში გათვალისწინებული წერილობითი თანხმობის შესახებ მოთხოვნით ნებართვის გაცემის ვალდებულების ყურადღების ცენტრში ექცევა წინასწარი გულმოდგინე კონტროლი იმისა, ხომ არ დაირღვა სამსახურებრივი ინტერესი შეთავსებითი საქმიანობის განხორციელების გამო. სავალდებულო მატერიალურ-სამართლებრივი კრიტერიუმები ქმნიან უარის თქმის საფუძვლებს ისეთი შეთავსებითი საქმიანობის შემთხვევაში, რომელსაც ნებართვა სავალდებულოდ ესაჭიროება. საფუძვლად გამოიყენება შემდეგი ფორმულირება: „ნებართვა არ გაიცემა, თუ არსებობს ეჭვი, რომ შეთავსებითი საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში შეილახება სამსახურებრივი ინტერესი“¹.

ბ) უარის საფუძვლები

უარის თქმის ცალკეული, ცხადია არაამომწურავი, საფუძვლების დასახელებისას გასარკვევია, პირველი, შეთავსებითი სამუშაოს სახეობისა და მოცულობის გათვალისწინებით ხომ არ ხდება სამუშაო ძალის იმდენად გამოყენება, რომ საფრთხე შეექმნას სამსახურებრივი მოვალეობების კანონით გათვალისწინებული წესით შესრულებას; მეორე, ხომ არ შედის ამის გამო მოხელე კონფლიქტში სამსახურებრივ მოვალეობებთან; მესამე, ხომ არ მოახდენს შეთავსებითი საქმიანობა მოხელის მიუკერძოებლობაზე გავლენას; მეოთხე, ხომ არ გამოიწვევს იგი შემდგომში მოხელის სახელმწიფო სამსახურში გამოყენების შესაძლებლობის შეზღუდვას; მეხუთე, ხომ არ დააზიანებს შეთავსებითი სამუშაო საჯარო ადმინისტრაციის რეპუტაციას. შეთავსებით საქმიანობასთან დაკავშირებული ნებართვის მოქმედების ვადა ერთი წლიდან გაიზარდა სამ წლამდე; ამით გამოიხატა, ერთი მხრივ, მისწრაფება, შემცირებული ყოფილიყო ადმინისტრაციის დატვირთვა, დაკავშირებული ასეთი ნებართვის გაცემის პროცედურასთან და, მეორე

¹ § 83-ში აბზ. 2 LBG.

მხრივ, თავიდან იქნეს აცილებული ნებართვის გაცემის პროცედურის უარყოფითი რუტინული განვითარება, რაც შეუსაბამობაში იქნებოდა შეთავსებითი საქმიანობის შესახებ სამართლის მიზანსა და მისი კონტროლის ფუნქციასთან¹.

გ) შეთავსებითი საქმიანობა, რომელსაც აუცილებლად ესაჭიროება ნებართვა, კერძოდ, „თვითდახმარების სტრუქტურების“ შემთხვევაში

ინფორმაციულად მდიდარი, აქტუალური დისკუსია მიმდინარეობს სავალდებულოდ დასარეგისტრირებელი შეთავსებითი საქმიანობის სამართლებრივი ფარგლების შესახებ გერმანელ საჯარო მოსამსახურეებში სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის, უბედური შემთხვევის დაზღვევის, საპენსიო დაზღვევისა და სიცოცხლის დაზღვევის კოლექტიურად განხორციელებული შუამავლობისას, როგორც „თვითდახმარება“ იმ სფეროებში, რომლებშიც სამოხელეო სამართალი მხარს უჭერს ან დასაშვებად მიიჩნევს მოსამსახურეების სულ მცირე ერთ წვლილს რისკთან დაკავშირებული პრევენციის საკუთარ თავზე აღების სახით და დასაქმებულს კი შექმნილი აქვთ შესაბამისი ჩარჩოპირობები. რაინლანდ-პფალცის საჯარო სამსახურის შესახებ კანონის მიხედვით (LBG), მაგალითად, დასაშვებია² განსაზღვრული გამონაკლისები შეთავსებითი საქმიანობის შესახებ ნებართვების საკითხთან დაკავშირებით იმ საქმიანობებთან მიმართებაში, რომლებიც მოიაზრება თვითდახმარების სტრუქტურებად მოხელეთათვის იმ პირობით³, რომ ამ საქმიანობის განხორციელების დაწყებამდე უწყების ხელმძღვანელს ეცნობება მათ შესახებ, კერძოდ შეთავსებითი საქმიანობის სახეობისა და მოცულობის, ანაზღაურების ოდენო-

¹ Landtag Rheinland-Pfalz, მისივე 15/4465, შდრ. ლანდის სამოხელეო კანონის (LBG) § 85 აბზ. 1, 1-ლი წინადადება.

² § 84 ლანდის სამოხელეო კანონის (LBG) („Genehmigungsfreie Nebentätigkeiten, Anzeigepflicht“), იქ აბზ. 1 Nr. 5.

³ § 84 აბზ. 2 ლანდის სამოხელეო კანონი (LBG).

ბისა და ფულის ეკვივალენტური სარგებლის მითითებით; ასევე დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მას ყოველი ცვლილების შესახებ¹.

თვითდახმარების სტრუქტურებად ზემოთ აღნიშნული თვალსაზრისით – ასე განმარტავს მათ ტრიირის ადმინისტრაციული სასამართლო² – ითვლება პროფესიულ ფენებზე ორიენტირებული კომპანიები, რომელთა სამენარმეო მიზანი იმისკენ არის მიმართული, რომ შესთავაზონ საჯარო სამსახურის მოხელეებსა და (კოლექტიური ხელშეკრულებით დასაქმებულ) მოსამსახურეებს მხოლოდ ამ პროფესიულ ჯგუფებზე შემოფარგვლით განსაკუთრებით ხელსაყრელი, მაგალითად, საკრედიტო, სადაზღვევო თუ სხვა სახის, პირობები. რა თქმა უნდა – და აქ იხსნება აქტუალური დისკუსია თვითდახმარების ამ იდეის გადაჭარბებული და საქმიანი განხორციელების თვალსაზრისით – „არა მისაღებად“ ითვლება – დამოუკიდებლად იმისაგან, რომ შიდასამსახურებრივი ინტერესიდან გამომდინარე სამოხელეო-სამართლებრივი ფორმით არის ჩამოყალიბებული შეთავსებითი საქმიანობის აკრძალვა, როცა საჯარო მოსამსახურეები სამსახურის დროს სრული მოცულობით არ უძღვნიან თავს სამსახურებრივ ინტერესებს, არამედ ცდილობენ სამსახურის დრო საკუთარი კერძო ინტერესებისათვის გამოიყენონ და სამსახურის ოფისებში განხორციელებული/გაშლილი საქმიანობით – სამსახურებრივი ინსტრუმენტების გამოყენებით თუ მათ გარეშე – კონკურენციაში შევიდნენ კერძო კონკურენტებთან³.

ფედერალური უზენაესი სასამართლოს აზრით (BGH), აქ არ მოქმედებს de minimis-გამონაკლისი, ვინაიდან სადაზღვევო

¹ ტექსტობრივად თითქმის უცვლელად აგრეთვე § 100 აზ. 1 Nr. 4 ფედერ. სამოხელეო კანონი (BBG).

² ფედერ. სამოხელეო კანონი (BBG). ადმონისტრ. სას., აქ. ტრიირი, 2011 წლის 11 ოქტომბრის გადაწყვეტილება (1 K 758/11.TR), იურის.

³ ფედერ. უზენაესი სასამართლო (BGH) (სამოქალაქო საქმეთა 1-ლი სენატი), 1994 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილება (I ZR 16/92), NJW 1994, გვ. 2096 და შემდეგი.

ხელშეკრულებების დადებასთან დაკავშირებული საკონსულტაციო საქმიანობა სამსახურისათვის განკუთვნილ საათებში, განაცხადებისა და საგარანტიო წერილების/თანხმობების შევსება, ტელეფონის მეშვეობით მზღვეველის მითითებების ან პოზიციის შესახებ ინფორმაციის მოპოვება ან სხვა მსგავსი საქმიანობა საკუთარი კერძო ფუნქციების განხორციელების საბაზით გადადის ნებადართულობის ყველა ზღვარს. ერთი პრობლემა იმაშიც მდგომარეობს, რომ შეთავსებით საქმიანობაზე, სამოხელეო-სამართლებრივი თვალსაზრისით, მხოლოდ მაშინ შეიძლება ითქვას უარი, თუ მას შეუძლია სამსახურეობრივი ინტერესების შელახვა; მესამე პირთა, აქ კერძო კონკურენტთა და მათ წარმომადგენელთა, ინტერესები შეთავსებითი საქმიანობის რეგულირებისას გათვალისწინებული არ იქნა. აქედან გამომდინარე, უწყების ხელმძღვანელი ვერ იტყვის უარს, გასცეს თანხმობა შეთავსებითი საქმიანობის განხორციელებაზე მესამე პირების ინტერესებთან დაკავშირებული ან შრომის ბაზართან დაკავშირებული პოლიტიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე¹.

5. გაფიცვის აკრძალვა

ა) პარლამენტზე დამოკიდებულება

მოხელისათვის გაფიცვაში მონაწილეობის აკრძალვა ისევ დისკუსიის საგნად რჩება: სამსახურზე უარის თქმა ან სამუშაოს შეჩერება/გაფიცვა სამუშაო პირობების შენარჩუნების ან გაუმჯობესების მოთხოვნით შეუთავსებელია სახელმწიფოსა და მოხელეს შორის ურთიერთობისათვის², რომელიც მთლიანად დამოკიდებულია პარლამენტზე, როგორც კანონმდებელზე და ამი-

¹ ასეთია ჰამის ლანდის უმაღლესი სასამართლოს არგუმენტაცია, იხ. ჰამის უმაღლესი სასამართლო (OG Hamm) (სამოქალაქო საქმეთა მე-4 სენატი), 1991 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილება (4 U 289/90), NJW-RR 1991, გვ. 816 და შემდეგი.

² § 50 ლანდის სამოხელეო კანონი (LBG).

ტომ არ ექვემდებარება კოლექტიურ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მოლაპარაკებების პროცესს. გარკვეულ კომპენსაციას წარმოადგენს ამ თვალსაზრისით კავშირებში გაერთიანებისა და მონაწილეობის უფლებები: პროფკავშირი და პროფესიული ასოციაცია მზად არიან განახორციელონ ნევრების ინტერესების წარმომადგენლის ფუნქცია¹. გაფიცვის აკრძალვის მარეგულირებელი ნესის შერბილების გარკვეული ტენდენციის, რომელიც იკვეთება ჯერ კიდევ არაუნიფიცირებულ პირველი ინსტანციის ადმინისტრაციულ სასამართლო პრაქტიკაში ევროპის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (EGMR) მიერ მიღებული ერთ-ერთი გადაწყვეტილების გათვალისწინებით², საპირისპიროა ლანდის საჯარო მოხელეთა შესახებ კანონის არაორაზროვანი ტექსტი; ამასობაში ლანდის უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოს გადაწყვეტილებებმა აღადგინა ადრინდელი ერთიანი ხაზი.

ბ) გაუთვალისწინებელ ღონისძიებათა შეფასება

რთულია სამართლებრივი შეფასება გაუთვალისწინებელი ღონისძიებებისა და სცენარებისა, რომლებიც შეეხება საჯარო სამსახურში, პირველ რიგში, შრომის პირობების, ანაზღაურებისა და სოციალური უზრუნველყოფის ასპექტებთან დაკავშირებული უკმაყოფილების გამოხატვას. თუ გაფიცვის მსგავსი ქცევისა და დამსაქმებელთან კონფლიქტისას უკმაყოფილების ორგანიზებული გამოხატვისათვის, სამოხელეო-სამართლებრივი თვალსაზრისით, შეფასების ახალი შესაძლებლობა გაჩნდება – უნდა იყოს ეს გაფიცვის მკაცრი აკრძალვის უარყოფა?

მხოლოდ დიფერენცირებულად უნდა გაეცეს პასუხი კითხვას, რა სამსახურებრივ-სამართლებრივი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს სამუშაო ან არასამუშაო საათებში უკმაყოფილების

¹ შდრ. § 97 ლანდის სამოხელეო კანონი (LBG), შდრ. აგრეთვე § 52 სა-
მოხელეო სტატუსის შესახებ კანონი (BeamtStG).

² 21.4.2009 (Nr. 68959/01).

გამოხატვის, შრომის შეფერხების, „ინსტრუქციის მიხედვით“ მსახურების, საჯარო მომსახურებასა და დარღვევებზე მითითებას შორის კავშირის მრავალრიცხოვან ნიმუშებსა და სტრატეგიებს დამსაქმებელთან მიმართებაში; ამ კონტექსტში აღნიშვნის ღირსია მოხელე თანამდებობის პირთა ანგაჟირებული პარტიული, პროფკავშირული და საზოგადოებრივი შრომა; მათი თემები მრავალფეროვანია; კერძოდ ისინი შეეხება ადმინისტრაციულ-ორგანიზაციული ხასიათის რეორგანიზაციის შედეგებს, ლიკვიდაციით ან პრივატიზაციით დასრულებული, ალიმენტაციის ადეკვატურობას და უზრუნველყოფას, მონაწილეობებს საპენსიო ვალდებულებებში, შრომის პირობებს, დამსაქმებლისა და საზოგადოებრივი ჯგუფებისადმი პატივისცემას. ყველა შემთხვევაში საქმე ეხება ერთგულებაზე დაფუძნებულ ურთიერთობას მოხელესა და ხელმძღვანელს შორის, ერთი მხრივ მოხელის, როგორც ძირითადი უფლების მატარებელსა და მეორე მხრივ, იმ პრინციპების პატივისცემის ფონზე, რომლებიც უზრუნველყოფენ საჯარო მოსამსახურის ოფიციალურ თავშეკავებულობასა და ნეიტრალობას.

ამ კონფლიქტს ხელს უწყობს ძირითადი კანონის 33-ე მუხლი და ფედერაციისა და ლანდების მოხელეთა შესახებ ჩვეულებრივი კანონები; იგი გამსჭვალულია ძირითად-სამართლებრივად ძირითადი კანონის მე-5 მუხლის 1-ლი აბზაცისა და მე-8 მუხლის 1-ლი აბზაცის სულისკვეთებით და, ამას გარდა, უნდა ითვალისწინებდეს EMRK-ის მე-11 მუხლიდან გამომდინარე მოლოდინებს. უკმაყოფილების ორგანიზებული გამოხატვა, განსაკუთრებით პროფკავშირების მიერ მხარდაჭერილი და ორგანიზებული, ასევე გაფიცვასთან მიახლოებული ქცევის ნიმუშები, კერძოდ მსვლელობები გაფიცვისას, მსახურება ინსტრუქციის მიხედვით, კოლექტიურად საავადმყოფო ფურცელზე გადასვლა და სხვა, სუროგატებია და ისინი მოქცეულია გაფიცვის ამკრძალავი ძირითადი უფლების ფარგლებს გარეთ, თუნდაც შესაძლებელი იყოს დასახელებული ნაცრისფერი ზონის, გამომდინარე გაფიცვის აკრძალვიდან, სისტემაში მოყვანა. საჯარო სამართლის ფორმირებასთან დაკავშირებული პარლამენტის პასუხისმგებლობის გათვალისწინებით

კვალიფიკაცია აქ იგივე რჩება და ეს არის პოლიტიკური გაფიცვა.

გაფიცვის მსგავსი ქმედებებისა და უკმაყოფილების ორგანიზებულად გამოხატვის ახალი შეფასება EMRK-ის მე-11 მუხლთან დაკავშირებით არც თუ დიდი ხნის წინ განხორციელებული ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინებით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ გაკეთებული „living-instrument“-ინტერპრეტაციის შესაბამისად (თურქეთის) მოხელეთა მრიდან გაფიცვის ფორმით ბრძოლის შეზღუდვის ტენდენციით ცოტა გასაქანს თუ იძლევა, ასევე არსებობს მისწრაფება, რომ ეს სასამართლო პრაქტიკა გამოყენებულ იქნას სხვაგვარად სტრუქტურირებული საჯარო სამსახურების მიმართ EMRK-ის ხელშეკრულებაში გაერთიანებული სახელმწიფოების ფარგლებში. ევროპული კავშირის ძირითადი უფლებების ქარტიასაც არ გააჩნია აქ დიფერენციაციის რაიმე შესაძლებლობების მოლოდინი.

გ) კომპენსაცია მონაწილეობის სისტემებისა და მოსამსახურეთათვის წარმომადგენლობითი ფუნქციის განხორციელების გზით

საბოლოო ჯამში, უნდა შეფასდეს, რამდენად შესაძლებელია, რომ გაფიცვის აკრძალვა კომპენსირებულ იქნეს მონაწილეობის შესაძლებლობების გაფართოებისა და ფორმალიზებული მოლაპარაკებების მოდელების გამოყენების შედეგად.

პარლამენტის მიერ შემუშავებული მონაწილეობის სისტემა, რომელიც შეეხება პერსონალის წარმომადგენლობის საკითხს¹, არის მოსამსახურეთა უფლება – როგორც სახელმწიფო მოხელეთათვის, ასევე უვადო ხელშეკრულებით დასაქმებული მოსამს-

¹ კანონი საწარმოს წესდების/მონაწილეობის შესახებ (Betriebsverfassungsgesetz) (მოქმედებს 1952წ-დან); დასაქმებულთა წარმომადგენლობის შესახებ ფედერ. კანონი (Bundespersönalvertretungsgesetz) (მოქმედებს 1955წ-დან), აგრეთვე დასაქმებულთა წარმომადგენლობის შესახებ ლანდების კანონები (Landespersönalvertretungsgesetze).

ახურეებისათვის – მიიღონ მონაწილეობა შიდა-სამსახურებრივი გადანყვეტილებების მიღებაში შესაბამისად დაკომპლექტებული პერსონალის საბჭოს მეშვეობით, რომელიც ამით დამაკავშირებელი რგოლის ფუნქციას ასრულებს დამსაქმებელსა და მოსამსახურეებს შორის. ამ ფარგლებში ზოგიერთი მოსამსახურის მიმართ განსახორციელებელი ღონისძიების გატარება შეიძლება დამოკიდებული გახდეს მოსამსახურეთა წარმომადგენლის თანხმობაზე. ამას ემატება – გადანყვეტილების მიღებაში პირდაპირი მონაწილეობის სახით – მონაწილეობა საწარმოს ან კომპანიის ხელმძღვანელის მიერ შიდაორგანიზაციულ და, შესაბამისად, ეკონომიკურ საკითხებთან დაკავშირებული გადანყვეტილებების მიღების პროცესში.

მართვასთან დაკავშირებულ პრინციპებს განეკუთვნება მოთხოვნა, რომ მოხელეებმა ნდობის საფუძველზე ითანამშრომლონ საჯარო-სამართლებრივი დაწესებულების ან საწარმოს ხელმძღვანელობასთან, ასევე მოხელეთა და ხელშეკრულებით მომუშავე მოსამსახურეთა ჯგუფურად წარმომადგენლობის პრინციპი, დაკავშირებული ერთი გარკვეული საჯარო-სამართლებრივი დაწესებულების ყველა მოსამსახურის სახელით წარმომადგენლობის პრინციპთან, ასევე პრინციპი, ერთმანეთისაგან გამიჯნულ იქნეს პერსონალის წარმომადგენლობა პროფკავშირებიდან, დისკრიმინაციის აკრძალვა, როგორც დაცვა პერსონალის საბჭოს წევრობის შემთხვევაში დამსაქმებლის მხრიდან განხორციელებული რეპრესიული ღონისძიებებისაგან. პერსონალის საბჭოს უფლებებს – ცალკეულ შემთხვევებში დიფერენცირების გარეშე – განეკუთვნება ინფორმაციის გაცნობის უფლება, მოსმენის უფლება, თანამონაწილეობის და საწარმოს მართვაში შესაბამისად გადანყვეტილების მიღებაში მონაწილეობის უფლებები, ასევე გარკვეული საინიციატივო უფლებები, რომლებიც შეეხება სამსახურებრივი შეთანხმებების დადებას.

6. კორუფციის დაძლევა და კორუფციის პრევენცია

საჯარო სამსახურის უმნიშვნელობისადმი რწმენა არის წინაპირობა ინტეგრაციის მიღწევისათვის, რისი მოლოდინიც არსებობს

კონსტიტუციური სახელმწიფოსა და მისი ადმინისტრაციისაგან. აქედან გამომდინარე, კოპუფციის პრევენცია მართვის იმ ინსტრუმენტებს განეკუთვნება, რომელთა განხორციელებაშიც ფუნქციონირებს შესაბამისად და ერთობლივად წვლილი უნდა შეიტანონ ადმინისტრაციამ, კანონმდებლობამ, მართლმსაჯულებამ და (სამოქალაქო) საზოგადოებამ. კონსტიტუცია აქ განსაკუთრებულ მოლოდინებს უკავშირებს საჯარო სამსახურს, ვინაიდან პროფესიული ვარგისიანობა, უნარიანობა და პროფესიული წარმატება საჯარო სამსახურის ის მთავარი კრიტერიუმებია, რომლებიც განსაზღვრავენ საჯარო სამსახურისადმი ხელმისაწვდომობასა და დანიშნულების შესაძლებლობას.

გერმანიაში ანტიკორუფციული სისტემის ბაზას ქმნიან რეგრესიულად ცალსახა და სასჯელის თვალსაზრისით სავსებით მნიშვნელოვანი დანაშაულებები. გერმანიის ფედერალურ ადმინისტრაციაში (ფედერაციისა და ლანდების დონეზე) დაინერგა კორუფციის პრევენციის სისტემა.

ა) კორუფციის პრევენციის სისტემა

სისტემა – ფორმალურად ძირითადი კანონის 86-ე მუხლის 1-ლი წინადადების ბაზაზე – შედგება ფედერალური მთავრობის 2004 წლის 20 ივლისის ფედერალურ ადმინისტრაციულ სტრუქტურებში კორუფციის პრევენციის შესახებ დირექტივისაგან¹, აქტუალიზებული და დაკონკრეტებული „რეკომენდაციებით კორუფციის დასაძლევად გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ადმინისტრაციაში (2012 წლის 9 თებერვლის მდგომარეობით)“, შევსებული „ანტიკორუფციული ქცევის კოდექსით“, ასევე „ინსტრუქციით ხელმძღვანელი პირებისა და უწყებათა ხელმძღვანელებისათვის“; ამას ემატება სხვა სპეციალური ფორმულარები, მაგალითად, ოფიციალური დავალებების მიღებისას საკუთარი პასუხისმგებლობის აღების მიზნით (რწმუნებულის ფორმალური წერილობითი ვალდებულება „ვალდებულებების შესახებ კანონის“ მიხედვით) ან „ქცე-

¹ ფედერალური მაცნე Nr. 148, გვ. 17745, დანართებით.

ვის სტანდარტები გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში კორუფციის დასაძლევად სუბვენციის მიმღებთათვის“ სუბვენციისა და ა. შ. მიღებისას.

„ხელმძღვანელი პირებისა და უწყებათა ხელმძღვანელები-სათვის ინსტრუქციაში“¹ „კორუფციის ნიშნები“ შესაბამისად „გამაფრთხილებელი სიგნალები“ შემდეგნაირად არის დიფერენცირებული: 1. „ნეიტრალური ინდიკატორები“, 2. „განგაშის ინდიკატორები“, პირველ შემთხვევაში „საჯარო-სამართლებრივი დანესებულების ინდიკატორების“ სახით და მეორე შემთხვევაში „ინდიკატორები საგარეო კონტროლის სფეროში“. ცხადია, აქ შემოთავაზებულ კატეგორიათა დიფერენციაცია არ არის ყველა თვალსაზრისით დამაჯერებელი, მაგრამ, საერთო ჯამში, ითვლება, რომ ამ – აქ მხოლოდ ხაზგასმულ – „კანონქვემდებარე“ და პრევენციის შიდაადმინისტრაციულ სისტემას ენიჭება ორიენტირისა და ნიმუშის მნიშვნელობა. ეს, მონახაზის სახით, მოყვანილი ინდიკატორები შეეხება – მიუხედავად ყველა სახის სისტემური ხასიათის ნაკლისა და ეჭვისა სისრულის თვალსაზრისით – ორგანიზაციისა და პროცესის სტრუქტურების შესაბამისად წარმოების პროცესების საფრთხეებსა და რისკის ფაქტორებს და ახდენენ უწყებისათვის ჩვეული და შიდაუწყებრივი კონტროლის სქემების და ქცევის ნიმუშებისათვის შესაძლო კრიტერიუმების ილუსტრირებას.

ბ) მავალითი შედარებისათვის: რუსი კანონმდებლის ანტიკორუფციული სისტემა

დიდი ხანია რაც სხვა სახელმწიფოებმაც შექმნეს მთელი ინსტრუმენტარიუმი, რომელიც თანამიმდევრული გამოყენებისას შეიძლება გამოდგეს საჯარო სამსახურში კორუფციის პრევენციისათვის. შედარებისათვის გადავავლოთ თვალი ანტიკორუფციულ სისტემას, რომელიც რუსეთში გამოყენებისათვის მზად არის. ამასობაში შემუშავებულ და მიღებულ იქნა კორუფციის დაძლევით

¹ დანართი 1, ფედერალური მთავრობის დირექტივისათვის კორუფციის პრევენციასთან დაკავშირებით.

სა და პრევენციის მიზნით თითქმის სრული ნორმათა კომპლექტი; კერძოდ დასახელებულ უნდა იქნეს 2004 წელს მიღებული და 2008 წელს დამატებებით შეცვლილი ფედერალური კანონი „რუსეთის ფედერაციაში სახელმწიფო სამსახურის“¹ შესახებ, ფედერალური კანონი „რუსეთის ფედერაციაში მოქალაქეთა საჩივრების განხილვის წესის შესახებ“², ფედერალური კანონი „კორუფციის დაძლევის შესახებ“³, აგრეთვე – სხვა სააღსრულებო დონეზე – რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ბრძანებულება „მოხელეთა სამსახურებრივი ქცევისადმი წაყენებული მოთხოვნების შესრულების მაკონტროლებელი კომისიის შესახებ“⁴, აგრეთვე „ბრძანებულება საჯარო სამსახურის მოხელეთა სამსახურებრივი ქცევის მთავარი პრინციპების შესახებ“⁵ და სხვა ბრძანებულება „კორუფციის დაძლევის ღონისძიებების შესახებ“⁶, რუსეთის ფედერაციის მთავრობის დადგენილება „საკანონმდებლო აქტების ანტიკორუფციული ექსპერტიზის შესახებ“⁷ და პრეზიდენტის სხვა ბრძანებულება

¹ Федеральный закон от 27.07.2004 № 79-ФЗ [ред. от 25.12.2008] «О государственной гражданской службе Российской Федерации» [принят ГД ФС РФ 07.07.2004].

² Федеральный закон от 02.05.2006 № 59-ФЗ «О порядке рассмотрения обращений граждан Российской Федерации» [принят ГД ФС РФ 21.04.2006].

³ Федеральный закон от 25.12.2008 № 273-ФЗ «О противодействии коррупции» (принят ГД ФС РФ 19.12.2008).

⁴ Указ президента Российской Федерации № 821 от 01.07.2010 «О комиссиях по соблюдению требований к служебному поведению федеральных государственных служащих и урегулированию конфликта интересов.

⁵ Указ Президента РФ от 20.04.2007 № 814 (ред. от 16.07.2009 г):—Об утверждении общих принципов служебного поведения государственных служащих».

⁶ Указ Президента РФ от 19.05.2008 № 815 О мерах по противодействию коррупции» (ред. От 01.07.2010

⁷ Постановление Правительства РФ от 26 февраля 2010 г. N 96 «Об анти-

„კორუფციის დასაძლევად ნაციონალური სტრატეგიისა და ნაციონალური გეგმის შესახებ“¹.

**გ) გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეთანხმება
კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის თვალსაზრისით**

ასეთ ძალისხმევებში თავისი წვლილი შეაქვს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და კონვენციებს: მაგალითად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კორუფციის წინააღმდეგ კონვენციის მე-13 მუხლში „საზოგადოების მონაწილეობასთან დაკავშირებით“ ვკითხულობთ: „ხელშეკრულების ყოველი მონაწილე სახელმწიფო თავისი შესაძლებლობების ფარგლებში და მისი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის დასავლეთის ფუნდამენტურ პრინციპებთან შესაბამისობაში ატარებს სათანადო ღონისძიებებს, რათა ხელი შეუწყოს იმ პირებისა და ჯგუფების, რომლებიც არ განეკუთვნებიან საჯარო სექტორს, მაგალითად, სამოქალაქო საზოგადოების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და თემთა ბაზაზე შექმნილ ორგანიზაციების, აქტიურ მონაწილეობას კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლასა და პრევენციაში და საზოგადოების შეგნების გაღრმავებას კორუფციის, მისი მიზეზებისა და მისგან მომდინარე საფრთხის არსებობის ფაქტისადმი“.

ამავე კონტექსტში მოიაზრება პასუხისმგებლობით აღსავსე, კორუფციის წინააღმდეგ მიმართული ქმედების შეძლებისდაგვარი დაცვა; პირები, რომლებიც ინფორმაციას იძლევიან, ხშირად „whistleblower“-ად² და ორგანიზაციის სტრუქტურულიდან გამომდინ-

коррупционной экспертизе нормативных правовых актов и проектов нормативных правовых актов»).

¹ Указ Президента РФ от 13 апреля 2010 г. N 460 «О Национальной стратегии противодействия коррупции и Национальном плане противодействия коррупции на 2010 - 2011 годы».[შეადგინა და თარგმნა ელენე მიხალატი, შორეული აღმოსავლეთის ადმინისტრაციის ინსტიტუტი, ხაბაროვსკი].

² ამასთან დაკავშირებით შდრ. Andrei Király, Whistleblower in der

არე „დამსმენებად/ჩამშვებებად“ წოდებულნი, ინფორმაციის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენენ და გამოსავალსაც კი გთავაზობენ ხოლმე კორუფციასთან დაკავშირებული ჩახლართული სცენარებისა და „სპირალური“ ხასიათის სიტუაციებიდან. ერთ-ერთ ღონისძიებას გთავაზობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია კორუფციის წინააღმდეგ, რომლის 33-ე მუხლში „ინფორმანტების დაცვის“ შესახებ ვკითხულობთ, რომ „ხელშეკრულების მონაწილე ყოველი სახელმწიფო ვალდებულია, გაითვალისწინოს თავის შიდასახელმწიფოებრივ მართლწესრიგში სათანადო ღონისძიებები, რათა დაიცვას უსამართლო ქმედებისაგან პირები, რომლებიც სათანადო ორგანოებს კეთილშობილი განზრახვითა და კეთილგონიერების საფუძვლიდან გამომდინარე აწვდიან ინფორმაციას ამ კონვენციის შესაბამისად აღწერილი სისხლისსამართლებრივი დანაშაულებების შესახებ“¹.

დ) კორუფციის ინსტიტუციონალიზებული პრევენცია და ბრძოლა მის წინააღმდეგ – ავსტრიის მაგალითი

ავსტრიის კორუფციის პრევენციისა და მასთან ბრძოლის ფედერალური დეპარტამენტი შეიძლება გამოდგეს კომპაქტურად სტრუქტურირებული და, ამოცანათა სპექტრიდან გამომდინარე, ფართოდ მოაზრებული უწყების მაგალითად კორუფციის პოლი-

öffentlichen Verwaltung. Ihre Rechtsstellung bei der Korruptionsbekämpfung, გერმანიის საჯარო ადმინისტრაციის კვლევითი ინსტიტუტი (FÖV), Discussion Papers Nr. 57, შპაიერი 2010, აგრეთვე მისივე: Der Beamte als Whistleblower – Die Zulässigkeit von Korruptionsanzeigen nach den jüngsten Gesetzesänderungen –, წიგნში: Die Öffentliche Verwaltung 2010, გვ. 894 და შემდეგი, ასევე: Arnd Koch, Korruptionsbekämpfung durch Geheimnisverrat? Strafrechtliche Aspekte des Whistleblowing, ZIS 2008, გვ. 500 და შემდეგი, და Jens Abraham, Whistleblowing – Neue Chance für eine Kurswende!?, წიგნში: Zeitschrift für Rechtspolitik 2012, გვ. 11 და შემდეგი.

¹ იმავე კონვენციის 33 მუხლი.

ტიკურად და სამართლებრივად დაძლევის მიზნით¹. ფედერალური დეპარტამენტი შეიქმნა როგორც მკვეთრი რეაქცია შესაბამის საერთაშორისო ვალდებულებებზე იმ დავალების ფარგლებში, რომელიც გამომდინარეობს გაეროს აღნიშნული კონვენციიდან. თავისებურების სახით და ფედერალური დეპარტამენტის სპეციალური ტექნიკური ხარისხის შენარჩუნებისათვის წარმოდგენილია (არასასამართლო) იურიდიული დახმარების კომისია, რომელმაც უნდა განიხილოს განცხადების სახით ფედერალური დეპარტამენტის საქმიანობის წინააღმდეგ შესული კრიტიკული შენიშვნები და განახორციელოს აუცილებელი კორექტივები. პრევენციული ღონისძიებების, განათლების, კვალიფიკაციის ამაღლების (“Edukation“), ამოცანის დაყენებისა და საერთაშორისო თანამშრომლობით მოცულია საკითხთა მთელი სპექტრი, მაგრამ ამავე დეპარტამენტს მძიმე ტვირთად აწვება ყოველივე ამასთან დაკავშირებული უდიდესი პასუხისმგებლობა. დაბოლოს, უნდა აღინიშნოს ავსტრიის კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის ფედერალური დეპარტამენტის ფუნქციურად ფართოდ გაშლილი სტრუქტურა, რომელშიც შედის I განყოფილება („სტრატეგია, ადმინისტრაცია, მოქმედება/აქტივობა და მართვის ხელშეწყობა“), II განყოფილება („პრევენცია, მართვა, საბაზისო და ფუნდამენტური სამუშაო“), III განყოფილება („ოპერატიული სამსახური“) და IV განყოფილება („საერთაშორისო თანამშრომლობა და სამართლებრივი დახმარება“).

ეს სტრუქტურა ვალდებულია იმოქმედოს შემდეგი დარღვევებისა და სისხლისსამართლებრივი დანაშაულებების არსე-

¹ შდრ. Mathias Vogl, Das neue Bundesamt für Korruptionsprävention und Korruptionsbekämpfung, წიგნში: .SIAK-Journal 2012, გვ. 29 და შემდეგი, იქ გვ. 31 და შემდეგი ორგანიზაციასთან დაკავშ. და გვ. 33 და შემდეგი, ამოცანებთან დაკავშ., და გვ. 37 და შემდეგი. უფლებათა დაცვის კომისიასთან დაკავშ; ასევე შდრ. Robert Jerabek, Neuerungen im Korruptionsstrafrecht – KorrStrÄG 2012, წიგნში: .SIAK-Journal 3/2013, გვ. 36 და შემდეგი.

ბობისას: ძალაუფლების ბოროტად გამოყენება, მექრთამეობა, სარგებლის მიღება, კორუფციის/მექრთამეობის შემზადება, მოსყიდვა, უპირატესობის მინიჭება, ქრთამის მიცემის მცდელობა და უპირატესობის მინიჭება, დაუშვებელი ინტერვენცია/ჩარევა (§ 308 öStGB), სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ან თანამდებობის პირთა მონაწილეობით ერთგულების პრინციპის დარღვევა, თანამდებობის პირთა მიერ საჩუქრების მიღება (§ 153a öStGB), ტენდერების პროცესში კონკურენციის შემზღუდავი შეთანხმებები და მოცყუების შემთხვევები განსაკუთრებით დიდ მასშტაბებში, შესაბამისად კომერციული თაღლითობა ასეთი შეთანხმებების საფუძველზე, თანამდებობის პირთა და რწმუნებულების მიერ საჩუქრების მიღება, ფულის გათეთრება (ზემოთ დასახელებული სისხლისსამართლებრივი დანაშაულებების შედეგის სახით).

7. Compliance (თანამშრომლობა)

დისკუსიის შემდეგი ამოსავალი წერტილი, რომელსაც სამოხელეო სამართლისთვის არსებითი მნიშვნელობა გააჩნია, არის **Public Compliance**¹: **Public Compliance** – აქ მოხსენებული, როგორც საჯარო სამოხელეო სამართლის განვითარების შესაძლო შემადგენელი ნაწილი – სამენარმეო სამართლის (კერძო სამართლის) ეთიკური

¹ **Compliance** იმიტომაც არის მნიშვნელოვანი, რომ სამართლის ეს ინსტიტუტი ვალდებულებების მატარებელი პირებისადმი და ორგანიზაციის სხვადასხვა ეშელონისა და სტადიისადმი სამართლიანობისა ვალიდურობისა და შესაბამისობის მოთხოვნებს აყენებს. შესაბამისად, მას შეუძლია მოიცვას სხვადასხვა დონისა და ინტენსივობის სამართლდარღვევა. განსაკუთრებით, ადმინისტრაციული სამართლის კუთხით **Compliance**-ის შემთხვევაში სახეზე გვაქვს წმინდა სამუშაო ტერმინი, რომელიც მორალურ-ეთიკურ ფასეულობებს შეიცავს და სულ მცირე სასამართლო პრაქტიკის თვალსაზრისით „სამსახურებრივი გადაცდომის“ შინაარსის გასაზღვრას ემსახურება.

გამონვევების კატეგორიაზე მიმაგრებულ, მატერიალური სა-
ჯარო სამართლის (საჯარო სამართლის იურიდიული პირების)
შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს.¹

საჯარო Compliance მჭიდროდაა დაკავშირებული საჯარო და-
ლაუფლების განხორციელების კანონიერებასთან და, შესაბამისად,
კონსტიტუციიდან და კანონებიდან გამომდინარე, სახელმწიფო
მმართველობის ძირითად შემადგენელ ნაწილთან და მისი არსებო-
ბის მნიშვნელოვან წინაპირობასთან, სამართლებრივ სახელმწი-
ფოსთან. აქედან შეიძლება გამომდინარეობდეს სამართლებრივი
სახელმწიფოს ახლებური გაგება, რომელიც მოიაზრებს სამართ-
ლებრივი სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი ძირითადი პრინ-
ციპების ფასადურ ერთობლიობას. ერთად მოიაზრება საჯარო
მოხელეთა შესახებ კანონებში სრულად და დეტალურად მოწეს-
რიგებული, სატარიფო ხელშეკრულებაში ნაკლებად, მაგრამ/ასევე
ყველა სხვა შრომით ხელშეკრულებაში განსაზღვრული ვალდებ-
ულებები და ასევე, გარეუროთიერთობის კუთხით, ნდობის წარმო-
შობი კომპონენტები (მაგ., კორუფციის წინააღმდეგ მიმართული
მოქმედებების სერიოზულობა).

სამოხელეო სამართლის კუთხით, ამას კიდევ რამდენიმე აქ
მოყვანილი პრინციპი ემატება. ასევე, შესაძლებელია აქტუალ-

¹ შდრ. Susanne Meyer/Jan Friedrich, Compliance–ორგანიზაციის შექმნის
ვალდებულების სამართლებრივი საფუძვლები, IMB Institute of
Management Berlin, (Working) ფურცელი N. 67, თარიღი 05/2012; ასევე,
Stefan Fuhrmann, Compliance საჯარო მმართველობის და სამართ-
ლებრივი უფლებამოსილების განხორციელების პროცესში. გამო-
ქვეყნებულია, Michael Demel/Stefan Heck/Thomas Schäfer, მყარ ფუნ-
დამენტზე; Christean Wagner, საიუბილეო კრებული, Berlin 2013, გვ.
109-დან; Hans-Joachim Schött, „Compliance – და სანარმოს გარეთ არ-
სებული საკონსულტაციო ბაზარი JZ 2013, გვ. 771; ასევე, პრივატიზა-
ციის ასპექტში, Martin Burgi, კრებულში, პრივატიზაცია; Hanno Kube,
სამართლის ფუძემდებლური მოსაზრებები; FS Paul Kirchhof, წიგნი. I,
Heidelberg 2013, § 108 RN 11, 14 (S. 1181 [1187 f.]).

ური საკითხის, Compliance – სისტემაში ლოიალურობის ვალდებულების შინაარსის დაკონკრეტება კორუფციის პრევენციის ან საჯარო დავალებების დანაწილების ფორმირების თვალსაზრისით. უპირველეს ყოვლისა, ბევრი გაკეთდა სამსახურებრივი, დისციპლინურ-სამართლებრივი ვალდებულებების დარღვევის დეფინირების კუთხით: სახელმწიფომ როგორც ფედერაციაში ზოგადად, ისე ცალკეულ მინებში კორუფციის დაძლევისა და მისი პრევენციის შესახებ მეტ-ნაკლებად ერთნაირი წესები დაადგინა.

ამის მიღმა, Compliance-ის პრინციპებმა შეიძლება განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინოს იმ საჯარო მოხელეებისათვის, რომლებიც კერძო სამართლის იურიდიულ პირებში – მცირე თუ დიდი ხნით – არიან დასაქმებულები და ლოიალურობის ორმაგი ვალდებულების გამო (ერთი მხრივ სახელმწიფოსადმი და, მეორე მხრივ, კონკურენციის ფარგლებში მოვაჭრე საწარმოსადმი) ახალი კონფლიქტებისა და დაძაბულობის ატანა უნევთ იმ კითხვაზე პასუხის გასაცემად, რა განვითარება შეიძლება ჰპოვოს ამ გარემოში სამოხელეო სამართლებრივმა ვალდებულებებმა (მაგ., სწორი ინფორმაციის გაცემის ვალდებულება) საწარმოს ინტერესების დაცვაზე ორიენტირებული საქმიანობისა და არსებული ურთიერთობიდან გამომდინარე სახელმწიფოს წინაშე ვალდებულებების ურთიერთმიმართების კუთხით. ყოველ შემთხვევაში, თანამედროვე საჯარო სამსახურში არსებობს ისეთი მოთხოვნები, რომლებისთვისაც აუცილებელია ახალი, საჯარო-სამართლებრივი პასუხების მოძიება და რომლებისთვისაც, როგორც სჩანს, Compliance მიმართულების მიმანიშნებელია. აღსანიშნავია, რომ გერმანიაში, გარკვეული დროა მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა საჯარო დაკვეთის შესრულების როგორც საჯარო, ისე კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან მიმართებით (Public) Compliance Management-ის სისტემის დანერგვის მიზნით, რათა მიიღწეს განგრძობადი და გარე პროცესებზე ორიენტირებული წესების თავსებადობა, ინტეგრირებულობა და სერიოზულობა.

D. დასკვნა

მთლიანობაში, სამოხელეო სამართლის ყველა გამოცალკეებები მოსაზრების შედარებითი განხილვა ნიშნავს მხოლოდ ფარგლებში მოქცეული პერსპექტივების შეზღუდვას. საჯარო და, განსაკუთრებით, სამოხელეო სამართლის შინაარსის განსხვავებული ელემენტები ამ ნაშრომის ფარგლებში წინასწარ დასახულ მიზანს ემსახურება: რა დონეზე უახლოვდება ისინი დამოუკიდებელი სამოხელეო საქმის საპირისპიროდ, სამართლებრივი სახელმწიფოს იდეით გამყარებულ და, შესაბამისად, განსაკუთრებით პოლიტიზირებულ მომსახურების განხილვის მზადყოფნას. დანარჩენ შემთხვევებში, სამართლებრივი სახელმწიფოს ვალდებულებას, სამოხელეო სამართლებრივი თვალზასრისით, ორი განსხვავებული პერსპექტივა გააჩნია: ის ემსახურება სახელმწიფო მოხელეთა დაცვას მათ მიერ მათზე კანონით ან კანონის კონკრეტული მითითებით მინიჭებული ამოცანებისა და უფლებების განხორციელების პროცესში. მაგრამ, სამართლებრივი სახელმწიფოს ვალდებულება ასევე არის საჯარო სამართლებრივი ვალდებულებების შემადგენელი ძირითადი ელემენტი; სამართლებრივი სახელმწიფოს განხორციელება, არის საჯარო მოსამართლეთა ვალდებულება. სამართლებრივ დამოუკიდებლობას – რომელიც არ წარმოადგენს ამ ნაშრომის ძირითად თემას, მაგრამ ყოველთვის გასათვალისწინებელ ფაქტორია – სტაბილური საფუძველი გამოკვეთილ ნორმატიულ ფორმულირებაში გააჩნია.

სამოხელეო სამართლის ზოგიერთი გამოწვევა – სრულყოფილებაზე პრეტენზიის გარეშე – უფრო დეტალურად იქნა განხილული: ერთგულების ვალდებულება, მიუკერძოებლობა, სტატუსის – ჩარჩოების მასტაბილიზირებელი პირობები, კარიერული წინსვლის პრინციპი და წარმატების მიღწევის სურვილი – მეტწილად ხელოვნურად კონსტრუირებული სამსახურებრივ ეთიკასა და ერთგულებაზე დაფუძნებული ურთიერთობები – როგორც კეთილდღეობის პრინციპის შემადგენელი ნაწილები. მოხდა სამსახურებრივი ურთიერთობების დამყოფი – სტაბილურობის

მიმნიჭებელი, პერსპექტივის გამხსნელი და მაკვალიფიცირებელი – აქტუალური ელემენტების გამოყოფა: სხვა თანამდებობაზე გადაყვანა (მათ შორის დელეგირება), ადმინისტრაციული ორგანოს რეორგანიზაციის სამოხელეო სამართლებრივი შედეგები, განსაკუთრებით, პრივატიზაციის შედეგები. ასევე, იქნა განხილული – გარკვეული თვალსაზრისით სისტემისათვის უცხო – ნახევარ განაკვეთზე მუშაობის, დამატებითი სამუშაო ადგილის შეზღუდვის დაბოლოს, სახელმწიფო მოხელეებისათვის გაფიცვის აკრძალვის ასპექტები. კიდევ ერთ საკითხს წარმოადგენს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა: ამ შემთხვევაში, სამართლებრივი სახელმწიფო „მისივე“ ორგანოების მეშვეობით თავს იცავს მოხელეთა მიერ უპირატესობის მიღების ან ქრთამის აღების გამომწვევი როგორც სიტუაციური, ისე სტრუქტურული გამომწვევებისაგან. დაბოლოს, “Compliance” შესაძლებლობას გვაძლევს ერთიან სპექტრში დავინახოთ სამართლებრივი გამომწვევები და კავშირები, რომლებსაც გვერდს ვერ ავუქცევთ თუნდაც მივმართოთ სტრუქტურირების კერძო-სამართლებრივ და, შესაბამისად, საზოგადოებრივ-სამართლებრივ ფორმებსაც კი.

Christian Koch

*Professor der Deutschen Universität für
Verwaltungswissenschaften Speyer*

Rechtsstaatliche Grundlagen des Öffentlichen Dienstes

A. Einleitung

Es gilt auch in diesem Beitrag¹, „die bisherigen Erfahrungen mit der Reform der öffentlichen Verwaltung in Georgien, aber auch in Armenien und Aserbaidschan analysieren und bewerten und Entwicklungstendenzen sichtbar machen“ zu können, fokussiert auf die „Frage, welche Rolle die öffentliche Verwaltung für die effektive Entwicklung von Demokratie und Rechtsstaatlichkeit spielt“, werde doch die öffentliche Verwaltung Georgiens im Verlauf des bisherigen Reformprozesses „als ein gegenüber dem demokratischen System weitgehend abgegrenzter Bereich wahrgenommen“. Gegen „Rationalisierung, Ökonomisierung, Effizienz, Leistungsfähigkeit und ‚Effektivität‘“ als üblicherweise vorherrschenden Reformzielen sollen nun „die rechtlichen Rahmenbedingungen öffentlichen Verwaltens, die demokratische Legitimation und nicht zuletzt auch das demokratische Selbstverständnis der Verwaltung“ in den Vordergrund des Interesses gerückt werden.

Jede vergleichende Betrachtungsweise hat ihre Vor- und Nachteile, ihre Grenzen: Bleibt es bei einer kontextbezogenen Sicht oder lassen sich Betrachtungen zum öffentlichen Dienst universell anlegen? Welche Rolle spielt mittlerweile eine in vielen Staaten spürbare Tendenz zur

¹ Beitrag zur Regionalen Konferenz: Transformation der Öffentliche Verwaltung im Südkaukasus: Bilanz und Perspektiven, am 16. und 17. September 2013 an der Staatlichen Universität Tiflis.

„Rebürokratisierung“? Gibt etwa diese dem öffentlichen Dienst Funktion und Bedeutung, ja ‚Wesen‘ zurück oder handelt es sich doch nur wieder um den Ausdruck einer politisch verursachten und selbstverschuldeten Lähmung und vorweg eilender Selbstdisziplinierung im Denken und Handeln? Dem Ideal des Berufsbeamtentums wird man aus der Sicht jeder Vergleichs-Rechtsordnung eher in der Distanzmessung gerecht werden können.

Und im Kontext wiedergewonnener republikanischer Kontur, die es zu erhalten und auszubauen gilt, kommt ein „Tapferkeitsmoment“ (Giorgi Khobua) zum Tragen, insbesondere mit Blick auf Unabhängigkeit und Gestaltungsauftrag der Richterschaft, aber eben auch für die Beamtenschaft und den öffentlichen Dienst insgesamt. Weitere Aspekte einer modernisierten Verwaltung treten hinzu; auch hier ruhen erweiterte Erwartungen auf dem öffentlichen Dienst, mit Blick auf die Kunden-/Nachfrageorientierung, auf dezentralisierte Budgetverantwortung, auf die Ausgestaltung der Verantwortungsteilung von Staat und Zivilgesellschaft, auch mit Blick auf Korruptionsprävention, um nur einige Beispiele zu nennen.

I. Der öffentliche Dienst in Deutschland in einer Vergleichsperspektive

Im Folgenden soll der öffentliche Dienst und insbesondere (nach deutscher Vorstellung) das Beamtentum als personale Sicherung des Rechts und als Interpret des Rechtsstaatsprinzips in eine eher behutsame Vergleichsperspektive gebracht werden.

Die Berufsbeamten unter Einschluß der Berufsrichter gelten als Garanten für Legalität, Stabilität und Neutralität von Verwaltung und Justiz, übrigens aber auch für die Funktionsfähigkeit des Parlamentarischen Systems. Die Bindung des Beamten (und des Richters) an Gesetz und Recht bildet das Kernelement des Rechts- und Verfassungsstaats; der durch Recht und Gesetz gebundene Beamte (und Richter) macht die Grundanliegen des Rechtsstaats sichtbar, erfahrbar und durchsetzbar (vollstreckbar). Die „rechtsstaatliche Nomokratie“¹ bedürfe „institutioneller und organisato-

¹ Detlef Merten, Berufsfreiheit des Beamten und Berufsbeamtentum, in: ders./

rischer Sicherungen für eine effektive Verfassungsrealisierung und einen wirksamen Rechtsschutz“¹; hier geht es darum, die „Gesetzmäßigkeit in der Anwendungsrealität“ sicherzustellen².

II. Rechtsstaatliche Grundsätze

Die folgenden Elemente der Rechtsstaatlichkeit³ dürfen auch im Vergleich der Rechtsordnungen im Grunde als gemeinsame Verfassungssubstanz gelten: die Bindung der Gesetzgebung an die parlamentarische Ordnung; die Bindung der vollziehenden Gewalt an Gesetz und Recht, insbesondere durch den Vorrang und den Vorbehalt des Gesetzes (bei Eingriffen in Freiheit und Eigentum); der Grundsatz der Gewaltenteilung⁴ – insbesondere auch die Sicherung der Eigenständigkeit der Verwaltung; die Garantie wirksamen Rechtsschutzes durch unabhängige Gerichte – aber prozedural und prozessual ausgewogen, nicht in einer schlichten „Maximierung“ gerichtlicher Kontrolle.

ამდენად, გადამზადების პროცესის შეფასებასა და აღქმაზე ყველაზე დიდი ზეგავლენა აქვს პედაგოგების შემადგენლობის კვალიფიკაციასა და მასალის/თემათა შესაბამისობას სამსახურებრივ, პროფესიულსა და თანამდებობრივ მოთხოვნებთან.

ყველაზე ხშირად უარყოფითი შეფასება ეძლეოდა (28%) აუდიტორიების არაადეკვატურობას და სასწავლო პროცესისათვის შეუფერებლობას, სამივლინებო და სხვა სახის ხარჯების (სრულად ან ნაწილობრივად) აუნაზღაურებლობას და პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობის არაადეკვატურ კვალიფიკაციას (თითოეული კრიტერიუმის შემთხვევაში 14%).

რაც შეეხება მასწავლებლებს, საჯარო მოსამსახურეები დიდ ყურადღებას უთმობენ მასწავლებლების კომპეტენტურობას, გამოცდილებასა და პროფესიონალიზმს. ამდენად, რესპონდენტების 85.2% აღნიშნავს, რომ მასწავლებლის მიერ დაკავებულ თანამდებობრივ ხარისხს არ უნდა მიენიჭოს მთავარი როლი. საჯარო მოსამსახურეთაგან 7.4.% თვლის, რომ მასწავლებელი თანამდებობით პროფესორი და 5.8% კი – სულ მცირე, დოცენტი უნდა იყოს.

მსგავსი სურათია მასწავლებელთა სამეცნიერო ხარისხთან მიმართებაშიც, მაგრამ რესპონდენტების 79.7% თვლის, რომ ეს არ არის მნიშვნელოვანი ფაქტორი.

საინტერესოა საჯარო მოსამსახურეთა მხრიდან იმ სფეროს შეფასება, სადაც თვითონ გადამზადების პროგრამის მასწავლებელი მუშაობს. აღმოჩნდა, რომ ამ ფაქტს რესპონდენტების მხოლოდ 24.6% არ აქცევს ყურადღებას. რესპონდენტების გამოკითხვისას შესაძლებელი იყო ერთი პასუხის შერჩევა ორი ვარიანტიდან. შედეგად 61 გამოკითხულიდან 2% მასწავლებლის გამოყენებით/პრაქტიკულ ჩვევებს აფასებს სათანადოდ, 25.8% – მის თეორიულ ცოდნას, და 6.8% კი იმ ფაქტს, რომ პედაგოგი თვითონ არის საჯარო მოსამსახურე.

საჯარო მოსამსახურეთა გამოკითხვით, მეცადინეობის ფორმას გადამზადების მეორე პროგრამის ფარგლებში ლექცია წარმოადგენდა (თუმცა ზოგიერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ ჩატარდა სემინარებიც, პრაქტიკული სამუშაოები და გამოყენებულ იქნა ზოგიერთი ინტერაქციის მეთოდიც). რესპონდენტებს ერჩიათ დისკუსიები მრგვალ მაგიდასთან, ლექციებსა და პრაქტიკულ საქმეს ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებდნენ.

აღნიშნულის გარდა, გამოკითხვა საჯარო მოსამსახურეთა აზრი გადამზადების სიხშირისა და ხანგრძლივობის თვალსაზრისით. ქვემოთ მოცემული ცხრილები ასახავენ ამ კითხვებზე პასუხებს.

ცხრილი 5

საჯარო მოსამსახურეთა აზრი სასწავლო პროგრამების
ოპტიმალური სიხშირის შესახებ

სასწავლო პროგრამების ოპტიმალური სიხშირე	%
წელიწადში ერთხელ	40.0
ორ წელიწადში ერთხელ	14.5
სამ წელიწადში ერთხელ	28.9
უფრო იშვიათად ვიდრე სამ წელიწადში ერთხელ	11.4
წელიწადში 2-ჯერ	2.8
საჭიროების მიხედვით	1.8
ვერ გასცეს კითხვას პასუხი	0.6

გამოკითხვის ფარგლებში შევეცადეთ გაგვერკვია, თუ როგორ უყურებენ თვითონ საჯარო მოსამსახურეები სავალდებულო გადამზადების იდეას. რესპონდენტების საერთო რიცხვიდან 78.5% დადებითად არის განწყობილი სავალდებულო გადამზადების იდეისადმი, 20.3% – უარყოფითად და 1.2%-მა ვერ შეძლო ამ კითხვაზე პასუხის გაცემა.

ნიშანდობლივია, რომ საჯარო მოსამსახურეთა დამოკიდებულება გადამზადების მეორე ეტაპისადმი რალაცა დოზით დამოკიდებულია პირველი გადამზადების დონის მიმართ მათი კმაყოფილება-უკმაყოფილების ხარისხზე.

ცხრილი 6

საჯარო მოსამსახურეთა გადამზადების პირველი პროგრამით
კმაყოფილების ხარისხი

სასწავლო პროგრამით საერთო კმაყოფილების ხარისხი	დამოკიდებულება სწავლების სავალდებულო ხასიათისადმი		
	დადებითი	უარყოფითი	მიჭირს პასუხის გაცემა
სავსებით კმაყოფილი	89.7%	10.3%	
საერთო ჯამში კმაყოფილი	78.5%	19.9%	1.6%
საერთო ჯამში უკმაყოფილო	73.6%	24.5%	1.9%
საერთოდ უკმაყოფილო	40.0%	60.0%	
სულ	78.5%	20.3%	1.2%

ცხრილიდან ჩანს, რომ რაც უფრო მაღალია პირველი გადამზადებით კმაყოფილების ხარისხი, მით მეტია პროცენტებში გამოხატული იმ პირთა რიცხვი, რომლებიც დადებითად აფასებენ სავალდებულო გადამზადებას.

ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორს, რომლებიც განაპირობებენ გადამზადების ეფექტიანობას, თემატიკის სწორი შერჩევა წარმოადგენს. ამიტომ შევეცადეთ გამოგვეყო თემები, რომლებიც, საჯარო მოსამსახურეთა აზრით, მნიშვნელოვანია მათთვის; ასევე დავადგინეთ, თუ რა თემების ჩართვას ისურვებდნენ ისინი გადამზადების პროგრამაში. ჩვენ ასევე შევეცადეთ დაგვედგინა, როგორ ფასდება იმ თემების დროში გადანაწილება, რომლებიც უკვე ჩართულია გადამზადების პროგრამაში. ანალიზის განხორციელების მიზნით ყველა აღნიშნული თემა დაჯგუფდა შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- კანონი საჯარო სამსახურის შესახებ და შესწორებები მასში;
- ამ სფეროს მიკუთვნებული საკანონმდებლო ველი და საკანონმდებლო შესწორებები/ცვლილებები;
- ვინრო-სპეციალური ცოდნა;
- სხვადასხვა.

ცხრილი 7

საჯარო მოსამსახურეთა აზრი პერიოდზე,
რომელიც განკუთვნილია თემების განხილვისათვის

დროის მონაკვეთი, გამოყოფილი თემის განსახილველად, არ არის საკმარისი და უნდა გაიზარდოს	პროცენტები
გათვალისწინებული დრო საკმარისია, არ არის აუცილებელი მისი გაზრდა	20%
კანონი საჯარო სამსახურის შესახებ და შესწორებები მასში	33%
სპეციალური ცოდნა	27%
მმართველობითი უნარები/ჩვევები	19%
ზოგადი/საერთო ცოდნა	18%
საერთო საკანონმდებლო ბაზა და შესაბამისი შესწორებები	17%
შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა და შესაბამისი შესწორებები	6%
ფართო პროფესიული ცოდნა	4%
შესაბამისი საერთაშორისო გამოცდილება და თანამედროვე ტექნოლოგიები	2%
სხვადასხვა	5%
გაუჭირდათ პასუხის გაცემა	2%

აშკარაა, რომ საჯარო მოსამსახურეთა მნიშვნელოვან ნაწილს სურს, რომ მეტი დრო ეთმობოდეს საჯარო სამსახურის შესახებ კანონისა და მასში ცვლილებების განხილვას (33%), მეორე რიგში კი ვინრო-სპეციალურ ცოდნას (27%), შემდეგ კი უპირატესობები ასე ნაწილდება: მმართველობითი უნარები (19%), ცოდნა ზოგადი განვითარებისათვის (18%) და ინფორმაცია საკანონმდებლო ბაზისა და მასში ცვლილებების შესახებ (17%).

კითხვაზე, თუ რა სახის ცოდნის გაღრმავებას ისურვებდნენ მოსამსახურეები, 36 მათგანმა (6%) მიუთითა ენებზე, 33-მა (2%) – ტექნიკური საშუალებებით სარგებლობის შესაძლებლობათა გაუმჯობესებაზე, 32-მა (9%) – ზოგადი კანონმდებლობის ცოდნის გაღრმავებაზე, 27-მა (7%) გარკვეული სფეროს შესახებ ზოგადი ცოდნის მიღებაზე, 27-მა (1%) – კონკრეტული საკანონმდებლო აქტების ცოდნაზე.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს, რომელიც ხელს უშლის სრ-ში მთელი რიგი სახელმწიფო ორგანოების ეფექტურ საქმიანობას, წარმოადგენს პროფესიონალი კადრების ნაკლებობა. ბოლო პერიოდში შეინიშნება მუშაკების მნიშვნელოვანი გადინება კერძო სექტორში, რაც ამ სექტორში მაღალი ხელფასებით აიხსნება. ამდენად, სახელმწიფო სექტორის, კერძოდ საჯარო სამსახურის, განვითარების ტემპის ზრდას ხელს უშლის დაბალი ხელფასები სპეციალისტებისათვის.

გადამზადების დადებით შედეგად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ მოსამსახურეთა გარკვეული ნაწილი იწყებს თავისი შრომითი საქმიანობის პროცესში ინიციატივების გამოჩენას, საქმეს შემოქმედებითად უდგება, იჩენს წიგნიერობას საჯარო სამსახურის სფეროში, ასევე ისწრაფვის თვითგანათლებისაკენ. თუმცა მოსამსახურეთა საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ კიდევ გაურბის პასუხისმგებლობას მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე ან კონფლიქტების გადაწყვეტისას, ვინაიდან არ ფლობენ შესაბამის უნარ-ჩვევებს. კვლევის შედეგების მიხედვით, ჯერ კიდევ იგრძნობა აუცილებლობა გამყარდეს ზოგიერთი უნარ-ჩვევები, კერძოდ:

- გადაწყვეტილების მიღება;

- ლიდერობისა და გუნდის ფორმირების უნარი;
- მოლაპარაკებების წარმოების უნარები;
- დროის ფაქტორის მართვა;
- კონფლიქტების გადაწყვეტა;
- პიროვნებათაშორისი ურთიერთობები;
- მოტივაცია;
- დელეგირება.

ჯგუფების არასწორ ფორმირებაზე მეტყველებს ის გარემოება, რომ მასწავლებელთა აზრით აუდიტორია ხშირად არაერთგვაროვანია; შემოთავაზებული თემა ხშირად უინტერესოა აუდიტორიის ერთი ნაწილისათვის, ვინაიდან იგი არ ემსახურება მათი ფუნქციის ეფექტიანობის ამაღლებას.

უნწყების აპარატის ზოგიერთი ხელმძღვანელი ვერ არის თანამიმდევრული თავისი თანამშრომლების ინფორმირებაში შემოსულ პროგრამებთან დაკავშირებით. ამიტომ, პრობლემის გაჩენის მიზეზად ჯგუფების არასწორედ ფორმირებისას სახელდება პროგრამების/მოდულების დაგვიანებით გადაგზავნა ადრესატისათვის ან აპარატის ხელმძღვანელის არათანამიმდევრულობა ამ პროცესების მართვისას. შედეგი ის არის, რომ ბევრ შემთხვევაში ყალიბდება არასათანადო ჯგუფები, რაც გადამზადების ეფექტიანობას ამცირებს.

ამ პრობლემის გადაჭრის მიზნით რეკომენდებულია, დაერთოს გადამზადების პროგრამას ინსტრუქციები, რომლებიც გადაეგზავნება სათანადო უწყებას, რაც მოცემულ პირებს დაავალდებულებს, რომ ინფორმაცია მიაწოდონ თითოეულ საჯარო მოსამსახურეს პროგრამის/თემების დეტალების შესახებ, რაც, თავის მხრივ, გაუადვილებს საჯარო მოსამსახურეს თემის შერჩევას მისი საჭიროებების გათვალისწინებით.

ამ თვალსაზრისით ექსპერტები ასეთ რეკომენდაციებს იძლევიან:

- მოხდეს ჯგუფების ფორმირება იმ ფუნქციების მიხედვით, რომლებიც გათვალისწინებულია სახელმწიფო მოსამსახურეთა ფუნქციების თანამდებობრივ პაკეტში;

- საიდუმლო სამსახურების წარმომადგენელთა მომზადება ერთობლივად უნდა ხდებოდეს;
- სპეციალისტების სათანადო ჯგუფებში გადანაწილებამდე აუცილებლად უნდა შეფასდეს საჭიროებები; ამისათვის აუცილებელია, რომ სახელმწიფო სამსახურის საბჭომ გადასცეს შესაბამის ორგანოს შემდეგი ინფორმაცია:
 - პროგრამები/მოდულები;
 - თემა (შეძლებისდაგვარად დეტალიზებული);
 - ადგილი;
 - დრო;
 - პოტენციურ ტრენერთა სია.

ზემოთქმულის დაჯამებისას მივიღვართ დასკვნამდე, რომ ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყოველი საჯარო მოსამსახურისათვის, რის საფუძველზეც ისინი შეძლებენ აირჩიონ მათთვის საინტერესო და მათი საჭიროებების შესატყვისი თემა. ყოველივეს ეფექტურობა კიდევ უფრო გაიზრდება, თუ გამოყენებული იქნება ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებები.

შემოთავაზებული წინადადებების რეალიზაციისათვის აუცილებელია დამყარდეს მჭიდრო სამმხრივი თანამშრომლობა სამოქალაქო სამსახურის საბჭოს, იმ კონკრეტულ უწყებასა და სუბიექტს შორის, რომლებიც ახორციელებენ გადამზადებას (სასწავლო დანესებულება ან კონკრეტული ორგანო). სასურველი შედეგების მისაღწევად აუცილებელია პერიოდულად მოეწიოს მონაწილე მხარეთა შეხვედრები ან განხილვები მრგვალ მაგიდასთან. გადამზადების ყოველი ეტაპის შემდეგ მხარეებს შეუძლიათ წამოაყენონ კონკრეტული წინადადებები თემების განმარტებებისა და სხვა რიგ საკითხებთან დაკავშირებით.

გადამზადების დროს ფინანსების უკმარისობასთან დაკავშირებული სხვა ორგანიზაციული პრობლემებიც იჩენენ ხოლმე თავს, რაზედაც მითითებული იყო აგრეთვე ექსპერტთა გამოკითხვებისას. პრიორიტეტული ამოცანის სახით სახელდება აუდიტორიების აღჭურვილობა. საქმე იმაშია, რომ სტრუქტურული აუდიტორიები თავისი აღჭურვილობითა და მონყობილობით ვერ პა-

სუხოზენ საჯარო მოსამსახურეთა მოთხოვნებს, როცა საქმე ეხება მრგვალ მაგიდასა და მოხერხებულ სკამებს. ძალზე საგრძნობი იყო ტექნიკური საშუალებების არარსებობა (პროექტორები, ზოგ შემთხვევაში ტელევიზორი, მაგნიტოფონი). ტექნიკური პრობლემების რიცხვში ყველაზე ხშირად აღინიშნებოდა აუდიტორიებში დამონტაჟებულ კომპიუტერებში გარკვეული სახის პროგრამების არარსებობა. ორგანიზატორებისა და პედაგოგების მიერ დასახელებული პრობლემა ლიტერატურაზე ხელმისაწვდომობის შესახებ ასევე დაკავშირებულია მატერიალურ ხარჯებთან. აღმოჩნდა, რომ დამატებითი ლიტერატურა ან მასალები ეძლეოდათ მსმენელებს მასწავლებელთა ინიციატივით და ბევრ შემთხვევაში საჯარო მოსამსახურეთა ხარჯზე. პრობლემას წარმოადგენს აგრეთვე მოკლე შესვენებების ორგანიზების შესაძლებლობის არარსებობა. ისეთ შემთხვევებში, როცა გადამზადების პროგრამა ხორციელდება უმაღლეს სასწავლებელში, ხდება მეცადინეობის საათების შეთანხმება უმაღლესი სასწავლებლის მეცადინეობის ცხრილთან (ერთი სასწავლო კურსის ხანგრძლივობა შეადგენს 80 საათს, შესვენება 10-15 წუთი), რაც ზღუდავს საჯარო მოსამსახურეებისათვის მეცადინეობებს შორის მოკლე შესვენებების ეფექტური ორგანიზაციის შესაძლებლობას. მრავალი რესპონდენტის აზრით, ფინანსურ ხარჯებში აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს სულ მცირე ყავის შესვენებების ორგანიზება. უფრო სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს სომხეთის რაიონებიდან ჩამოსული საჯარო მოსამსახურეებისათვის სათანადო პირობების არარსებობა. კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ საჯარო მოსამსახურეებისათვის, რომლებიც რაიონულ სტრუქტურებში მუშაობენ, ღამის გასათევის საკითხის გადაჭრა ურთულეს პრობლემას ქმნის, ამასთან, ეს ხარჯები არ არის გათვალისწინებული სამივლინებო ხარჯებში. მეტიც, თუ რაიონული ადმინისტრაციის თანამშრომლებს ეძლევათ მინიმალური ოდენობის სამივლინებო თანხები, რაიონული სტრუქტურების თანამშრომლებს საერთოდ არავითარი სამივლინებო ფული არ ეძლევათ, რაც შედეგად იმას იწვევს, რომ საჯარო მოსამსახურეებს ეკარგებათ მოტივაცია, გა-

იარონ გადამზადების კურსები.

ექსპერტების აზრით, მონვეულ უნდა იქნენ პედაგოგები როგორც სახელმწიფო მმართველობის სფეროდან, ასევე სამეცნიერო-საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან. ამასთან, სხვადასხვა დონის პედაგოგები უნდა იქნენ გათვალისწინებული სხვადასხვა თანამდებობრივი კატეგორიებისათვის. მთავარი და უმაღლესი ჩინოვნიკების პედაგოგები უნდა იყვნენ მაღალი თანამდებობის ჩინოვნიკები – მინისტრები, მათი მოადგილეები და/ან მოცემული სფეროს ძალზე კომპეტენტური პირები, რომელთაც შესწევთ უნარი, გადამწყვიტონ კონკრეტული ამოცანები და განიხილონ სამუშაო პრობლემები და მტკივნეული საკითხები. ზოგადად, მასწავლებელში ფასდება ხარისხობრივი მახასიათებლები, ცოდნა, პრაქტიკული გამოცდილება და სახელმწიფოებრივი აზროვნება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სომხეთის რესპუბლიკის კანონი საჯარო სამსახურის შესახებ, 2001.
2. მოხსენება თემაზე „საჯარო სამსახურის მართვის სისტემის განმტკიცების საკითხისათვის“, სრ-ის საჯარო სამსახურის საბჭო, 2007.
3. ხეჩოიანი ტ.ბ. სრ-ში სახელმწიფო მოსამსახურეთა მომზადების საკითხები, ეკონომიკის, სტატისტიკისა და ინფორმატიკის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტისა (МЭСИ, ასტრახანის ფილიალი) და მსოფლიო ეკონომიკისა და ფინანსების ინსტიტუტის (ИМЭФ) საერთაშორისო უნივერსიტეტაშორისი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები, „ახალგაზრდობა და განათლება 2010: კარიერული ინსვლის ფაქტორები და სტრატეგიები“, ასტრახანი, 2011.
4. „რა არის საჯარო სამსახური?“ გზამკვლევი (კითხვები და პასუხები), ერევანი, გამოცემლობა „გოსუდარსტვენაია სლუჟბა“, 2004.

სანდრა ბუდი

*ქალაქ ჰამბურგის სწავლებისა
და კვალიფიკაციის ამალღების ცენტრი*

პროფესიონალიზაცია – პრაქტიკული მოსაზრებები ჰამბურგიდან

სახელმწიფო, სუვერენული სამართლის თანახმად, გარკვეული ფუნქციების შესრულებაზე პასუხისმგებელი, მაგალითად ისეთი დოკუმენტების გაცემაზე, როგორცაა, პასპორტი, დაბადებისა და რეგისტრაციის დამადასტურებელი მოწმობები. ამას გარდა, მხოლოდ იგი ანხორციელებს სუვერენულ ფუნქციებს ისეთ სფეროში, როგორცაა შიდა უსაფრთხოება. ამ მხრივ მოქალაქეებს სხვა არჩევანი არ გააჩნიათ, მათ უნდა მიმართონ კვაზი მონოპოლისტ სახელმწიფოს.

მაშინ რატომ არის საერთოდ საჭირო საჯარო სამსახურის პროფესიონალიზაცია? თავისუფალ ჰანზის ქალაქ ჰამბურგში საჯარო სამსახურს იმის ამბიცია გააჩნია, რომ იყოს თავისი მოქალაქეებისათვის თანამედროვე ტიპის მომსახურების განმაცხორციელებელი. ეს კი გულისხმობს კარგად მომზადებულ და კლიენტებზე ორიენტირებულ მომსახურებას. სამუშაო ხშირად რთულია და IT-ტექნოლოგიების გამოყენებას საჭიროებს. ამ პროცესებს მუშაკები უნდა ფლობდნენ, რათა შეძლონ მათი წარმატებით გამოყენება. „უნყვეტად სწავლის“ პრინციპი, მაშინ, როცა სამუშაო პროცესები მუდმივად იცვლება, მნიშვნელოვან როლს ასრულებს, ვინაიდან დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს თანამედროვე მოთხოვნები.

მაღალპროფესიული და კლიენტებზე ორიენტირებული საჯარო სამსახური ხელს უწყობს ქალაქის მიმზიდველობის ზრდას. ეს კი ძალზე მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებისას, როცა ქალაქებს შორის კონკურენცია იზრდება. იმისათვის, რომ მომავალ-

ში უზრუნველყოფილ იქნეს საჯარო სამსახურის მაღალი ხარისხი, მუდმივად უნდა ხდებოდეს კარგი მუშაკების მოზიდვა. დემოგრაფიული თვალსაზრისით, გერმანიაში კონკურსი კარგი პერსონალის მოსაზიდად იზრდება. ამჟამად მუშაკთა საშუალო ასაკი ქალაქ ჰამბურგში საშუალოდ 50 წელია. ეს კი ნიშნავს, რომ 15-20 წლის შემდეგ ამჟამად არსებულ მოსამსახურეთა დიდი ნაწილი პენსიაზე გავა.

2005 წელს ჰამბურგში, განათლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრთან (შემდგომში: ZAF) ერთად, დაარსდა ცენტალური სტრუქტურა, რომელიც დარწმუნებულია, რომ უფრო მაღალი პროფესიონალიზაცია შეიძლება მიღწეულ იქნეს განათლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სფეროების ცენტრალიზაციის გზით.

ZAF-ს ორი მიმართულება გააჩნია, როგორც ეს მისი სახელწოდებიდანაც ჩანს: განათლება და კვალიფიკაციის ამაღლება. 2008 წლიდან მოყოლებული ეს ორივე სფერო ერთ შენობაშია განთავსებული. გამოყოფილ იქნა ერთი თანამედროვე შენობა, რომელშიც არის ოთახები კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებებისა და ადმინისტრაციის სკოლისათვის, ასევე ოფისები განათლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სფეროების მუშაკებისათვის.

განათლება

განათლების სფერო ხელმძღვანელობს ახალგაზრდა კადრების ჰამბურგის ადმინისტრაციისათვის მომზადების პროცესებს. ამაში შედის საჭიროების დაგეგმვა, სასწავლო კურსებისა და ვარგისიანობის ტესტირების მარკეტინგი. ვარგისიანობის „დიაგნოსტიკა“ ხორციელდება სამსაფეხურიანი შერჩევის პროცედურის (განაცხადი, წერილობითი ტესტი უნარების დასადგენად და ინტერვიუ) სახით. ზოგადი ადმინისტრაციის სფეროში ყოველწლიურად საქმდება დაახლოებით 100 ახალგაზრდა კადრი. მათგან ნახევარზე მეტი იღებს ორმაგ განათლებას, რომლის თეორიული ნაწილი ადმინისტრაციულ სკოლაში, ცენტრალურ ოფისში, ტარდება. აქ ხდება ორი სასწავლო კურსის შეთავაზება: ორნახევარწლიანი კურსი ადმინისტრაციის პერსონალისა და ორწლიანი კურსი მთავრობის

მდივნების მოსამზადებლად. განათლებისამ ორივე კურსის წინაპირობაა საშუალო სიმნიფის ატესტატი. განათლების ეს ორივე კურსი ამზადებს კადრებს საშუალო საფეხურის ადმინისტრაციული სამსახურისათვის.

მეორე ნახევარი გამწესდება სამწლიანი საბაკალავრო პროგრამისათვის საჯარო მართვის/მენეჯმენტის სფეროში, გამოყენებითი მეცნიერებების უმაღლესი სკოლის ბაზაზე. ამ უმაღლეს სპეციალურ სასწავლო დაწესებულებაში სწავლისათვის წინაპირობას აბიტური, ანუ გიმნაზიის დამთავრების დამადასტურებელი ატესტატი წარმოადგენს. სწავლის წარმატებით დამთავრების შემდეგ ახალგაზრდა კადრები დასაქმდებიან მთავრობის მდივნის თანამდებობაზე და განეკუთვნებიან სამსახურის უფრო მაღალ კატეგორიას.

განათლების ამ ორივე კურსისათვის ახალგაზრდა კადრების მოზიდვისას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ეძლევა E-Recruiting-ს, ვინაიდან მიზნობრივი ჯგუფი ქსელზე ძალზე დამოკიდებულია¹. კერძოდ ამ კონტექსტში დასახელებულ უნდა იქნას Oneline-Self-Assesement Center „C!You“². აქ ახალგაზრდებს შეუძლიათ გაეცნონ ადმინისტრაციის ტიპურ სფეროებს და ტესტური დავალებების მეშვეობით, რომლებიც იქაურ ყოველდღიურობას ასახავენ, გადაწყვიტონ, არის თუ არა ეს ის საქმიანობა, რომელსაც ისინი მომავალში სიამოვნებით განახორციელებდნენ. ეს ტესტი დაჯილდოვდა European Public Sector Award-ისა და გერმანიის სახელმწიფო მოხელეთა კავშირის ნომინაციით ინოვაციის გამო. ახალგაზრდა კადრების მოზიდვის საქმეში დიდი წვლილი შეაქვთ აგრეთვე მოსამზადებელი კურსების მსმენელთა მოხსენებებს საკუთარი გამოცდილების შესახებ, რომლებსაც ისინი ინტერნეტ-ქსელში ათავსებენ³. ამას გარდა, განათლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრი საგანმანათლებლო გამოფენებისა და სკოლებში საინფორმაციო ღონისძიებების ფარგლებში აცნობს

¹ იხ. <http://www.hamburg.de/ausbildung-verwaltung>

² იხ. <http://www.cyou-startlearning.hamburg.de/zaf/index.php>

³ <http://www.hamburg.de/bist-du-dabei/1910030/kurzportraits-im-ueberblick.html>

ხოლმე დაინტერესებულ პირებს ამ კუთხით განათლების მიღების შესაძლებლობებს.

ჰამბურგი ინტერნაციონალური ქალაქია. მოსახლეობის დაახლოებით 30% მიგრანტები და მათი შვილებია¹. იმისათვის, რომ ამ მრავალსახეობამ საჯარო სამსახურშიც ჰპოვოს ასახვა, ჰამბურგის სენატმა 2006 წელს წამოიწყო კამპანია „ჩვენ ჰამბურგელები ვართ. შენც ჩვენთან ხარ?“² ეს ძირითადად, გამიზნულად, მიგრანტ ახალგაზრდებს ეხება. დასაქმების სტრუქტურას, რომელიც მოსახლეობის შემადგენლობას ასახავს, ბევრად უკეთესად შეუძლია კლიენტებზე ორიენტირება და ზოგიერთი გაუგებრობის თავიდანვე თავიდან აცილება. მიგრანტი ახალგაზრდები თვლიან, რომ შეუძლებელია მათი სახელმწიფო სამსახურში დასაქმება. ეს, პირველ რიგში, ის ადამიანები არიან, რომელთაც არ გააჩნიათ გერმანიის მოქალაქეობა და ამიტომ არც ფიქრობენ, რომ შეიძლება რაღაც შანსი გააჩნდეთ ამ კუთხით.

სწორედ მიგრანტებში ოჯახი ხშირად უფრო ძლიერად არის ჩაბმული მათი შვილების მიერ პროფესიის არჩევის პროცესში. მაშასადამე, საჭიროა მშობლების დარწმუნებაც, რომ საჯარო სამსახურში მუშაობაც მიმზიდველი არჩევანია პროფესიული თვალსაზრისით. სახელმწიფო ხშირად, მათ თვალში, მთლად პოზიტიური ცნება ვერ არის, თუმცა ეს ყველა წარმომავლობის ქვეყანას არ ეხება. ხშირად მათი გამოცდილება, სახელმწიფოსთან მიმართებაში, გერმანიის მაგალითზე, იმ გამოცდილებას უკავშირდება,

¹ დეფინიცია მიგრანტებთან დაკავშირებით: იმ ადამიანების რიცხვს, რომლებიც მიგრანტებად იწოდებიან (ფართო გაგებით) განეკუთვნება: „ყველა ის პირი, რომელიც 1949 წლის შემდეგ გადმოსახლდა დღევანდელი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ასევე ყველა გერმანიაში დაბადებული უცხოელი და გერმანიაში გერმანულად დაბადებული ადამიანი, რომლის ერთი მშობელი მიგრანტი ან გერმანიაში დაბადებული უცხოელი.“ http://www.bamf.de/DE/Service/Left/Glossary/_function/glossar.html?lv2=1364186&lv3=3198544

² <http://www.hamburg.de/bist-du-dabei/>

რომელიც მათ უცხოურ განყოფილებასთან კონტაქტის შედეგად გააჩნიათ. ამიტომ მშობლების ინფორმირება ხდება სხვადასხვა ენებზე გამოცემული¹ ფლაიერების გამოყენებით იმ გამოფენებზე, რომლებიც პროფესიის არჩევისადმი არის ხოლმე მიძღვნილი.

2006 წელს კამპანიის დაწყებიდან 2013 წლამდე მიგრანტი ახალგაზრდების მომზადების მაჩვენებელი 5,3%-იდან 16,8%-მდე გაიზარდა.

ახალგაზრდა ხელმძღვანელი კადრების მოზიდვის საკითხი კადრების დეპარტამენტის შესაბამისი რეფერატის პრეროგატივაა. ინიშნებიან უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები, უმეტეს შემთხვევაში დასრულებული იურიდიული განათლებით, და ეკონომისტი². მსმენელები წელიწადნახევრის განმავლობაში პრაქტიკას გადიან ადმინისტრაციის სხვადასხვა სექტორებში, რათა შეექმნათ კარგი ზოგადი წარმოდგენა. ამის პარალელურად ისინი ერთიანდებიან სხვადასხვა სამუშაო ჯგუფებში თემების მიხედვით, რაც ხელს უწყობს მათ შორის კავშირების გამყარებას. მსგავს პროგრამას ახორციელებს ფინანსთა სამინისტრო IT-Trainees-თათვის, რათა ქალაქი კარგად იქნეს აღჭურვილი მზარდი დიგიტალიზაციით საჯარო სამსახურში³. ახალგაზრდა კადრებისათვის ZAF-ში არსებობს კვალიფიკაციის ამაღლების კურსები, რომლის მეშვეობითაც ახალბედები ეცნობიან ადმინისტრაციული საქმიანობის წარმოების კულტურას, იღებენ საჭირო პროფესიულ ცოდნას

¹ ამჟამად ფლაიერები ხელმისაწვდომია გერმანულ, რუსულ და თურქულ ენებზე. იხ. <http://www.hamburg.de/bist-du-dabei/2385626/elttern-flyer.html>

² 2010-2011 წლებში შეიქმნა სტაჟირების პროგრამა „ჰუმანიტარული, სოციალური და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების“ სფეროებისთვის, რათა ამ გზით უფრო მრავალფეროვანი გამხდარიყო დასაქმებულ პირთა შემადგენლობა. ეს პროგრამა დღემდე მხოლოდ ერთხელ განხორციელდა.

³ ამჟამად ყოველწლიურად ინიშნება 12 იურისტი პერსონალის დეპარტამენტში და 5 IT-Trainees ფინანსთა სამინისტროს მიერ. შდრ. <http://www.hamburg.de/ausbildungsplaetze-hamburg/>

მათთვის ახალი საქმიანობის სფეროში ზოგადი ადმინისტრაციის კუთხით, ემზადებიან მათ მიერ მომავალში განსახორციელებელი ხელმძღვანელი თანამდებობისათვის და ქსელების აგებისათვის¹.

კვალიფიკაციის ამაღლება

კვალიფიკაციის ამაღლების სფეროში ZAF-ს ევალება, ხელი შეუწყოს დასაქმებულ პირთა პროფესიული და პიროვნული კომპეტენციების განვითარებას. კვალიფიკაციის ამაღლება სამი მიმართულებით არის შესაძლებელი: კვალიფიკაციის ამაღლება ცენტრალიზებული სისტემის მიხედვით, კვალიფიკაციის ამაღლება დეცენტრალიზებულად და კვალიფიკაციის ამაღლება პროექტების ფარგლებში. კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრალური სტრუქტურა იმიტომ დაარსდა, რომ აქ თავი იჩინა სინერგიის ეფექტმა ქალაქისათვის. ამასთან დაკავშირებით ბაზარზე არსებული თემებისა და დოცენტების შესახებ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია მხოლოდ ერთ ადგილზე ფოკუსირებით. ZAF-ი გარანტირებულად უზრუნველყოფს სტანდარტებს, რომლებიც მოქმედებენ მთელი ქალაქის მასშტაბით. მაგალითად, დოცენტებისა და ჰონორართან დაკავშირებული მოლაპარაკებები ხორციელდება ცენტრალიზებულად. სტრუქტურამ/უნყებამ შექმნა ღონისძიებების დაგეგმვისა და ორგანიზების პროფესიონალური სისტემა, ასევე სისტემა კურსების მონაწილეთა კურირების თვალსაზრისით. მუშაკთა მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ამსახველი ინფორმაცია დაცულია მონაცემთა ბაზაში.

ცენტრალიზებული კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის მთავარი ელემენტია კატალოგი, რომელიც ყოველწლიურად გამოიცემა². იგი მოიცავს იმ ღონისძიებათა ჩამონათვალს, რომ-

¹ 2014 წლის სრული კატალოგი ახალბედა ხელმძღვანელი პირებისათვის შეგიძლიათ იხ. აქ მოცემულ მისამართზე: <http://www.hamburg.de/contentblob/2644672/data/nachwuchskraeftefortbildung.pdf>

² აღნიშნული კატალოგის ნახვა შესაძლებელია შემდეგ მისამართზე: http://static.hamburg.de/fhh/epaper/fortbildung_2014/

ლებიც გათვალისწინებულია ხელმძღვანელი პირების კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარებისათვის, ასევე კვალიფიკაციის ამაღლებისათვის IT-ტექნოლოგიებთან დაკავშირებით. ხელმძღვანელი პირების კვალიფიკაციის ამაღლებისათვის გათვალისწინებულია ღონისძიებები, რომლებიც ზოგად ინფორმაციას შეიცავენ და ღონისძიებები, რომელთა ფარგლებშიც გადაიცემა ცოდნა ხელმძღვანელი პირების კომპეტენციების, პერსონალის მართვისა და მენეჯმენტის კომპეტენციების შესახებ. სხვა თემები კატალოგში ღიაა ქალაქის ყველა დასაქმებული პირებისათვის. პიროვნული კომპეტენციები მოიცავენ სამუშაო ტექნიკებს, კომუნიკაციას, ჯანდაცვას, ინტერკულტურულ კომპეტენციებსა და პროფესიულ ორიენტაციას. პროფესიული კომპეტენციები – პერსონალს, ბიუჯეტსა და ბიზნესის მართვას, ორგანიზაციას, სამართალს, მშენებლობას, ევროპასა და ენებს. IT-კვალიფიკაციის ამაღლება მოიცავს ძირითად/საბაზისო, უფრო მაღალი დონისა და სპეციალურ სემინარებს. კატალოგი ყოველწლიურად თავიდან დგება. ამ დროს მასში შედის ახალი თემატიკა და განვითარების ახალი მიმართულებები. სხვა თემები, რომლებიც აღარ არის თანამედროვე და შესაბამისად აქტუალური ან მათდამი ინტერესი აღარ არის დიდი, მცირდება.

ცენტრალიზებული კვალიფიკაციის ამაღლების სფეროში კატალოგის გარდა არსებობს კიდევ განსაკუთრებული ფორმატები. მათ მიეკუთვნება კომპეტენციებზე ორიენტირებული მოდულები იმ დასაქმებული პირებისათვის, რომლებმაც ახლად გადაიბარეს ხელმძღვანელის პოსტი ან ხელმძღვანელი პოსტის ფარგლებში შეიცვალეს ფუნქცია. ერთი წლის განმავლობაში მყარად შედგენილი ჯგუფისათვის ტარდება ხუთი მოდული კომპეტენციების სფეროებთან დაკავშირებით. ესენია: „მიზანზე და შედეგზე ორიენტაცია“, „კომუნიკაცია და საუბრის/ინტერვიუს წარმართვა“, „თანამშრომლობისა და კონფლიქტების მენეჯმენტი“, „ჯგუფური პროცესების მართვა“ და „Change მენეჯმენტი“. მოდულები დიდი მონონებით სარგებლობს. ისინი დამაჯერებელია, პირველ ყოვლისა, მართვის კომპეტენციებზე კონცენტრაციის, ფიქსირებული

სასწავლო ჯგუფის შიგნით ფამილიარული დამოკიდებულების და, აგრეთვე, მოდულებს შორის დროის ინტერვალების არსებობის გამო, რომლის დროსაც არსებობს შესაძლებლობა, შეგროვილ იქნეს პრაქტიკული გამოცდილება სხვადასხვა ასპექტებთან დაკავშირებით და მოხდეს აზრთა გაცვლა-გამოცვლა მოდულის ფარგლებში.

ხელმძღვანელი კადრებისათვის კვარტალში ერთხელ ტარდება After-Work-Club-ი. მისი მიზანია იმ ტოპ მენეჯერების ჩართვაც პროცესში, რომლებიც დროის თვალსაზრისით ძალზე შეზღუდულები არიან. მონვეული რეფერენტი კომპაქტური პრეზენტაციის ფარგლებში ახდენს დისკუსიის პროვოცირებას მართვისა და მენეჯერობის აქტუალურ და მნიშვნელოვან თემებთან დაკავშირებით, რომლის ირგვლივაც იმართება შემდგომ დისკუსია Get-Together-ის ფორმატში.

ამას გარდა, წელიწადში ერთხელ იმართება ვორკშოპები/სამუშაო შეხვედრები. სამი დღის განმავლობაში ტარდება ზუსტად 40 ნახევარდღიანი ვორკშოპები/ სამუშაო შეხვედრები. ისინი აძლევენ მუშაკებს შესაძლებლობას, შემჭიდროებულ ფორმატში გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები ამ თემებთან დაკავრებით და შევიდნენ დისკუსიებში დოცენტებთან. მონაწილეთა Feedback-ი და შთაბეჭდილებები, რომლებიც მიიღება ZAF-ის თანამშრომლების მონაწილეობით, გაითვალისწინება მომდევნო წლის პროგრამების გეგმებში.

გარდა ამისა, ZAF-ი ხელს უწყობს ქალაქის დასაქმებული მოსახლეობის პროფესიულ და პიროვნულ განვითარებას იმ ღონისძიებების მეშვეობით, რომლებიც იმართება საღამოობით, სამუშაო საათების დამთავრების შემდეგ. სიახლეა საღამოს მოხსენებების ფორმატი თემებზე, რომლებიც თავისუფალ ჰანზის ქალაქ ჰამბურგის (შემდგომში: FHH-ს) ხელმძღვანელობას სტრატეგიული თვალსაზრისით აინტერესებს, ან რომლებიც წარმოაჩინენ FHH-ს აქტუალურ ფუნქციებს. მაგალითად, ამ ფარგლებში იქნა წარმოდგენილი FHH-ს ინტეგრაციის ახალი კონცეფცია¹.

¹ 2013 წლის 26 თებერვალს დამტკიცებული ჰამბურგის ინტეგრაციის

2013 წელს ცენტრალიზებული კვალიფიკაციის ამალლების სფეროში 731 ღონისძიება ჩატარდა, რომლებშიც 9 266 ადამიანმა მიიღო მონაწილეობა.

გარდა ამისა, ZAF-ი დეცენტრალიზებული კვალიფიკაციის ამალლების ფარგლებში ახდენს უწყებებიდან და დეპარტამენტებიდან თუ სამინისტროებიდან მიღებული დავალებების განხორციელებას. ამ დროს საქმე ეხება ცალკეულ საჯარო-სამართლებრივ დაწესებულებებში კვალიფიკაციის ამალლებაზე მოთხოვნასთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებებს. ესენი მოიცავენ, სხათა შორის, კონსულტაციებს ცვლილებების განხორციელების პროცესებისას, ასევე დახმარებას მძიმე სიტუაციებში, მაგალითად, გუნდის განვითარებისა ან Coaching-ის გზით. გარდა ამისა, დეცენტრალიზებული კვალიფიკაციის ამალლება მოიცავს ღონისძიებებს ძალზე სპეციფიკურ დარგობრივ საკითხებზე, რომლებიც სცილდება ცენტრალიზებული კვალიფიკაციის ამალლების ფარგლებში შემოთავაზებულ თემატიკას. ამასთან დაკავშირებით 2013 წელს ჩატარდა 1.117 ღონისძიება, რომლებშიც 12.149 მუშაკმა მიიღო მონაწილეობა.

ამას გარდა, ZAF-ი აწვითარებს კვალიფიკაციის ამალლების ფორმატებს პროექტებისათვის. მათ რიცხვს განეკუთვნება კვალიფიკაციის ამალლება ისეთ თემაზე, როგორცაა ბიუჯეტის გადაყვანა ორმაგი საბუღალტრო აღრიცხვის სისტემაზე და ჰამბურგის კანონი ტრანსპარენტულობის შესახებ¹. ბოლო წელს პროექტების ფარგლებში ჩატარდა 397 ღონისძიება, რომლებსაც 3.946 მსმენელი დაესწრო.

2011 წლიდან ZAF-ში E-Learning-ზე ხდება ფოკუსირება. ეს ფორმატი შეესატყვისება სწავლის ახალსა და ინდივიდუალურ

ახალი კონცეფცია იხ. შემდეგ მისამართზე: <http://www.hamburg.de/integration/service/115238/integrationskonzept.html>

¹ ინფორმაციას ჰამბურგის ტრანსპარენტულობის შესახებ კანონზე, რომელიც 2012 წლის 6 ოქტომბერს შევიდა ძალაში და რომელიც პირველია ამ სახით ფედერალურ რესპუბლიკაში, იხილავთ მისამართზე: <http://www.hamburg.de/transparenzgesetz/>

ფორმებს. ამასთან ყოველივე იმას უნყოფს ხელს, რომ განხილულ იქნეს სწავლის განსხვავებული ტიპები. E-Learning-ის მეშვეობით შესაძლებელი ხდება თეორიული მომზადების ხელშეწყობა და სწავლის მდგრადი ეფექტების მიღწევა. გარდა ამისა, შესაძლებელი ხდება ინდივიდუალური სწავლება. დროისა და სავარჯიშოების გათვალისწინებით მონაწილეებს შეუძლიათ ზუსტად განსაზღვრონ, როდის და რისი შესწავლა სურთ. E-Learning-ის დანერგვისას მთავარი გამოწვევაა განვითარების ხარჯები და ვადები. 2012 წელს პირველი E-Learning Nugget-ი¹ შეფასების ახალ შესაძლებლობად იქცა. ამჟამად ელექტრონული სწავლების დახმარებით ხდება პროექტების კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა.

დასკვნა

ZAF-ის საშუალებით ჰამბურგის სენატმა განათლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრალური უწყება შექმნა. ეს საშუალებას იძლევა, რომ ცენტრალიზებულად იქნეს მართული განათლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ერთიანი სისტემა. იმავდროულად ხდება იმ განსაკუთრებული მოთხოვნილებების გათვალისწინება, რომლებიც არსებობს სხვადასხვა დანესებულებებსა და სამინისტროებში. ეს ეხება მომზადების კურსებს ზოგადი ადმინისტრაციის ფარგლებს გარეთ, აგრეთვე მოთხოვნებს კვალიფიკაციის ამაღლებაზე, რომლებსაც ზუსტად ფარავს დეცენტრალიზებული განათლება.

საჯარო სამსახურის პროფესიონალიზაცია უზრუნველყოფილია ცენტრალური უწყების მეშვეობით, რომელიც მთლიანად მოიცავს განათლებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას ქალაქის მასშტაბით, ადგენს სტანდარტებს და დასაშვებს ხდის მოქნილობას გარკვეული სამუშაო სფეროებისა და უწყებების თავისებურებების გათვალისწინებით.

¹ <http://www.hamburg.de/personalamt/beurteilungswesen/>

Sandra Budy

*Zentrum für Aus- und Fortbildung
der Freien und Hansestadt Hamburg*

Professionalisierung des öffentlichen Dienstes – ein Praxisbericht aus Hamburg

Der Staat ist hoheitsrechtlich für bestimmte Aufgaben zuständig, beispielsweise für das Ausstellen von Dokumenten, wie Pässen, Geburtsurkunden und Meldebestätigungen. Weiterhin nimmt er konkurrenzlos hoheitliche Aufgaben wahr, wie im Bereich der inneren Sicherheit. Hier haben die Bürgerinnen und Bürger keine Wahl, sie müssen sich quasi an den Monopolisten Staat wenden.

Warum ist dann überhaupt eine Professionalisierung des öffentlichen Dienstes notwendig?

In der Freien und Hansestadt Hamburg ist der Anspruch des öffentlichen Dienstes, ein moderner Dienstleister für die Bürgerinnen und Bürger zu sein. Dies impliziert gut ausgebildete und kundenfreundlich agierende Beschäftigte. Die Arbeit ist oft von komplexen, IT-gestützten Verfahren geprägt. Diese müssen von den Mitarbeiterinnen und Mitarbeitern beherrscht werden, um gut angewandt werden zu können. Das lebenslange Lernen spielt angesichts dieser stetigen Veränderung der Arbeitsprozesse eine wichtige Rolle, um den Anforderungen gewachsen zu sein.

Ein professioneller und kundenfreundlicher öffentlicher Dienst steigert die Attraktivität der Stadt. Dies ist unter dem Aspekt des zunehmenden Wettbewerbs unter den Städten wichtig.

Um die künftige Qualität des öffentlichen Dienstes zu sichern, müssen dauerhaft gute Mitarbeiterinnen und Mitarbeiter gewonnen werden. Der Wettbewerb um gutes Personal nimmt in Deutschland angesichts des

demografischen Wandels zu. Der Altersdurchschnitt der Beschäftigten der Stadt Hamburg liegt im Durchschnitt derzeit bei rund 50 Jahren. D.h. in den nächsten fünfzehn bis zwanzig Jahren wird ein großer Teil der jetzigen Beschäftigten in Rente bzw. Pension gehen.

In Hamburg wurde 2005 mit dem Zentrum für Aus- und Fortbildung (ZAF) eine zentrale Einrichtung gegründet, geprägt von der Überzeugung, dass eine höhere Professionalisierung durch die Zentralisierung des Aus- und Fortbildungsbereichs erreicht wird.

Das ZAF besitzt, wie aus dem Namen bereits ersichtlich ist, zwei Schwerpunkte: den Bereich Ausbildung und den Bereich Fortbildung. Die beiden Bereiche sitzen seit 2008 auch räumlich unter einen Dach. Es wurde ein modernes Gebäude bezogen, das die Veranstaltungsräume für Fortbildungen, die Verwaltungsschule sowie die Büros der Beschäftigten der Bereiche Aus- und Fortbildung beherbergt.

Ausbildung

Der Bereich Ausbildung steuert die Ausbildung junger Nachwuchskräfte für die Hamburgische Verwaltung. Hierzu zählt die Bedarfsplanung, das Marketing für die Ausbildungsgänge sowie die Eignungsdiagnostik, die die dreistufigen Auswahlverfahren (Bewerbung, schriftlicher Test und Gespräch) durchführt. In der allgemeinen Verwaltung werden derzeit jährlich 100 Nachwuchskräfte eingestellt. Gut die Hälfte von ihnen durchläuft eine duale Ausbildung, deren Theorieteil in der Verwaltungsschule im Haus stattfindet. Hier werden zwei Ausbildungsgänge angeboten. Die zweieinhalbjährige Ausbildung zum Verwaltungsangestellten und die zweijährige Ausbildung zum Regierungssekretär. Voraussetzung für diese beiden Ausbildungen ist der mittlere Schulabschluss (Realschulabschluss). Diese beiden Ausbildungsgänge qualifizieren für eine Tätigkeit im mittleren Dienst.

Die andere Hälfte wird für das dreijährige Bachelor-Studium Public Management an der Hochschule für Angewandte Wissenschaften eingestellt. Voraussetzung für dieses Fachhochschulstudium ist das Abitur. Nach erfolgreichem Studium sind die Nachwuchskräfte als Regierungssekretär/innen im gehobenen Dienst tätig.

Bei der Gewinnung der Nachwuchskräfte für diese Ausbildungsgänge wird stark auf E-Recruiting gesetzt, da die Zielgruppe sehr netzaffin ist.¹ Besonders ist in diesem Zusammenhang das Oneline-Self-Assesement Center „C!You“² zu nennen. Hier können die Jugendlichen in einem Selbsttext typische Bereiche der Verwaltung kennen lernen und durch Testaufgaben, die den Berufsalltag dort prägen, abwägen, ob dies Tätigkeiten sind, die sich gerne wahrnehmen möchten. Dieser Test hat mit dem European Public Sector Award sowie dem Innovationspreis des Deutschen Beamtenbundes ausgezeichnet. Erfahrungsberichte von Auszubildenden im Netz tragen ebenfalls zur Rekrutierung von Nachwuchskräften bei.³ Weiterhin präsentiert der Bereich die Ausbildungsmöglichkeiten bei Informationsveranstaltungen an Schulen und auf Ausbildungsmessen.

Hamburg ist eine internationale Stadt. Ca. 30% der Einwohner haben einen sogenannten Migrationshintergrund.⁴ Damit sich diese Vielfalt auch im öffentlichen Dienst widerfindet, hat der Hamburger Senat 2006 die Kampagne „Wir sind Hamburg. Bist du dabei?“⁵ ins Leben gerufen. Mit ihr werden gezielt junge Menschen mit Migrationshintergrund angesprochen. Eine Beschäftigtenstruktur, die die Zusammensetzung der Bevölkerung spiegelt, kann wesentlich besser auf die Kundinnen und Kunden eingehen und manche Missverständnisse von vorneherein vermeiden. Von viel-

¹ <http://www.hamburg.de/ausbildung-verwaltung>

² <http://www.cyou-startlearning.hamburg.de/zaf/index.php>

³ <http://www.hamburg.de/bist-du-dabei/1910030/kurzportraits-im-ueberblick.html>

⁴ Definition Migrationshintergrund: Zu den Menschen mit Migrationshintergrund (im weiteren Sinn) zählen „alle nach 1949 auf das heutige Gebiet der Bundesrepublik Deutschland Zugewanderten, sowie alle in Deutschland geborenen Ausländer und alle in Deutschland als Deutsche Geborenen mit zumindest einem zugewanderten oder als Ausländer in Deutschland geborenen Elternteil.“ http://www.bamf.de/DE/Service/Left/Glossary/_function/glossar.html?lv2=1364186&lv3=3198544

⁵ <http://www.hamburg.de/bist-du-dabei/>

en Jugendlichen mit Migrationshintergrund wird die Arbeit beim Staat nicht als Möglichkeit gesehen. Vor allem diejenigen, die keine deutsche Staatsbürgerschaft besitzen, denken gar nicht daran, dass sie überhaupt eine Chance haben. Dabei ist eine Einstellung möglich.

Gerade bei jungen Menschen mit Migrationshintergrund ist die Familie oft stärker in die Berufswahl eingebunden. Es gilt also auch die Eltern zu überzeugen, dass die Arbeit im öffentlichen Dienst eine attraktive Berufswahl ist. Deren Staatsverständnis ist, je nach Herkunftsland, nicht immer positiv besetzt. In Deutschland ist der Staat häufig mit den Erfahrungen bei der Ausländerabteilung verbunden. Daher werden vor allem auf Berufsmessen die Eltern mit einem Flyer informiert, der in verschiedenen Sprachen herausgegeben wird.¹

Seit dem Start der Kampagne 2006 bis zum Jahr 2013 hat sich der Anteil der Auszubildenden mit Migrationshintergrund von 5,3% auf 16,8% erhöht.

Die Gewinnung von Nachwuchsführungskräften des höheren Dienstes liegt bei dem Referat Führungskräftegewinnung und –entwicklung im Personalamt. Es werden Universitätsabsolventen eingestellt, überwiegend mit einem abgeschlossenen Jurastudium sowie Wirtschaftswissenschaftler.² Diese durchlaufen in eineinhalb Jahren drei Stationen in unterschiedlichen Bereichen der Verwaltung, um einen guten Überblick zu erhalten. Parallel haben sie Arbeitsgruppen zu bestimmten Themen, die auch die Vernetzung untereinander fördern. Ein ähnliches Programm führt die Finanzbehörde für IT-Trainees durch, damit die Stadt personell gut für die weiter voranschreitende Digitalisierung des öffentlichen Dienstes aufgestellt ist.³ Für diese

¹ Derzeit ist der Flyer auf Deutsch, Russisch und Türkisch verfügbar. <http://www.hamburg.de/bist-du-dabei/2385626/eltern-flyer.html>

² Im Jahr 2010/2011 wurde ein Traineeprogramm für „Geistes-, Sozial- und Naturwissenschaftler“ aufgesetzt, um die Vielfalt der Beschäftigten auf diese Weise zu erhöhen. Es wurde bisher nur einmal durchgeführt.

³ Derzeit werden jährlich 12 Juristinnen und Juristen durch das Personalamt und 5 IT-Trainees durch die Finanzbehörde eingestellt. Vgl. <http://www.hamburg.de/ausbildungsplaeetze-hamburg/>

Nachwuchskräfte gibt es im ZAF eine Fortbildungsreihe, durch die die Verwaltungsneulinge mit der Unternehmenskultur der Verwaltung vertraut werden, die notwendigen Fachkenntnisse für ihr neues Tätigkeitsfeld der allgemeinen Verwaltung erhalten, auf ihre künftigen Führungsaufgabe vorbereitet werden und Netzwerke aufbauen.¹

Fortbildung

Im Bereich Fortbildung hat das ZAF den Auftrag die fachlichen und persönlichen Kompetenzen der Beschäftigten zu fördern. Die Fortbildung lässt sich in drei Gruppen unterteilen: das zentrale Fortbildungsangebot, das dezentrale Fortbildungsangebot und Fortbildungen im Rahmen von Projekten. Die Gründung einer zentralen Fortbildungseinrichtung erfolgte, da sich hier Synergieeffekte für die Stadt ergeben. Die Marktübersicht über Themen und Dozenten kann nur durch Bündelung an einem Ort erfolgen. Das ZAF garantiert Standards, die für die gesamte Stadt gelten. Beispielsweise werden die Auswahl der Dozenten sowie die Honorarverhandlungen zentral durchgeführt. Die Einrichtung hat eine professionelle Veranstaltungsplanung und -organisation sowie eine ebensolche Teilnehmerbetreuung aufgebaut. Die Lernhistorie der Beschäftigten wird in einer zentralen Datenbank erfasst.

Kernstück der zentralen Fortbildung ist der jährlich erscheinende Katalog.² Er beinhaltet Veranstaltungen zur Führungsfortbildung, Persönlichen Kompetenzen, Fachkompetenzen und IT-Fortbildungen. Die Führungsfortbildung beinhaltet Veranstaltungen, die einen allgemeinen Überblick geben sowie Veranstaltungen, in denen Persönliche Führungskompetenzen, Personalführung und Managementkompetenzen vermittelt werden. Die anderen Themen im Katalog stehen allen

¹ Der Katalog 2014 für die Nachwuchsführungskräfte findet sich hier: <http://www.hamburg.de/contentblob/2644672/data/nachwuchskraeftefortbildung.pdf>

² Der Katalog 2014 findet sich hier: http://static.hamburg.de/fhh/epaper/fortbildung_2014/

Beschäftigten der Stadt offen. Die Persönlichen Kompetenzen umfassen Arbeitstechniken, Kommunikation, Gesundheit, Interkulturelle Kompetenz und Berufliche Orientierung. Die Fachkompetenzen Personal, Haushalt und Betriebswirtschaft, Organisation, Recht, Bau, Europa und Sprachen. Die IT-Fortbildung besteht aus Basis-, Aufbau- und Spezialseminaren. Der Katalog wird jährlich neu aufgesetzt. Dabei werden neue Themen und Entwicklungen mit in das Fortbildungsangebot aufgenommen. Andere Themen, die nicht mehr zeitgemäß sind oder schwach nachgefragt werden, reduziert.

Neben dem Katalog gibt es in dem Bereich der zentralen Fortbildung noch besondere Formate. Zu diesen zählt die kompetenzorientierte Modulreihe Führung für Beschäftigte, die neu eine Führungsaufgabe übernommen oder einen relevanten Wechsel in ihrer Führungsaufgabe haben. In einer festen Lerngruppe finden innerhalb eines Jahres fünf Module zu den Kompetenzfeldern „Ziel- und Ergebnisorientierung“, „Kommunikation und Gesprächsführung“, Kooperations- und Konfliktmanagement“, „Steuerung von Gruppenprozessen“ und „Change Management“ statt. Die Modulreihe wird sehr gut angenommen. Sie überzeugt vor allem durch die Konzentration auf die wesentlichen Führungskompetenzen, die Vertraulichkeit innerhalb einer festen Lerngruppe sowie den zeitlichen Abständen zwischen den Modulen, in denen die Möglichkeit besteht zu verschiedenen Aspekten Praxiserfahrung zu sammeln und sich im Rahmen der Modulreihe darüber auszutauschen.

Ebenfalls für Führungskräfte wird quartalsweise der After-Work-Club durchgeführt. Ziel ist es Top Führungskräften, die zeitlich stark eingebunden sind, zu erreichen. Ein externer Referent gibt jeweils in einem kompakten Vortrag Denk- und Diskussionsanstöße zu einem aktuellen und wichtigen Führungs- und Managementthema, das im Anschluss fachbezogenen mit dem Referenten und danach informell in einem Get-Together weiter diskutiert wird.

Weiterhin finden einmal jährlich die Workshoptage statt. An drei Tagen werden rund 40 halbtägige Workshops zu aktuellen Themen angeboten. Sie bieten den Beschäftigten die Möglichkeit, sich in kompakter Form mit Themen auseinanderzusetzen. Gleichzeitig sind die Workshoptage ein

Testballon für neue Themen und Dozenten. Das Feedback der Teilnehmenden und die Eindrücke, die durch Hospitation von ZAF-Mitarbeitern gewonnen werden, fließen in die Programmplanung des nächsten Jahres ein.

Außerdem unterstützt das ZAF die berufliche und persönliche Weiterentwicklung der Beschäftigten der Stadt durch Veranstaltungen die am Abend, außerhalb der Dienstzeit stattfinden. Neu ist hier das Format der Abendvorträge zu Themen die die FHH aus strategischer Sicht interessieren oder aktuelle Aufgabengebiete der FHH selbst präsentieren. Beispielsweise wurde in diesem Rahmen das Neue Integrationskonzept¹ der FHH vorgestellt.

2013 wurden im Bereich der zentralen Fortbildung 731 Veranstaltungen aufgesetzt, die von 9.266 Teilnehmern besucht wurden.

Darüber hinaus setzt das ZAF in der dezentralen Fortbildung Aufträge aus den Behörden und Ämtern um. Dabei handelt es sich um passgenaue Lösungen für die Fortbildungsbedarfe in den einzelnen Dienststellen. Diese umfassen u.a. Beratungen bei Veränderungsprozessen sowie Unterstützung in schwierigen Situationen, beispielsweise durch Teamentwicklungen oder Coaching. Darüber hinaus beinhaltet die dezentrale Fortbildung Veranstaltungen zu teilweise sehr spezifischen Fachthemen, die über das zentrale Fortbildungsangebot hinaus gehen. Hier fanden im Jahr 2013 1.117 Veranstaltungen statt, an denen 12.149 Beschäftigte teilgenommen haben.

Weiterhin entwickelt das ZAF Fortbildungsformate für Projekte. Hierzu zählen aktuell die Fortbildungen zur Umstellung des Haushaltswesens auf die doppische Buchführung und zum Hamburgischen Transparenzgesetz.² Im letzten Jahr fanden im Rahmen der Projekte 397 Veranstaltungen statt, die von 3.946 Teilnehmenden besucht wurden.

¹ Das am 26. Februar 2013 beschlossene Hamburger Integrationskonzept findet sich hier: <http://www.hamburg.de/integration/service/115238/integrationskonzept.html>

² Informationen zum Hamburgischen Transparenzgesetz, dem ersten dieser Art in der Bundesrepublik Deutschland, das am 06.10.2012 in Kraft getreten ist, finden sich hier: <http://www.hamburg.de/transparenzgesetz/>

Seit 2011 wird im ZAF E-Learning fokussiert. Dieses Format entspricht neuen und individuellen Lernformen. Auch trägt es dazu bei, unterschiedliche Lerntypen anzusprechen. Durch E-Learning können Präsenzs Schulungen unterstützt und nachhaltigere Lerneffekte zu erzielen. Weiterhin ermöglicht es individuelles Lernen. Sowohl zeitlich, als auch auf die Übungsaufgaben bezogen, können die Teilnehmenden passgenau wählen, was sie wann lernen möchten. Eine Herausforderung beim der Etablierung von E-Learning sind die Entwicklungskosten und die Vorlaufzeiten. 2012 wurde das erste E-Learning Nugget zum Neuen Beurteilungswesen umgesetzt.¹ Momentan wird durch E-Learning überwiegend Fortbildungen der Projekte unterstützt.

Fazit

Mit dem ZAF hat der Senat der Stadt Hamburg eine zentrale Einrichtung der Aus- und Fortbildung geschaffen. Diese ermöglicht es die gesamtstrategische Entwicklung der Aus- und Fortbildung zentral zu steuern und Impulse zu setzen. Gleichzeitig werden die besonderen Bedarfe, die in den unterschiedlichen Behörden und Ämtern bestehen, weiterhin berücksichtigt. Das gilt für die Ausbildungsgänge außerhalb der allgemeinen Verwaltung, sowie für Fortbildungsbedarfe, die passgenau durch den Bereich der dezentralen Fortbildung abgedeckt werden.

Die Professionalisierung des Öffentlichen Dienstes wird somit durch eine zentrale Einrichtung, die die in den Bereichen Aus- und Fortbildung die gesamte Stadt im Blick hat und Standards setzt sowie gleichzeitig eine Flexibilität in Bezug auf Besonderheiten in bestimmten Arbeitsfeldern und Behörden ermöglicht, gewährleistet.

¹ <http://www.hamburg.de/personalamt/beurteilungswesen/>

მოკლე ინფორმაცია ავტორებზე

Zu den Autoren

პროფესორი გიორგი ხუბუა, მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტის ენერჯისა და გეოპოლოტიკის განყოფილების სამეცნიერო ხელმძღვანელი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტის აკადემიური დირექტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ამავე უნივერსიტეტის ყოფილი რექტორი

Prof. Dr. Giorgi Khubua, *Wissenschaftlicher Leiter des Bereichs Energie und Geopolitik an der Technischen Universität München, Akademischer Direktor des Instituts für Verwaltungswissenschaften an der Iv. Javakhishvili Universität Tbilisi, Professor an der Staatlichen Iv. Javakhishvili Universität Tbilisi, ehemaliger Rektor dieser Universität*

პროფესორი, დოქტორი, საპატიო დოქტორი კარლ პეტერ ზომერმანი, შპაიერის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტის საჯარო, სახელმწიფო და შედარებითი სამართლის კათედრის ხელმძღვანელი, იმავე უნივერსიტეტის ყოფილი რექტორი

Universitätsprofessor Dr. Dr. h.c. Karl-Peter Sommermann, *Inhaber des Lehrstuhls für Öffentliches Recht, Staatslehre und Rechtsvergleichung an der Deutschen Universität für Verwaltungswissenschaften Speyer, ehemaliger Rektor dieser Universität*

დოქტორი გვიდო მიუნთელი, საქართველოში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საელჩოს ეკონომიკის, სამართლისა და საკონსულტაციო საკითხების განყოფილების ხელმძღვანელი

Dr. Guido Müntel, *Leiter der Referate für Wirtschaft und Rechts- und Konsularwesen der Botschaft der Bundesrepublik Deutschland in Georgien*

პროფესორი პაატა ტურავა, ადმინისტრაციული და შედარებითი სამართლის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი, საქართველოს საპოლიციო აკადემიის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი

Prof. Dr. Paata Turava, *Professor für Verwaltungsrecht und Rechtsvergleichung an der juristischen Fakultät der Staatlichen Iv. Javakhishvili Universität Tbilisi, Dekan der juristischen Fakultät der Polizeiakademie Georgiens*

პროფესორი ირაკლი კობახიძე, LL.M (დიუსელდორფის უნივერსიტეტი), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სახელმწიფო სამართლის პროფესორი, საქართველოს სამთავრობო პარტია „ქართული ოცნების“ აღმასრულებელი დირექტორი

Prof. Dr. Irakli Kobakhidze, LL.M (Universität Düsseldorf), *Professor für Staatsrecht an der juristischen Fakultät der Staatlichen Iv. Javakhishvili Universität Tbilisi, Exekutivsekretär der georgischen Regierungspartei „Georgischer Traum“.*

პროფესორი დოქტორი ქრისტინა ქობი, გერმანიისა და ევროპული ადმინისტრაციული სამართლის, სოციალური სამართლის, ძველი ხანის კონსტიტუციების ისტორიის პროფესორი, გერმანიის საჯარო მმართველობის შპაიერის კვლევითი ინსტიტუტის მკვლევარი პროექტში: „ძირითადი უფლებები გერმანიასა და ევროპაში“

Professor Dr. iur. Christian Koch, *Professor für Deutsches und Europäisches Verwaltungsrecht, Sozialrecht, Verfassungsgeschichte des Altertums, Forschungsreferent am Deutschen Forschungsinstitut für öffentliche Verwaltung Speyer, Projekt: “Grundrechte in Deutschland und Europa”*

პროფესორი ტერეზა ხეჩოიანი, სომხეთის რესპუბლიკის სახელმწიფო მმართველობის აკადემიის საჯარო მმართველობის და საჯარო ფინანსების განყოფილების ასოცირებული პროფესორი, იმავე აკადემიის ვიცე რექტორი საერთაშორისო ურთიერთობების დარგში

Prof. Tereza Khechoyan, *assoziierte Professorin der Abteilung für öffentliche Verwaltung und öffentliche Finanzen; Vize-Rektorin für internationale Beziehungen der Akademie für Staatsverwaltung der Republik Armenien*

სანდრა ბუდი, პოლიტოლოგი, M.A., *თავისუფალი და სავაჭრო ქალაქი ჰამბურგის განათლების და კვალიფიკაციის ამალღების ცენტრი, კვალიფიკაციის ამალღების დაგეგმარების და კონცეფციის შემუშავების განყოფილების სპეციალისტი*

Sandra Budy, *Sandra Budy, Politologin, Freie und Hansestadt Hamburg, Landesbetrieb ZAF/AMD, Zentrum für Aus- und Fortbildung, Bereich Fortbildungsplanung und Konzeption*

გამომცემლობის რედაქტორი მია ეჯიბია
გარეკანის დიზაინი ნინო ებრალიძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა ნინო ვაჩეიშვილი

0179, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14

14, Ilia Tchavtchavadze Ave., Tbilisi 0179

Tel 995(32) 2 25 14 32

www.press.tsu.ge